178
1970/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1970 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის უკვდავი იდეები და საქმენი, მისი ცხოვრების დიადი გმირობა შთაგონებისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი

1970 წელი

გამოცემის XVII წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

რ. რახუნოვი — ვ. ი. ლენინის როლი საბჭოთა სასამართლოს შექმნაში 3
ა. ფალიაშვილი — საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები . . 10
ა. მენაბდე — ვ. ი. ლენინი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს შესახებ . . 17
გ. ყვანია — ვ. ი. ლენინი საბჭოთა დიპლომატიის ფუძემდებელი 23
შ. ფაფიაშვილი — ვ. ი. ლენინი მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ 33
ნ. მოსულიშვილი — ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმის ხანაში დანაშაულისა და სასჯელის შესახებ 42

ა. გაბიანი — ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკანონმდებლო ღონისძიებები 50
შ. ტყავაძე — ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა ოჯახის წევრთა მოთხოვნით და ფართზე უფლების მოპოვება 61
გ. ნადარეიშვილი — კარლ ვიტფოგელი და მისი „აღმოსავლეთის დესპოტიზმი“ . . . 65

დანაშაულის კვალდაკვალ

ვ. დიაკონიძე — დანაშაული არ მოხდებოდა, რომ... 72

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ლ. ისაკაძე — ვალენტინა შადური 74
რ. თალაქვაძე — მისი ცხოვრების მიზანი 76
ადვოკატი 77

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ო. კაციტაძე — ვ. ი. ლენინი დემოკრატიის შესახებ 78
ინფორმაცია 80
მოკლე ცნობები 89
ნ. ნიკოლაევი — კოშმარი 90
იუმორესკა 91
ლ. ანტონოვა — იურისტთა თეორიული ჟურნალი 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА

Р. Рахунов — Роль В. И. Ленина в создании советского суда . . 3
А. Палиашвили—Ленинские принципы организации советской прокуратуры 10
Ак. Менабде — В. И. Ленин о государстве диктатуры пролетариата . 17
Г. Жваниа — В. И. Ленин основоположник советской дипломатии . 23
Ш. Папиашвили — В. И. Ленин о борьбе со взяточничеством . . 33
Н. Мосулишвили — В. И. Ленин о преступлении и наказании в эпоху капитализма 42
А. Габиани — Законодательные мероприятия по усилению борьбы против наркомании 50
Ш. Ткавадзе — Изменение договора о найме жилплощади по требованию члена семьи и приобретение права на жилплощадь членом семьи . 61
Г. Надарейшвили — Карл Витфогель и его «Восточный деспотизм» . 65

ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

Г. Диаконидзе — Преступление не совершилось бы, если... . . . 72

К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

Л. Исакадзе — В. Шадури 74
Р. Талаквадзе — Цель ее жизни 76
Адвокат 77

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. Кацитадзе — В. И. Ленин о демократии 78
Информация 80
Краткие заметки 89
Н. Николаев — Кошмар 90
Юмореска 91
Л. Антонова — Теоретический журнал юристов 94

შეკ. № 1270
ტირაჟი 22.200
უე 02104

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,
ვ. მაიხურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაეცა წარმოებას 14/IV-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-70 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ტიპიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის როლი საბჭოთა სასამართლოს შექმნაში

პროფ. რ. რახუნოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის" ნათქვამია: „მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულია კაცობრიობის ცხოვრების მთელი რევოლუციური ეპოქა. ლენინმა პასუხი გასცა ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების მსვლელობამ დააყენა, ყოველმხრივ განავითარა სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თეორია"[1].

ლენინი შევიდა ისტორიაში როგორც პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი.

მთელი თავისი მოღვაწეობით სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული თეორიის განვითარების საქმეში მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურმა ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა ძველი სამართლის და სასამართლო მანქანის მსხვრევის აუცილებლობა. მან ჩამოაყალიბა სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების ძირითადი დებულებანი, განსაზღვრა რევოლუციური კანონიერების ძირითადი საწყისები.

ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა ამ მიმართულებით უდიდესია. ჩვენ შევეხებით მხოლოდ მის მონაწილეობას სასამართლოებისა და რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ დეკრეტების მიღებაში.

როგორც ცნობილია, სასამართლოს შესახებ პირველი ლენინური დეკრეტი სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1917 წლის 22 ნოემბერს, ე. ი. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის თითქმის ერთი თვის შემდეგ, ხოლო ადგილებზე დაიგზავნა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ 1918 წლის 27 იანვარს.

ამრიგად, დაახლოებით ორი თვე გავიდა რევოლუციის გამარჯვებიდან სასამართლოს შესახებ დეკრეტის დამტკიცებისა და მისი განხორციელების შესახებ ღონისძიების მიღებამდე.

ცხადია, გამარჯვებული რევოლუციისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა ისეთი ორგანოები, რომლებიც დაიცავდნენ მის მონაპოვარს დამხობილი კლასების ხელყოფისაგან. ასეთი ორგანოები იყო რევოლუციური სასამართლოები, რომლებიც ჩამოყალიბდა სასამართლოს შესახებ დეკრეტების მიღებამდე. ასე, მაგალითად, პეტროგრადის ვიბორგის რაიონში რევოლუციური სასამართლო პირველი დეკრეტის მიღებამდე სამი კვირით ადრე შეიქმნა.

სასამართლოს შექმნისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს მუშებმა და ჯარისკაცებმა. სულ მალე ვიბორგის რაიონის მაგალითისამებრ დროებითი სასა-

[1] გაზ. „კომუნისტი", 1969 წ.

მართლოები შეიქმნა პეტროგრადის სხვა რაიონებშიც, შემდეგ კი მთელ ჩვენს ქვეყანაში.

სასამართლოების შესახებ გამოცემულმა დეკრეტებმა შეისისხლხორცეს სასამართლოების შესახებ ადრე გამოქვეყნებული ინსტრუქციებისა და დებულებების მებრძოლი და პროგრესული სული. სასამართლოს შესახებ პირველი დეკრეტი მოამზადა ახლად ჩამოყალიბებულმა იუსტიციის სახალხო კომისარიატმა. დეკრეტის ავტორები იყვნენ იუსტიციის სახალხო კომისრის დროებითი მოადგილე პ. ი. სტუჩკა და იუსტიციის გამოჩენილი მოღვაწე კოზლოვსკი, რომელსაც იუსტიციის სახალხო კომისრის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეჭირა. დეკრეტის პროექტი ლაკონიური იყო. იგი ამოცანად ისახავდა განესაზღვრა სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების ძირითადი დებულებანი.

ახასიათებდა რა სასამართლოს შესახებ პირველ დეკრეტს, სტუჩკა აღნიშნავდა, რომ მისი ძირითადი მიზანია „განიდევნოს ძველი სასამართლო და გაუქმდეს ყველა ძველი კანონი. მაგრამ დეკრეტი მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ აზრს, მხოლოდ ძველი სასამართლოსა და კანონების გაუქმება რომ დაესახა მიზნად. ეს იყო დეკრეტის სავალდებულო, ასე ვთქვათ, დამანგრეველი მხარე. იგი შეიცავდა დამფუძნებელ მხარესაც. მან განსაზღვრა ახალი სასამართლოს საფუძვლები, რომლის წინამძღვარს ძველი სამართლისა და სასამართლოს მსხვრევა წარმოადგენდა“[2].

დეკრეტის მომზადებისა და მიღების პროცესში სტუჩკას ვ. ი. ლენინთან ნაშირი კონტაქტი ჰქონდა. ამიტომ არის მისი მოგონებანი მეტად დასაფასებელი. იგი წერს, რომ პროექტმა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახით აღფრთოვანებული მომხრე ჰპოვა“[3]. სტუჩკას მოგონებანი ნათლად მოწმობენ ვ. ი. ლენინის პირად მონაწილეობას საბჭოთა სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების საფუძვლების შექმნაში.

სახკომსაბჭოს სხდომებზე დეკრეტი სასამართლოების, ანუ, როგორც სახკომსაბჭოს უწყებაში მოიხსენიებოდა, „რევოლუციური სასამართლოების“ შესახებ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით სამი კვირის განმავლობაში ოთხჯერ იქნა განხილული.

სახკომსაბჭოს მიერ პროექტის მრავალჯერ განხილვა მოწმობს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას სახკომსაბჭო და პირადად ვ. ი. ლენინი; იგი ნათელყოფს იმ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა პროექტის შინაარსის გამო, სადაც გამარჯვება ლენინის იდეებს ხვდა წილად.

სახკომსაბჭოს სხდომის ოქმი მეტად მოკლეა, განისაზღვრება საკითხის მხოლოდ დასახელებით და მასზე გადაწყვეტილების გამოტანით. ის არ იძლევა განხილვის მსვლელობას, არ შეიცავს ლენინის გამოსვლებსა და შენიშვნებს. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. უნშლიხტი, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ლენინის საქმიანობის უშუალო მოწმე ყოფილიყო, იგონებს: სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ვ. ი. ლენინმა მთავრობის წარმომადგენელთა შორის რკინისებური დისციპლინა დაამყარა, სადაც მეფობდა სიჩუმე, მე განმაცვიფრა

---

[2] **П. И. Стучка.** «Ленин и революционный декрет». «Избранные произведения по марксистско-ленинской теории права», Рига. 1964, стр. 344.

[3] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ვირტუოზობამ, რომლითაც მას სხდომები მიჰყავდა. იგი არაჩვეულებრივი სიმტკიცით ხსნიდა უძნელეს საკითხებს, განაზოგადებდა კამათს, გამოჰქონდა შესაბამისი დასკვნები, აყალიბებდა წინადადებებს, უკარნახებდა დადგენილებებს"[4] (ხაზგასმა ჩვენია — რ. რ.).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახკომსაბჭოს — ახლად ჩამოყალიბებული მთავრობის სხდომის დღის წესრიგში მე-14 პუნქტად დასმული იყო საკითხი: „რევოლუციური სასამართლოებისა და იუსტიციის სამინისტროს შესახებ". სხდომას თავმჯდომარეობდა ლენინი. სხდომას ესწრებოდნენ სტალინი, სვერდლოვი, ძერჟინსკი, ლუნაჩარსკი და სხვ. პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა ლუნაჩარსკი.

კომისიას სტალინის, ლუნაჩარსკის, სტუჩკას და სხვათა შემადგენლობით წინადადება მიეცა შეემუშავებინა დეკრეტის საბოლოო ტექსტი და წარმოედგინა სახკომსაბჭოს სხდომაზე საღამოს 8 საათისათვის. ყოველივე ეს ხაზს უსვამდა სასამართლეობის შესახებ საკითხის სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობას.

სახკომსაბჭოში პროექტის შემდგომი განხილვის დროს, როგორც სტუჩკა აღნიშნავს, ლუნაჩარსკიმ პროექტის სასარგებლოდ წარმოთქვა უბრწყინვალესი სიტყვა[4].

პირველ დეკემბერს დეკრეტის დამტკიცების შემდეგ „პრავდა" აქვეყნებს ლუნაჩარსკის სტატიას სახელწოდებით „რევოლუცია და სასამართლო". მასში ნათლად არის გადმოცემული პირველი ლენინური დეკრეტის არსი.

1917 წლის 19 დეკემბერს სახკომსაბჭო კვლავ იხილავს საკითხს რევოლუციური სასამართლოების შესახებ. სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ი. ლენინი. გამოიტანეს გადაწყვეტილება საკითხი მოხსნილიყო, რადგან პროექტი დეკრეტისა „რევოლუციური სასამართლოების" შესახებ განსახილველად შეტანილ იქნა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში. გამოიყო კომისია, რომელიც ერთხელაც არ შეკრებილა. შემდეგ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 21 ნოემბერს და პროექტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა ისევ გადაიდო.

1917 წლის 22 ნოემბერი — ეს არის სასამართლოს შესახებ პირველი დეკრეტის საბოლოო განხილვისა და დამტკიცების დღე. თავმჯდომარეობდა ვ. ი. ლენინი (ოქმი № 8). სხდომას ესწრებოდნენ სტალინი, ელიზაროვი, ბონჩ-ბრუევიჩი და სხვ... დღის წესრიგში პირველ პუნქტად იდგა საკითხი „რევოლუციური სასამართლოების შესახებ". ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას აღნიშნულ საკითხს და მხედველობაში იღებდა პროექტის ირგვლივ წამოჭრილ შენიშვნებს, სახკომსაბჭომ ერთხმად (ერთმა თავი შეიკავა) დაადგინა კენჭი ეყარათ თვითეული პუნქტის მიხედვით. პროექტის ყველა პუნქტი და თვითეული ცალ-ცალკე დამტკიცებულ იქნა.

პროექტთან ერთად სახკომსაბჭომ მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელიც განმარტავს სახკომსაბჭოს მიერ პროექტის მიღების აუცილებლობას ცაკში მის დამტკიცებამდე. რეზოლუცია გვაცნობს: 1. პროექტი რევოლუციური სასამართლოების შემოღების შესახებ დიდი ხანია (უკვე რამდენიმე კვი-

[4] **П. И. Стучка,** Избранные произведения, стр. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაა) შემუშავებულია და იგი სახკომსაბჭოს მრავალგზის განხილვის საგანი იყო. სხვაობა აღმოფხვრილია მასში შენიშვნებისა და ცვლილებების შეტანის გზით.

2. ცაკ-ში პროექტის საბოლოო სტადიის გავლა გაჭიანურდა შემთხვევითი და გაუმართლებელი მიზეზების გამო.

3. რევოლუციური სასამართლოების არარსებობა საბჭოთა ხელისუფლებას სრულიად გამოუვალ მდგომარეობას უქმნის კონტრრევოლუციური საბოტაჟის მიმართ.

შემდგომ სახკომსაბჭომ თავის რეზოლუციაში მიუთითა, რომ ცაკის რეზოლუციის თანახმად გამონაკლის შემთხვევებში სახკომსაბჭო უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს დეკრეტები, რომლებსაც შემდეგ შეიტანს ცაკში. მიიღო რა მხედველობაში ყველა ზემოჩამოთვლილი მოსაზრებანი, რომლებიც ოდნავაც არ არღვევდნენ ცაკის უფლებას, სახკომსაბჭო იძულებული იყო მიეღო კანონი რევოლუციური სასამართლოს შესახებ და იგი უმალვე ცხოვრებაში გაეტარებინა. დეკრეტს ხმა მისცა ყველამ ორის გამოკლებით, რომელთაგან ერთი მემარცხენე ესერი იყო. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ შევადარებთ იუსტიციის სახალხო კომისარიატის პროექტს დეკრეტის საბოლოო ტექსტთან. შედარება გვიჩვენებს, რომ ძირითადი დებულებანი შენარჩუნებულია, ამასთან იგი მნიშვნელოვნად შეიცვალა სახკომსაბჭოს არაერთგზისი სხდომების დროს, რომლებიც უშუალოდ ლენინის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

იმ მიზნით, რომ ნათელვყოთ დეკრეტის კონსტრუქციაში ლენინის როლი მივუთითოთ პროექტის და დეკრეტის ზოგიერთი საკითხის ფორმულირებებზე.

ა) პროექტის პირველი პუნქტი ასახული იყო დეკრეტში, მაგრამ პროექტის მიერ გათვალისწინებული მომრიგებელი სასამართლოს ინსტიტუტის გაუქმება მასში არ იყო მოცემული.

ბ) პროექტში გათვალისწინებული იყო ხანდაზმულობის ყველა ვადის შეჩერება ახალ დეკრეტამდე, დეკრეტმა გაითვალისწინა, რომ საქმეების შემდეგი მიმართულების და დაუმთავრებელი საქმეების წარმოების წესზე გამოცემული იქნება განსაკუთრებული დეკრეტი.

გ) პროექტის მე-6 მუხლი ითვალისწინებდა საბჭოების მიერ მუშურ-გლეხური სასამართლოების შექმნას თავმჯდომარეებისა და მინიმუმ ორი კაცის შემადგენლობით. სასამართლოებს უნდა ეხელმძღვანელათ სახკომსაბჭოს დეკრეტებით, რევოლუციური მართლშეგნებით. ამ მუხლის ნაცვლად მიღებულ იქნა მე-2 მუხლი, რომელიც იუწყებოდა „სამომრიგებლო მოსამართლეების მოქმედება წყდება, იგი შეიცვლება ადგილობრივი მოსამართლეებით, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი დემოკრატიული არჩევნებით“.

ე) პროექტის მე-7 მუხლი ითვალისწინებს პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულობათა შესახებ სისხლის სამართლის რეპრესიების სამუდამო გაუქმებას. დეკრეტში ეს არ არის.

ვ) ლენინმა წინადადება შეიტანა შეევსო მე-5 მუხლი მის მიერ ფორმულირებული შენიშვნებით, თუ რომელი კანონები უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. ეს შესწორებანი და სხვა ცვლილებები მიღებულ იქნა.

როგორც ვხედავთ სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ პირველ დეკრეტში ასახული იყო პროექტით გაუთვალისწინებელი ისეთი არსებითი დებულებები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიც არის სასამართლოში სახალხო მსაჯულების მონაწილეობა, მოსამართლის პირდაპირი დემოკრატიული არჩევნები და სხვ.

დეკრეტმა სასამართლოს შესახებ მოახდინა სასამართლო წყობილების რევოლუცია. იგი, როგორც ყველა ისტორიული დეკრეტი (მაგ., დეკრეტი მიწის შესახებ), რევოლუციის ნაყოფია. ცხოვრების წინსვლის, გამოცდილების გამდიდრების კვალდაკვალ სრულყოფილი ხდება სასამართლო, ვითარდება კანონმდებლობა. ლენინური დეკრეტის ძირითადმა დებულებებმა ჰპოვეს რა შემოქმედებითი განვითარება, დღემდე შეინარჩუნეს მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შრომაში, რომელიც მიძღვნილია დეკრეტის განხილვისადმი, დაშვებულია არაისტორიული მიდგომა. ასე მაგ. ა. ა. ლიედე წერს: „დეკრეტის ზოგმა დებულებამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო. მათ შორის აღსანიშნავია, მაგ. სასამართლოებისათვის პატიების უფლების მინიჭება, საგამომძიებო კომისიის მიერ წინასწარი გამოძიების ჩატარება“[5]. ეს განა ჭეშმარიტებაა? კოლეგიალურიდან ერთპიროვნულ გამოძიებაზე მისვლის მიზანშეწონილობა ნათლად განმარტებულია რსფსრ-ს სახალხო სასამართლოს დებულების პროექტის თანმხლებ წერილში ლ. ი. ტურსკის ხელმოწერით, რომელიც შევიდა სახკომსაბჭოში 1920 წლის 15 ოქტომბერს:

„საგამოძიებო კომისია უქმდება და იცვლება ერთპიროვნული გამომძიებლებით, რომლებიც იმოქმედებენ სახალხო სასამართლოს და იუსტიციის განყოფილების კონტროლით. აღნიშნული ცვლილება შედეგია როგორც კოლეგიალური აპარატის უკმარისობით, ისე გამოცდილი გამომძიებლების არსებობით“. აქედან სულაც არ გამომდინარეობს კოლეგიური გამოძიების იდეის უსწორობა. ეს საკითხის რაციონალური გადაწყვეტა იყო ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ამავე ასპექტში განიხილება სასამართლოს უფლება შეწყალებისა. სასამართლოს უფლება შეწყალებისა და მსჯავრდებულთა უფლების აღდგენისა, რომელსაც მე-7 მუხლი ითვალისწინებდა, საკითხის ახლებური გადაწყვეტაა, რომელიც ადრე შეფის პრეროგატივას წარმოადგენდა. დეკრეტმა დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა და სასამართლო ხელისუფლებას მიანიჭა ზემოაღნიშნული უფლებები. იმ დროისათვის ამ მეტად საჭირო და მიზანშეწონილმა მოქმედებამ ხალხი სასამართლოს დაუახლოვა; რეპრესია მოქნილი ხდებოდა და ამით სასამართლოს ავტორიტეტი მაღლდებოდა. დროთა განმავლობაში საჭიროებისამებრ შეწყალების უფლება, ბუნებრივია, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კომპეტენციაში შევიდა.

ლენინური დეკრეტის განვითარებას წარმოადგენდა დეკრეტი სასამართლოს შესახებ № 2, რომელიც მიღებული იყო ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1918 წლის 15 თებერვალს. დეკრეტის მიღების შემდეგ სახკომსაბჭოში შევიდა პროტესტი სტუჩკას ხელმოწერით. სტუჩკა ითხოვდა დეკრეტის პუბლიკაციის შეჩერებას ცალკეული ნორმების არასრულყოფილების გამო. პროტესტი განხილულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ 16 იანვარს. პროტესტში ლაპარაკი იყო, რომ იუსტიციის სახალხო კომისარმა შტეინბერგმა არასწორი ინფორმაცია მისცა სახკომსაბჭოს, თითქოს დეკრეტის ტექსტზე შეთანხმება მოხდა იუსტიციის სახალხო კომისარიატში. სინამდვილეში ასეთ შეთანხმებას ადგილი არა ჰქონია. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სტუჩკას და სხვებს, რომელნიც პრინციპულად

---

[5] **А. А. Лиеде,** Вопросы уголовного судопроизводства в трудах П. И. Стучка (О теоретическом наследии П. И. Стучки в Советской правовой науке), Рига, 1965, стр. 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწინააღმდეგებოდნენ № 2 დეკრეტს, მეორე დღესვე შესაბამისი წინადადებები შეეტანათ სახკომსაბჭოს სხდომაზე, რაც დეკრეტის გადასინჯვას გამოიწვევდა. შემდეგში დეკრეტი განხილულ იქნა შეტანილი ცვლილებებითა და შენიშვნებით.

შევჩერდეთ ლენინის შესწორებებზე. შესწორებები, რომლებიც ცვლიდა პროექტის შინაარსს, არსებითად და ნაწილობრივ ატარებდა რედაქციულ ხასიათს, ნათელყოფს იმ დიდ როლს, რომელიც შეასრულა ლენინმა სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის შემდგომ განვითარებაში.

პროექტი ითვალისწინებდა საოლქო სასამართლო წევრების გაწვევის უფლებას. ლენინმა მათ რიცხვს მიაკუთვნა აგრეთვე უზენაესი სასამართლო კონტროლის წევრები.

ლენინმა 25-ე მუხლს დაუმატა: დამცველთა კოლეგიაში შედიან პირები, რომლებიც არჩეული იქნებიან მუშათა და გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს მიერ.

34-ე მუხლს, სადაც წერია იმ განჩინებაზე და გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია 1917 წლის 25 ოქტომბერს შემდეგ მხარეებს უფლება ეძლევათ მოითხოვონ საქმის გადასინჯვა, ლენინმა დაუმატა სიტყვები — არსებული დეკრეტის ცხოვრებაში შემოღებამდე.

პროექტის მე-6 მუხლი ლენინმა შეავსო შემდეგით: უმაღლესი სასამართლო კონტროლის გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლიათ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებს.

ლენინმა პროექტში მრავალი სხვა შესწორებაც შეიტანა. სასამართლოს შესახებ მეორე დეკრეტში, რომელიც მომზადდა და მიღებულ იქნა ლენინის უშუალო მონაწილეობით მეტ-ნაკლებად რეგლამენტირებულია, საკასაციო წარმოება, სამართალში მიცემა, განსჯადობა და სამართალწარმოების სხვა ძირითადი საკითხები.

დეკრეტმა № 3 სასამართლოების შესახებ შემდეგ განავითარა და სრულყო პირველი ორ დეკრეტი, აგრეთვე დეკრეტი რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ. იგი განხილულ და მიღებულ იქნა 1917 წლის 13 ივნისს. დეკრეტს ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი.

№ 2 დეკრეტი სასამართლოს შესახებ წარმოადგენდა ვრცელ საკანონმდებლო აქტს, რომელიც აწესრიგებდა სასამართლოსა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მუშაობას; მესამე დეკრეტის წინაშე ეს ამოცანა აღარ იდგა. მასში გამოხატულება ჰპოვა განსჯადობის ზოგიერთმა საკითხმა. ასე, მაგალითად, მექრთამეობის საქმეები რევოლუციური ტრიბუნალების წარმოებიდან ამოღებულ იქნა. დეკრეტებმა რთული საქმეების წინასწარი გამოძიება საგამოძიებო კომისიებს დააკისრა. საერთოდ დეკრეტი წარმოადგენს სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილებაში ლენინური ხაზის გაგრძელებას.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ერთ წელზე ნაკლებ ვადაში სასამართლოს შესახებ რამდენიმე დეკრეტი მიიღო, მომწიფდა სასამართლოს შესახებ დებულების შემუშავების აუცილებლობა. 1918 წლის 2 სექტემბერს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაავალა კურსკის შეემუშავებინა დებულება 1919 წლის პირველი იანვრიდან ერთიანი სახალხო სასამართლოს შემოღების და ამ დროისათვის სამხარეო სასამართლოების გაუქმების შესახებ, რომელთა არსებობა პრაქტიკამ არ გაამართლა. 1918 წლის 30 ნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემბერს ცაკმა მიიღო იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულება რსფსრ-ს სახალხო სასამართლოების შესახებ. მასში გამოხატულება ჰპოვა ლენინის ძირითადმა მითითებებმა სასამართლოს შესახებ. იგი ადგენდა სამართალწარმოებასა და სასამართლო წყობილების ძირითად საწყისებს, არსებითად წარმოადგენდა სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების კანონთა კოდექსს. განხორციელდა ლენინური იდეა ერთიანი სასამართლოს შესახებ, რომელიც სულ მალე პარტიის VIII ყრილობამ მიიღო და იგი პროგრამაში შეიტანა. ლენინმა უშუალო მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ დეკრეტის შემუშავებაში. ამ დეკრეტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სამოქალაქო ომი და უცხოელთა ინტერვენცია მოითხოვდა მტკიცე ორგანიზებულ სასამართლო ორგანოს არსებობას. ამასთან საჭირო იყო ისეთი ნორმები, რომლებიც ეფექტურს გახდიდნენ აღნიშნული ორგანოს მუშაობას.

ის უდიდესი როლი, რომელიც ლენინმა ტრიბუნალების შესახებ დებულებების შექმნაში შეასრულა, საფუძველს იძლევა აღნიშნული დებულება განვიხილოთ როგორც ლენინური კანონი. იგი სახკომსაბჭომ ორჯერ განიხილა: 1917 წლის 30 მარტს და 4 მაისს. ორივეჯერ სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ი. ლენინი. პირველი პროექტი ლენინმა სრულყოფილად არ მიიჩნია და მკაცრად გააკრიტიკა. მეორედ განხილვის შემდეგ პროექტი მიღებულ იქნა მთელი რიგი ცვლილებებით. შენიშვნები საკმაოდ სერიოზულ ხასიათს ატარებდა. პროექტმა არ გაითვალისწინა ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ მექრთამეობის საქმეები დაქვემდებარებოდა ტრიბუნალების კომპეტენციას. ეს და მთელი რიგი სხვა შესწორებანი სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ იქნა.

ლენინი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სასამართლოების სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში. მაგალითად, ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა კანონპროექტი არასრულწლოვანთა გასამართლების შესახებ. აღნიშნული დეკრეტის პროექტი შეტანილი იყო სახკომსაბჭოში. ლენინმა მასში შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი და შენიშვნები. 1920 წლის 4 მარტს სახკომსაბჭოს მიერ დეკრეტი დამტკიცებულ იქნა.

ასეთია ზოგიერთი ისტორიული ფაქტი საბჭოთა სასამართლოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში ლენინის ფასდაუდებელი როლის შესახებ. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ეს მთელი ეპოქაა და ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა სასამართლო განუხრელად ახორციელებს პარტიისა და სახელმწიფოს ლენინურ პოლიტიკას. სასამართლო ფხიზლად დგას საბჭოთა კანონიერების დაცვის სადარაჯოზე, განუხრელად ახორციელებს სოციალისტურ საზოგადოებაში მართლმსაჯულების დაცვისა და განმტკიცების ლენინურ დეას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები

პროფ. ა. ფალიაშვილი

საბჭოთა პროკურატურის ორგანოების მუშაობის ორგანიზაციასა და მოღვაწეობას საფუძვლად უდევს ლენინური პრინციპები. პროკურატურის შექმნის ძირითადი პრინციპები შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილში „„ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“. ამ პრინციპებმა განმტკიცება და შემდგომი განვითარება ჰპოვა: „დებულებაში სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ (1933 წლის 17 დეკემბერი), 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციაში და „დებულებაში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ სსრ კავშირში“ (1955 წლის 24 მაისი).

საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის ლენინურ პრინციპებს მიეკუთვნება:

1. ცენტრალიზაცია და ერთიანობა; 2. დამოუკიდებლობა; 3. სოციალისტური კანონიერების დაცვა და 4. საზოგადოებრიობის ჩაბმა ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

1. ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპი. კანონიერების ერთგვაროვანი გაგება, გატარება და მის შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის გაწევა შეუძლებელია ისე, თუ პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობას საფუძვლად არ უდევს ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპი.

პროკურატურის ორგანოების ცენტრალიზაციის პრინციპი გულისხმობს ქვემდგომი პროკურორების დამორჩილებას ზემდგომი პროკურორისადმი და ყველა მათგანის დამორჩილებას სსრ კავშირის გენერალური პროკურორისადმი. პროკურატურის ორგანოების ერთიანობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ პროკურატურის ყველა ორგანო წარმოადგენს ერთიან ორგანიზაციას, სადაც ყოველი პროკურორი თავის კომპეტენციის ფარგლებში მთლიანად და სრულად ახორციელებს საბჭოთა პროკურატურისათვის კანონით მინიჭებულ ფუნქციებს.

პროკურატურის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპმა თავისი თეორიული დასაბუთება ჰპოვა ვ. ი. ლენინის წერილში „„ორმაგი “დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „პროკურატურის საკითხმა უთანხმოება გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის კომისიაში, რომელიც დანიშნულია სრულიად რუსეთის ცაკის სესიის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად“. „უთანხმოების არსი შემდეგში მდგომარეობს: სრულიად რუსეთის ცაკის მიერ არჩეული კომისიის უმრავლესობა პროკურატურის საკითხში წინააღმდეგია იმისა, რომ საპროკურორო ზედამხედველობის ადგილობრივი წარმომადგენლები ინიშნებოდნენ მხოლოდ ცენტრის მიერ და ექვემდებარებოდნენ მხოლოდ ცენტრს. უმრავლესობა მოითხოვს ეგრეთწოდებულ „ორმაგ“ დაქვემდებარებას, რაც საერთოდ დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია ყველა ადგილობრივი მუშაკისათვის, ე. ი. მათს დაქვემდებარებას, ერთი მხრივ ცენტრისადმი სათანადო სახკომის სახით, მეორე მხრივ — ადგილობრივი საგუბერნიო აღმასკომისადმი"[1].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ: „ორმაგი" დაქვემდებარება აუცილებელია იქ, სადაც საჭიროა იცოდე გათვალისწინება განსხვავების ნამდვილად არსებული აუცილებლობისა. მიწათმოქმედება კალუგის გუბერნიაში სხვაა, ვიდრე ყაზანის გუბერნიაში"[2]. რაც შეეხება კანონიერებას, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „კანონიერება შეუძლებელია ასრებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვისაც კი?"[3].

ეხებოდა რა პროკურატურის ორგანოების უფლება-მოვალეობას კანონიერების ერთნაირი გაგების საკითხში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „პროკურორს უფლება აქვს და ვალდებულიცაა ერთი რამ გააკეთოს: თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგეხას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა".[4] პროკურატურის ორგანოების „ორმაგი" დაქვემდებარების საკითხის განხილვის შედეგად ვ. ი. ლენინი თავის წერილში აღნიშნავდა: „ამიტომ წინადადებას ვაძლევ ც.კ-ს უარყოს ამ შემთხვევაში „ორმაგი" დაქვემდებარება, დააწესოს პროკურორის ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარება მხოლოდ ცენტრისადმი და პროკურორის ხელისუფლებას შეუნარჩუნოს უფლება და ვალდებულება — გააპროტესტოს ადგილობრივ ხელისუფალთა ყველა და ყოველგვარი გადაწყვეტილება"[5].

ვ. ი. ლენინის ამ დებულების შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 117-ე მუხლში ნათქვამია, რომ „პროკურატურის ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს"[6]. ამაზევეა ლაპარაკი აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობის დებულების მე-5 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ პროკურატურის ორგანოები სსრ კავშირში შეადგენენ ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, ამასთან ქვემდგომი პროკურორები ექვემდებარებიან ზემდგომ პროკურორებს.

პროკურატურის ორგანოების ცენტრალიზაციის ლენინური პრინციპი კი არ გულისხმობს მარტო ქვემდგომი პროკურორების დამორჩილებას ზემდგომი პროკურორებისადმი, არამედ იმასაც, რომ ყველა პროკურორი ინიშნება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ ან მასთან შეთანხმების საფუძველზე. ეს პრინციპი ითვალისწინებს აგრეთვე პროკურატურის ორგანოების მუშაკების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესის დადგენას.

პროკურატურს ორგანოების ცენტრალიზაციის ლენინური პრინციპი გულისხმობს ზემდგომი პროკურორის პასუხისმგებლობას ქვემდგომი პროკურო-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 427.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33. გვ. 428.
[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 428.
[4] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 429.
[5] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 432.
[6] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 432.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მუშაობისათვის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

პროკურატურის ორგანოების ერთიანობის ლენინური პრინციპი გამოიხატება იმითაც, რომ ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს მიიღოს თავის თავზე ქვემდგომი პროკურორის ფუნქციების შესრულება და პირიქით, ზოგიერთი თავისი ფუნქციების შესრულება დააკისროს ქვემდგომ პროკურორს. ქვემდგომ პროკურორს არ შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ისეთი ფუნქციების შესრულება, რომელთა განხორციელება, კანონის თანახმად, შეუძლია მხოლოდ ზემდგომ პროკურორს. მაგალითად, ზემდგომ პროკურორს არ შეუძლია დააკისროს ქალაქის (რაიონის) პროკურორს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გაპროტესტება, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს არ შეუძლია დააკისროს ქვემდგომ პროკურორს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების გაპროტესტება, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს არ შეუძლია დააკისროს რესპუბლიკის პროკურორს საკავშირო მინისტრების მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო ბრძანებების გაპროტესტება და სხვ.

პროკურატურის ორგანოების ერთიანობის პრინციპი გულისხმობს იმასაც, რომ საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ერთი პროკურორი ავადმყოფობის, მივლინების ან სხვა გარემოების გამო შეიძლება შეიცვალოს მეორე პროკურორით.

კანონების შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელების სწორი ორგანიზაცია შეუძლებელია ისე, თუ პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობაში მტკიცედ და განუხრელად არ იქნება დაცული ცენტრალიზაციისა და ერთიანობის ლენინური პრინციპი.

2. დამოუკიდებლობის პრინციპი. ეს პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპთან. პროკურატურის დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია ამ ორგანოების ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპის გარეშე. ამიტომაც ზღვარი მათ შორის პირობითია.

პროკურატურის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის დამოუკიდებლობის ლენინური პრინციპი იმით გამოიხატება, რომ პროკურატურის ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ დამოუკიდებლად და ექვემდებარებიან სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობის პრინციპმა, როგორც ზემოთ დავინახეთ, თავისი თეორიული დასაბუთება ჰპოვა ვ. ი. ლენინის წერილში „„ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ და ასახულია როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციის 117-ე მუხლში, ისე დებულებაში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ (მუხლი 6).

პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობის ლენინური პრინციპი იმას გულისხმობს, რომ კანონის შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელების დროს პროკურორი ემორჩილება და ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის მოთხოვნით, აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით. საპროკურორო ზედამხედველობის დებულების მე-8 მუხლის თანახმად სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მოქმედი კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულოა პროკურატურის ყველა ორგანოსათვის.

პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობის პრინციპი იმითაც გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხატება, რომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი პასუხსმგებელია და ანგარიშვალდებულია მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში კი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

პროკურატურის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის დამოუკიდებლობის ლენინური პრინციპი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პროკურატურის ორგანოები თავიანთ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან მოწყვეტით, რომ მათ შორის არ არსებობს კონტაქტი. პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობა პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით გამომდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციის 126-ე მუხლის მოთხოვნიდან, სადაც აღნიშნულია, რომ სკკპ წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს. პროკურატურისა და პარტიული ორგანოების კონტაქტის შესახებ ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა წერილში „„ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“. პროკურატურა „სამი პარტიული დაწესებულების უახლოესი მეთვალყურეობით მუშაობს და სრულიად უშუალო კონტაქტშია ამ სამ დაწესებულებასთან, რომლებიც წარმოადგენენ მაქსიმალურ გარანტიას ადგილობრივი და პირადი გავლენების წინააღმდეგ, სახელდობრ: ც.კ-ის ორგბიურო, ც.კ-ის პოლიტბიურო და ცენტრალური საკონტროლო კომისია...“[7]

პროკურატურის ორგანოებმა მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყარონ აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთანაც, რომლებსაც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ეკისრებათ მეთვალყურეობა კანონიერების დაცვისადმი. ყველა შემთხვევაში პროკურატურისა და ადგილობრივ ორგანოებს შორის კონტაქტი არ უნდა გასცილდეს დაწესებულ ზღვარს. არც ერთ ორგანოს არა აქვს უფლება ჩაერიოს პროკურატურის ოპერატიულ საქმიანობაში და მიუთითოს პროკურორს, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს მან კონკრეტული საქმე.

3. სოციალისტური კანონიერების დაცვის პრინციპი. ვ. ი. ლენინი წერილში „„ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ არაერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს სოციალისტური კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვა. სოციალისტური კანონიერების დაცვისა და უზრუნველყოფის ლენინური პრინციპი საუფძვლად უდევს და განაპირობებს პროკურატურის ორგანოების მუშაობას სსრ კავშირში. სსრ კავშირის კონსტიტუციის 113-ე მუხლის შესაბამისად პროკურატურა ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას კანონების ზუსტად შესრულებისადმი ყველა სამინისტროს და მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების მიერ, სსრ კავშირის ყველა მოქალაქის მიერ. ასეთი გარემოება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თვით პროკურატურის მოღვაწეობაში არ უნდა იყოს დაცული კანონიერება. პირიქით, სოციალისტური კანონიერების პრინციპი პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობაში იძენს განსაკუთრებულ ძალას. პროკურორის მიერ კანონის დარღვევა ან გვერდის ახვევა ბღალავს პროკურატურის ავტორიტეტს, ხელს უშლის ჩვენ სახელმწიფოში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

ყველა პროკურორის მოვალეობა ზედამხედველობის განხორციელების პროცესში იმით გამოიხატება, რომ იხელმძღვანელონ მხოლოდ კანონის მოთხოვნით და განუხრელად შეასრულონ კანონი.

---

[7] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33. გვ. 431.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემდგომი პროკურორი ვალდებულია სისტემატური კონტროლი გაუწიოს სოციალისტური კანონიერების დაცვას ქვემდგომი პროკურატურის მოღვაწეობაში. კანონის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს ზემდგომი პროკურორის სათანადო რეაგირების გარეშე. სოციალისტური კანონიერების დაცვას მიეკუთვნება აგრეთვე ქვემდგომი პროკურორის მოვალეობა, რომ ყველა პროტესტისა და წარდგინების პირები გადაუგზავნოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომ პროკურორს უნდა გადაეგზავნოს აგრეთვე ყველა იმ ბრძანებისა და ინსტრუქციის პირები, რომლებსაც გამოსცემენ პროკურატურის შესაბამისი ორგანოები თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში; მასვე უნდა ეცნობოს ყველა მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი პროკურორი მივა დასკვნამდე, რომ ქვემდგომმა პროკურორმა დაარღვია კანონი, მან უნდა მიიღოს ზომები დარღვეული კანონის აღსადგენად.

სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა სსრ კავშირში ეკისრება არა მარტო პროკურატურის ორგანოებს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველას თავის კომპეტენციის ფარგლებში. იმ ორგანოებსა და ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს თავიანთი უწყების ფარგლებში (საუწყებო კონტროლი) პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას კანონის ზუსტად შესრულებაზე, მიუხედავად რაიმე საუწყებო ფარგლებისა.

საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც უმაღლესი ზედამხედველობა, ხორციელდება ყველა სამინისტროსა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების. თანამდებობის პირების და სსრ კავშირის მოქალაქეების მიმართ. საპროკურორო ზედამხედველობისათვის არ არსებობს საუწყებო ბარიერი, იგი ეხება ყველა უწყებას, მაღლა დგას საუწყებო კონტროლზე და ეხება მხოლოდ ერთ საკითხს — კანონთა ზუსტად შესრულებას, მის ერთგვაროვნად გატარებაზე. საპროკურორო ზედამხედველობას უმაღლესი ზედამხედველობა ეწოდება იმიტომ, რომ მას ახორციელებს საგანგებოდ შექმნილი სახელმწიფო ორგანო (პროკურატურა) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით.

საბჭოთა პროკურატურის ზედამხედველობა კანონთა შესრულებაზე არსებითად განსხვავდება სახელმწიფო (საუწყებო) ორგანოების კონტროლისაგან:

ა) საპროკურორო ზედამხედველობა კანონთა შესრულებაზე არის ყოვლის მომცველი. იგი ეხება ყველა სამინისტროს და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებს, მაშინ როცა საუწყებო კონტროლი შეზღუდულია შესაბამისი უწყების ფარგლებით;

ბ) პროკურატურა ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას მხოლოდ კანონთა ზუსტ შესრულებაზე და არ ერევა მოცემული უწყების ოპერატიულ და საძეურნეო ცხოვრებაში, არ ხელმძღვანელობს მას. ზემდგომი საუწყებო ორგანო ახორციელებს კონტროლს არა მარტო კანონების დაცვაზე, არამედ ოპერატიულ და სამეურნეო საქმიანობაზეც. იგი ამასთანავე ხელმძღვანელობს და წარმართავს ქვემდგომი ორგანოს მუშაობას;

გ) ზედამხედველობის განხორციელების დროს პროკურატურა არ ამოწმებს იმას, თუ როგორ სრულდება ზემდგომი საუწყებო ორგანოს მიერ გამოცემული ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა სამართლებრივი ხასიათის აქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხის შესწავლა შედის საუწყებო კონტროლის სფეროში. პროკურატურა მხოლოდ ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება კანონს თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ბრძანებები, ინსტრუქციები და სამართლებრივი ხასიათის სხვა აქტები;

დ) ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურატურა უფლებამოსილი არ არის უშუალოდ ჩატაროს ამა თუ იმ ორგანიზაციის რევიზია, მას მხოლოდ შეუძლია ამის შესახებ დააყენოს საკითხი სათანადო თანამდებობის პირის წინაშე, მაშინ როცა საუწყებო კონტროლის დროს ზემდგომი ორგანო უფლებამოსილია უშუალოდ ჩაატაროს ქვემდებარე ორგანიზაციის რევიზია;

ე) თუ ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურატურა დაადგენს, რომ სამართლებრივი ხასიათის აქტი არ შეესაბამება კანონს, მას შეუძლია დააყენოს საკითხი კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ. პროკურატურა უფლებამოსილი არ არის უშუალოდ გააუქმოს კანონსაწინააღმდეგო აქტი, მაშინ როცა ზემდგომ საუწყებო ორგანოს შეუძლია უშუალოდ გააუქმოს ის ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი ხასიათის აქტი;

ვ) ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურორს უფლება არა აქვს უშუალოდ დაადოს დამნაშავე პირს ადმინისტრაციული ან დისციპლინარული სასჯელი. პროკურორს შეუძლია მხოლოდ დააყენოს საკითხი, რომ შესაბამის თანამდებობის პირს დაედოს დისციპლინარული ან ადმინისტრაციული სასჯელი სამსახურებრივი გადაცდომისათვის.

4. საზოგადოებრიობის ჩაბმა ზედამხედველობის განხორციელების პროცესში. პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობა თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია პროკურატურის მუშაობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის გარეშე. საპროკურორო ზედამხედველობის რომელი დარგიც უნდა ავიღოთ, ყველგან უნდა იყოს გამოყენებული საზოგადოებრიობა, მისი დახმარება და ძალა. პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობაში დიდი როლი ეკუთვნით პროკურორისა და გამომძიებლის საზოგადოებრივ თანაშემწეებს. მათი მეშვეობით და დახმარებით პროკურორი (გამომძიებელი) ატარებს სხვადასხვა ხასიათის შემოწმებებს, მასალის შესწავლასა და განზოგადებას. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს და სხვ.

პროკურატურის ორგანოები მუშაობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ კომისიებთან მჭიდრო კონტაქტში. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საძეთვალყურეო კომისიების დიდი როლი.

საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში გარკვეულ როლს ასრულებენ აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები, სახალხორაზმელები, სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიები და სხვ.

ამრიგად, პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობაში საზოგადოებრიობის ჩაბმა წარმოადგენს ამ ორგანოების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ლენინურ პრინციპს. ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე (1921 წელი) სამართლიანად მიუთითებდა, რომ ფართო საზოგადოებრიობამ „დამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებელი, სწრაფი და საქმიანი მონაწილეობა მიიღონ კანონიერების დაცვის მეთვალყურეობის საქმეში"[8].

ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების დროს სრულებითაც არ ნიშნავს პროკურატურის ორგანოების როლის შესუსტებას ან პროკურორის სამსახურებრივი და პროცესუალური ფუნქციების საზოგადოებრიობისათვის გადაცემას. საზოგადოებრიობის მონაწილეობა მიზნად უნდა ისახავდეს საპროკურორო ზედამხედველობისათვის ხელის შეწყობას, დახმარების აღმოჩენას.

პროკურატურის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ ლენინურ პრინციპად იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია აგრეთვე პროკურატურის ორგანოების ერთმმართველობის პრინციპი[9], რომლის არსი იმაში გამოიხატება, რომ ყოველი პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ერთპიროვნულად წყვეტს ყველა წამოჭრილ საკითხს და პასუხს აგებს ამ საკითხების გადაწყვეტის სისწორისათვის. საკითხის კოლეგიური განხილვის შედეგები ხელმძღვანელი პროკურორისათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.

პროკურატურის ერთმმართველობის პრინციპი, როგორც პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობის ლენინური პრინციპი, სწორად არ არის გაგებული. ვ. ი. ლენინი თავის წერილში „„ორმაგი" დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ" პროკურატურის ერთმმართველობის საკითხს განიხილავდა როგორც მეორეხარისხოვანს და უკავშირებდა მას პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობის კოლეგიურობას. იგი აღნიშნავდა: „მე არ ვეხები საკითხს, სარგებლობს თუ არა გენერალური პროკურორი ერთპიროვნული ძალაუფლებით თუ ამ ძალაუფლებას უზიარებს უმაღლეს ტრიბუნალსა და იუსტიციის სახკომის კოლეგიას, რადგან ეს საკითხი სავსებით მეორეხარისხოვანია"[10].

ამრიგად, პროკურატურის ორგანოების ერთმმართველობის საკითხი არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციის ლენინური პრინციპი. ერთმმართველობა პროკურატურის ორგანოებში წარმოადგენს მხოლოდ ხელმძღვანელობის ფორმას, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებული და შეხამებულია საკითხების კოლეგიურ განხილვა-გადაწყვეტასთან.

---

[8] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33. გვ. 203.

[9] იხ. **Тадевосян В. С.** Прокурорский надзор в СССР, М., 1956, გვ. 77—78; **Лебединский В .Г., Каирнов Ю. А.** Прокурорский надзор в СССР, М., 1957, გვ. 59.

[10] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33. გვ. 431.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს შესახებ

აკ. მენაბდე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს ცენტრალური ადგილი უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმში. ცნობილია, რომ ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხი — ესაა საკითხი ხელისუფლების შესახებ. მარქსიზმი გვასწავლის, რომ კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობა შეუძლებელია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს შექმნის გარეშე.

მარქსმა დაამტკიცა, რომ ბრძოლას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე. 1875 წელს ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკა“ მარქსი წერდა, რომ „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის არის პირველის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდიც, და ამ პერიოდის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“[1].

ლენინმა აღადგინა მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მან გაწმინდა იგი კაუცკიანელების და ბერშტეინელების ოპორტუნისტულ დამახინჯებათაგან. ამასთანავე ერთად ლენინმა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ახალ ისტორიულ პირობებში, საერთაშორისო და რუსეთის მუშათა მოძრაობის გამოცდილების გათვალისწინებით, შემდგომ განავითარა მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, გაშალა და გააშუქა მისი ისტორიული მიზნები და ამოცანები, კლასობრივი ბუნება, მისი სისტემა და მექანიზმი; მან დაამუშავა საკითხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლისა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

„განვითარება წინ, ე. ი. კომუნიზმისაკენ, მიდის პროლეტარიატის დიქტატურის გზით და სხვაგვარად ვერც წავა, ვინაიდან ექსპლოატატორი კაპიტალისტების წინააღმდეგობის გატეხა სხვას არავის არ შეუძლია და სხვა გზით არ შეიძლება“[2].

ლენინი აწარმოებდა ბრძოლას გავრცელებული შეხედულების წინააღმდეგ, რომ მარქსის მოძღვრებაში ძირითადს თითქოს კლასთა ბრძოლა წარმოადგენდა. ლენინი ამტკიცებდა, რომ მარქსისტია მხოლოდ ის, ვისაც კლასთა ბრძოლა დაჰყავს პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე. ეს ლენინური დებულება ახლაც მთლიანად ინარჩუნებს თავის ძალას.

ლენინმა მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის კლასიკური განსაზღვრა: „პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლისმღვრელი

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 19, стр. 27.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 25, გვ. 573-574.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უსისხლო, ძალადატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ“[3].

პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის ძალადობა ექსპლოატატორული კლასების მიმართ, მათზე ბატონობა. მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ უნდა გავიგოთ როგორც პროლეტარიატის დიქტატურის არსისა და შინაარსის სრული გამოხატულება. სწორედ ასე ამახინჯებენ მას ბურჟუაზიული და სოციალ-რეფორმისტული პოლიტიკოსები და იდეოლოგები, რომელთაც პროლეტარიატის დიქტატურა ტერორიზმამდე, შიშველ ძალადობამდე დაჰყავთ.

პროლეტარიატის დიქტატურა არ წარმოადგენს მარტო ძალადობას ექსპლოატატორთა მიმართ. იგი არის სოციალისტური მშენებლობის აუცილებელი პოლიტიკური პირობა და უმნიშვნელოვანესი იარაღი.

ლენინი განსაკუთრებით აღნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ღრმად დემოკრატიულ, შემოქმედებით ხასიათს. ის წერდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო უნდა იყოს „ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ დემოკრატიული (პროლეტართა და საერთოდ უქონელთათვის) და ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ დიქტატორული (ბურჟუაზიის წინააღმდეგ)“[4].

პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად წარმოადგენს დემოკრატიულ ხელისუფლებას. მსოფლიოში პირველად, ამბობდა ლენინი, საბჭოთა ანუ პროლეტარულმა ხელისუფლებამ შექმნა დემოკრატია მშრომელთა მასებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის.

ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელმაც შეასრულა გარკვეული პროგრესული როლი კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, წარმოადგენს ექსპლოატატორული უმცირესობის დემოკრატიას, კაპიტალისტთა კლასის ფაქტიურ დიქტატურას, ის უპირისპირდება სოციალისტურ დემოკრატიას.

პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს, რომ მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია უხელმძღვანელოს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ მასას კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობის და მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შექმნაში.

პროლეტარიატის დიქტატურა საშუალებას აძლევს მუშათა კლასს, მშრომელებს — კაპიტალის ძალას, მის მმართვის გამოცდილებას, კერძომესაკუთრულ იდეოლოგიასა და ფსიქოლოგიას დაუპირისპიროს პროლეტარული რწმენის, შეგნებულობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ძალა[5].

პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან. ეს კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ახლაც წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების სიმტკიცის საფუძველს, კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პირობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმების შესახებ.

პარიზის კომუნა იყო პირველი სახელმწიფო, რომლის სტრუქტურაში თან-

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 35.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 508.

[5] იხ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ლენინის დაბადების 100 წლისთავის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდევრულად გამოიხატა ახალი ტიპის ხელისუფლების დამახასიათებელი თავისებურებანი. პარიზის კომუნაში მარქსმა და ენგელსმა დაინახეს იმ კონკრეტულ რესპუბლიკურ, თანამიმდევრულად — დემოკრატიულ დაწესებულებათა ნიმუში, რომელთაც შეუძლია პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების წარმატებით განხორციელება. მაგრამ მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში, 1871 წლის შემდეგ, მოძღვრებას პარიზის კომუნის ტიპის რესპუბლიკაზე როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმაზე არ მიუღია შემდგომი განვითარება.

1891 წელს ენგელსი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერფურტის პროგრამის კრიტიკისას მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ფორმა შეიძლება იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახალი კლასობრივი შინაარსით. ენგელსის ამ დებულებით ხელმძღვანელობდნენ ყველა ქვეყნის მარქსისტები რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. მხოლოდ 1917 წელს ლენინმა თავის ცნობილ აპრილის თეზისებში წამოაყენა საბჭოების რესპუბლიკის იდეა. „პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელს ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე“[6].

ეს იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენა. საბჭოების რესპუბლიკა გახდა პროლეტარიატის დიქტატურის კლასიკური სახელმწიფოებრივი ფორმა.

მაგრამ ლენინს სრულიადაც არ მიაჩნდა საბჭოები პროლეტარიატის დიქტატურის ერთადერთ შესაძლო სახელმწიფოებრივ ფორმად. ლენინი გვასწავლიდა, რომ „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: **„პროლეტარიატის დიქტატურა“**[7].

ლენინმა არა მარტო აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმა, არამედ იგი იყო აგრეთვე მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი და გენიალური ხელმძღვანელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, მისი ორგანოების სისტემა და საკანონმდებლო წესით განმტკიცდა საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ლენინური პრინციპები, სამართლებრივი სტატუსი, გამგებლობის საგანი, უფლებანი და მოვალეობანი.

ლენინმა როგორც პირველი მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ გვიჩვენა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ნიმუში. ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში იგი ნერგავდა მუშაობის მეცნიერულ მეთოდებს, ცდილობდა საუკეთესო გამოცდილების გავრცელებას ყველა დაწესებულებაში, ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდა წესრიგისა და დისციპლინის დამყარებას, გარკვეულობასა და საქმიანობას, დროისა და საშუალებების ეკონომიურად ხარჯვას, ებრძოდა ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებასა და სხვა ნაკლოვანებებს საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში. **„ადამიანთა შემოწმე-**

---

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 6.
[7] ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 507.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი"[8].

სახკომსაბჭოს საქმიანობის მაგალითზე ლენინმა უჩვენა, თუ როგორ უნდა მართო კულტურულად აპარატი და მასში მომუშავე ადამიანები, მოაწყო აპარატის მუშაობა, განსაზღვრო მისი ცალკეული რგოლის კომპეტენცია, გაანაწილო მოვალეობანი თანამშრომელთა შორის, მოითხოვო ამ მოვალეობათა აღსრულება და შეამოწმო შედეგები.

ლენინის ინიციატივით იქნა მიღებული საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ყველა ძირითადი დეკრეტი; მათი უმრავლესობა ლენინის ხელით იყო დაწერილი. მან დაამუშავა საბჭოთა პოლიტიკის საფუძვლები ცხოვრების ყველა სფეროში, წვდებოდა მეურნეობისა და ქვეყნის მმართვის სრულიად სხვადასხვაგვარ საკითხებს.

პირველხარისხოვან მნიშვნელობას ლენინი ანიჭებდა კადრების შერჩევასა და აღზრდას, მათი პრაქტიკული საქმიანობის შემოწმებას. სახელმწიფო საქმეები, მიუთითებდა ლენინი, არაჩვეულებრივად რთულია, და მათ რომ გაართვა თავი უნდა იყო კომპეტენტური, საჭიროა გქონდეს გარკვეული მეცნიერული განათლება, საჭიროა სოციალიზმისა და მშრომელთა ინტერესების ერთგული კადრები. ლენინი მოითხოვდა იმ კომუნისტების გადაყენებას თანამდებობიდან, რომელთაც არ სურთ სერიოზულად ისწავლონ მართვა-გამგეობა.

ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა სახალხო კომისარიატების მუშაობას, მათი კომპეტენციის განსაზღვრას, მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას, სწორი ურთიერთობის დამყარებას სახკომსაბჭოსთან, ცაკთან და მის პრეზიდიუმთან, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან. ვ. ი. ლენინი იღებდა ზომებს იმ ნორმატიული აქტების შესამუშავებლად და გამოსაცემად, რომლებიც აწესრიგებდნენ სახალხო კომისარიატების, კომიტეტებისა და სხვა უწყებების სამართლებრივ მდგომარეობას.

ეს ლენინური მოთხოვნები დღესაც მტკიცედ უნდა სრულდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენს ბევრ დაწესებულებას არ აქვს დებულება, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მის სტრუქტურას, უფლებებსა და მოვალეობებს. ლენინის მითითებათა შესაბამისად აუცილებლად უნდა დაევალოს ყველა სამინისტროსა და უწყებას უზრუნველყონ მათი საქვეუწყებო დაწესებულებათა დებულებების შემუშავება და დამტკიცება.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მსოფლიო განვითარების მთელმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა სისწორე მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულა გადამწყვეტი როლი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელ პირობას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

მარქსიზმის კლასიკოსებს, ცხადია, არ შეეძლოთ მთლიანად გაეთვალისწინებინათ ყველა სიახლე, რასაც მოგვცემდა ისტორიული გამოცდილება, კერძოდ კი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების კონკრეტული ფორმები სრული სოციალიზმისა და კომუნიზმში გადასვლის პერიოდში. მაგრამ მათ განჭვრიტეს, რომ ექსპლოატატორთა დათრგუნვის ფუნქციის გაქრობასთან ერთად

---

8 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად მთავრდება ისტორია სახელმწიფოსი იმდროინდელი გაგებით. ლენინი გვასწავლიდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში „სახელმწიფო კვდება, რამდენადაც კაპიტალისტები უკვე აღარ არსებობენ, კლასები უკვე აღარ არსებობენ და ამიტომ რომელიმე **კლასის დათრგუნვა** არ შეიძლება. მაგრამ სახელმწიფო სავსებით ჯერ კიდევ არ მომკვდარა... სახელმწიფოს სრული კვდომისათვის სრული კომუნიზმია საჭირო“[9].

იმდროინდელი საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა არ იძლეოდა საფუძველს, რომ უფრო სრულად გამოკვლეულიყო საკითხი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებისა კომუნიზმის უმაღლესი ფაზის მშენებლობის პირობებში.

ამჟამად, როდესაც ჩვენ ავაშენეთ სოციალიზმი, შესაძლებელი და აუცილებელი გახდა მეცნიერულად განსაზღვრულიყო სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განვითარების კონკრეტული ფორმები. პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ, მოსპო რა ექსპლოატატორული კლასები და უზრუნველყო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, შეასრულა თავისი ისტორიული მისია და გარდაიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ.

საერთო-სახალხო სახელმწიფო არის ხალხის ორგანიზებული სრულძალაუფლებიანობა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს კანონზომიერი განვითარების შედეგი. საერთო-სახალხო სახელმწიფომ შეინარჩუნა და შემდგომ განავითარა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ყველა ძირითადი ფუნქცია, გარდა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვისა, მათი მთლიანად ლიკვიდაციის გამო.

სოციალისტური სახელმწიფოს დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ემყარება მშრომელთა ყოვლისმომცველ შემოქმედებით მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის მართვაში. საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას თავიდანვე მიაჩნდათ ძირითად ამოცანად მშრომელთა მილიონების ჩაბმა სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობაში.

ჩვენი განვითარების ახალ ეტაპზე კომუნისტურმა პარტიამ ახალი ძალით დასახა ამოცანა — ჩააბას უკლებლივ ყველა მშრომელი საზოგადოების საქმეთა მართვაში. სწორედ ესაა სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება. რასაკვირველია, ამ საქმეში ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ნაკლი, რომელიც ხელს უშლის შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. პარტია მოითხოვს და ხელმძღვანელობს ამ ნაკლის ძირფესვიანად ამოფხვრას.

პარტია თანმიმდევრულად ატარებს ღონისძიებებს მმართველობის აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ წლებში განხორციელდა დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებანი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. განხორციელებულია უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული ღონისძიებანი მმართველობის აპარატის სრულყოფისათვის.

ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა

---

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 582.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭომ მიიღო ახალი დადგენილება „მმართველობის აპარატის სრულყოფისა და გაიაფების ღონისძიებათა შესახებ“ („პრავდა“, 24 ოქტომბერი, 1969 წ.). პარტია და მთავრობა დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ სერიოზულად მოჰკიდონ ხელი აპარატის სტრუქტურის სრულყოფას, აღკვეთონ დუბლირება და პარალელიზმი, შექმნან ისეთი პირობები, რომ ყოველ მუშაკს შეეძლოს თავისი ცოდნისა და უნარის მაქსიმალური გამოვლენა.

აღნიშნული დადგენილება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მარტო საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, არამედ მეცნიერ-მუშაკებსაც — ეკონომისტებს, იურისტებს და სხვებს, რომლებიც ვალდებული არიან ფართოდ ჩაებან სამმართველო აპარატის სრულყოფისათვის მუშაობაში.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო შექმნილია ცხოვრების კანონზომიერი მოთხოვნით, ის განაგრძობს ბუნებრივ ზრდასა და სრულყოფას. ეს განვითარება მიმდინარეობს პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე და გამოიხატება მეურნეობის ახალ მოთხოვნილებათა შესაფერი, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმებისა და მეთოდების გამომუშავებაში.

ისტორიულ განვითარებას აუცილებლობით მივყავართ სახელმწიფოს კვდომამდე. სახელმწიფოს სრული სიკვდილისათვის აუცილებელია შეიქმნას როგორც საშინაო პირობები — განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება, ისე საგარეო პირობები — სოციალიზმის გამარჯვება და განმტკიცება საერთაშორისო მასშტაბით.

სახელმწიფოს კვდომის პროცესი ამავე დროს არის მისი უმაღლესი განმტკიცებისა და გაძლიერების პროცესი. სოციალისტური სახელმწიფო კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანათა შესრულების კვალობაზე თანდათანობით თავისუფლდება ადამიანთა მმართვის პოლიტიკური ფუნქციებისაგან და გადადის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების გზით.

სახელმწიფოს კვდომის დიალექტიკა ისაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ყოველგვარი ხელისუფლების გაქრობასთან, არამედ საერთო სახალხო სახელმწიფოს ხასიათის, ბუნების შეცვლის კანონზომიერ პროცესთან მისი სრულყოფისა და კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ორგანიზაციაში გადაზრდის გზით. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იძულების სახელმწიფო ორგანოების კვდომას და სახალხო მეურნეობისა და კომუნისტური საზოგადოების სხვა საქმეთა მმართვის ორგანოების სრულყოფას.

ვლაპარაკობთ რა სოციალისტური სახელმწიფოს კვდომაზე სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შემდეგ, უნდა გვახსოვდეს ი. ბ. სტალინის ფრიად მნიშვნელოვანი მითითება ამ სახელმწიფოს შენარჩუნების აუცილებლობაზე კომუნისტური სახელმწიფოს აშენების შემდეგაც იმპერიალისტური ბანაკის არსებობის პირობებში.

კომუნისტური პარტია, რომელსაც მიჰყავს საბჭოთა ხალხი ლენინური კურსით და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინის ანდერძს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში, სისტემატურად ამაღლებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლსა და პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, აფართოებს მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიულ ფორმებს, სულ უფრო ფართოდ აბამს მშრომელებს სახელმწიფოს მმართვის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი—საბჭოთა დიპლომატიის ფუძემდებელი

გ. ჟვანია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღიდან საბჭოთა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდნენ სავსებით ახალი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, რასაც უნდა უზრუნველეყო თუნდაც მინიმალურად ხელსაყრელი, აუცილებელი პირობები სოციალისტური რესპუბლიკის არსებობისათვის მტრულ საერთაშორისო გარემოცვაში: იმპერიალისტური ომის შეწყვეტა, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ძალების მობილიზაცია შინაგანი კონტრრევოლუციის დასათრგუნავად, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის დამყარება კაპიტალისტურ ქვეყნებთან და სხვ.

„...ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდანვე — ამბობდა ლენინი საბჭოების VI საგანგებო ყრილობაზე 1918 წლის 8 ნოემბერს — საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხი ჩვენს წინაშე წარმოსდგა როგორც ყველაზე მთავარი საკითხი“[1].

ახალი ტიპის სახელმწიფოს, სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურმა მიზნებმა განაპირობეს არსებითად ახალი დიპლომატიის მომარჯვება, რადგან დიპლომატია — ესაა სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობისა და სპეციალური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, რომელიც მიმართულია საგარეო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და მდგომარეობს უცხო სახელმწიფოებთან ოფიციალური ურთიერთობის განხორციელებაში მიმოწერის, მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, აგრეთვე სხვა მშვიდობიანი საშუალებებით[2].

სოციალისტური სახელმწიფოს დიპლომატია, მისი მეთოდების ჩამოყალიბება შემზადებული იყო ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე: მარქსი და ენგელსი სასტიკად კიცხავდნენ ბურჟუაზიული დიპლომატიის რეაქციულ არსს და პროლეტარული სახელმწიფოს დიპლომატიას მიზნად უსახავდნენ ბრძოლას მშვიდობისათვის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისათვის; ლენინი, ეხმაურებოდა რა საერთაშორისო მოვლენებს, ნიღაბს ხდიდა იმპერიალისტური ქვეყნების მტაცებლურ საგარეო პოლიტიკას, კოლონიების მოტაცების და ამ მიზნით იმპერიალისტური ომების მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკას; ლენინმა ჩამოაყალიბა მოძღვრება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ, დაასაბუთა I მსოფლიო ომში მუშათა კლასის პოზიცია — „თავისი“ მთავრობის დამარცხებისა და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის პოზიცია; ლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოცემა მეოთხე, ტ. 28, გვ. 171.

[2] შეად. Д. Б. Левин, Дипломатия, Москва, 1962, გვ. 8—15. ჩვეულებრივ დიპლომატიის ცნებაში სულ სხვადასხვა შინაარსს გულისხმობენ, მაგალითად, დიპლომატის მოხერხებულობას, ზოგჯერ — მის ცბიერებას და ა. შ. (იხ. **Э. Сатоу**, Руководство по дипломатической практике, М., 1947, გვ. 28; **Г. Никольскон**, Дипломатия, М., 1941, გვ. 19). დიპლომატიის ასეთი გაგება არ უნდა ავრიოთ მის ნამდვილ მნიშვნელობაში, განსაკუთრებით როცა მხედველობაში გვაქვს საბჭოთა დიპლომატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინის რევოლუციამდელ ნაშრომებში მხილებული იყო ბურჟუაზიული პაციფიზმის სიყალბე და სოციალ-შოვინიზმის გამცემლობა, მოხაზული იყო დემოკრატიული ზავის პროგრამა, ჩამოყალიბებული იყო ხალხთა თვითგამორკვევისა და ანტიკოლონიური ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები.

ოქტომბრის გადატრიალებისთანავე შეუდგა საბჭოთა მთავრობა ლენინის ხელმძღვანელობით გადაუდებელი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას. მისი პირველივე საგარეო-პოლიტიკური აქტი — საბჭოების II ყრილობის დეკრეტი ზავის შესახებ დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ. საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიამ არ იცის უფრო დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი. გარდა პრაქტიკული მიზანდასახულობისა — ჭეშმარიტად დემოკრატიული ზავით ბოლო მოეღო იმპერიალისტური ომისათვის, — ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სუვერენულმა სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა აგრესია „უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ“ და, ამგვარად, სრულიად ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპი დაუდო საფუძვლად თავის საგარეო პოლიტიკას. მანამდე ყოველი ეპოქის საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკაცა და დოქტრინაც ომის უფლებას სუვერენიტეტის განუყოფელ ნიშნად თვლიდა, უყოყმანოდ ცნობდა მას საერთაშორისო დავის გადაწყვეტის კანონიერ საშუალებად.

აგრესიული ომის დაგმობას შეესაბამებოდა დემოკრატიული ზავის პროგრამა, რომლის ძირითად პრინციპად საბჭოთა სახელმწიფო იმავე დეკრეტში აცხადებდა ზავს უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. ამ პროგრამის განსახორციელებლად ლენინი უშუალოდ წარმართავდა საბჭოთა სახელმწიფოს დიპლომატიურ საქმიანობას და თანაც უაღრესად რთულ ვითარებაში, როცა „მოკავშირე“ ანტანტის ქვეყნები უპასუხოდ ტოვებდნენ საბჭოთა მთავრობის დაბეჯითებით მოთხოვნებს საომარი მოქმედების შეწყვეტისა და საყოველთაო ზავის დადების შესახებ, როცა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე ტროცკის მოღალატურმა თვითნებობამ კიდევ უფრო გააძლიერა გერმანიისა და მისი ბლოკის პოზიციები, გამოიწვია გერმანიის ჯარის შემოჭრა და მისი მხრივ ახალი, გაცილებით უფრო მძიმე პირობების წამოყენება ულტიმატუმის სახით, როცა ტროცკის ოპორტუნიზმისა და ბუხარინის „მსოფლიო რევოლუციის ტაქტიკის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინი და მისი თანამოაზრენი ორჯერ აღმოჩნდნენ უმცირესობაში (1918 წ. 8 იანვარს ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და საბჭოების III ყრილობის დელეგატთა თათბირზე და 17 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე).

ლენინს უხდებოდა შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, რათა დაერწმუნებინა პარტია, მთელი ხალხი თვით უმძიმესი, მძარცველური, სამარცხვინო ზავის დადების აბსოლუტურ აუცილებლობაში და ამავე დროს უშუალო ხელმძღვანელობა გაეწია საბჭოთა დელეგაციისათვის, განსაკუთრებით კონფერენციის მეორე ეტაპზე. ლენინს დიდი ბრძოლა გადახდა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც, რათა იგი მოწონებული ყოფილიყო პარტიის მიერ და რატიფიცირებული საბჭოების ყრილობაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ მიზნით ლენინი 18-ჯერ გამოვიდა პარტიის VII ყრილობაზე.

ბრესტის ზავი პირველი დიდი გამარჯვება იყო ლენინური დიპლომატიისა. ამიტომ დღემდე არ წყდება ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში იმისი ცდები, რომ გააყალბონ ისტორიული ფაქტები და ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. ფალსიფიკატორები იქამდეც კი მიდიან, რომ

ვითომდა საარქივო დოკუმენტებით ამტკიცებენ რუსი ბოლშევიკების საიდუმლო კავშირს კაიზერულ გერმანიასთან; საგულისხმოა, რომ ამგვარ „დოკუმენტებზე“ იყო დაფუძნებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ერთ-ერთი ოფიციალური პუბლიკაცია ჯერ კიდევ 1918 წელს[3] და 40 წლის შემდეგ კვლავ მათ ეყრდნობა ზიმანის რედაქციით გამოქვეყნებული წიგნიც[4] და მურჰედის „გამოკვლევაც“[5].

ყოველ სახელმწიფოს თავისი დიპლომატიის განსახორციელებლად ესაჭიროება სპეციალური უწყება მმართველობის ორგანოთა სისტემაში. ასეთი უწყების შექმნა ძალიან მძიმე ამოცანა იყო საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომელსაც არც სათანადო გამოცდილება გააჩნდა და არც შესაფერისი კადრების საკმაო რაოდენობა. ეს გარემოება იყო ერთი მთავარი საბუთი რევოლუციის მტრების ვარაუდისა, რომ საბჭოთა რუსეთს სწრაფად უნდა განეცადა კრახი. მენშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა, დროებითი მთავრობის მინისტრმა ირ. წერეთელმა ბოლშევიკებს განუცხადა: „ავად იყო თუ კარგად, ჩვენ ექვსი თვე მაინც გავძელით, თუ თქვენ ექვს კვირას მაინც გაძლებთ, მაშინ ვაღიარებ, რომ მართალი ყოფილხართ“[6].

მიუხედავად იმისა, რომ ძველი საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და უარიც კი თქვეს ჩაებარებინათ სეიფების გასაღებები, სახალხო კომისარიატთა შორის ყველაზე ადრე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი შეიქმნა. მისი პირველი თანამშრომლები მუშები და მეზღვაურები იყვნენ. ლენინის რჩევით ამ კომისარიატში სამუშაოდ გაიგზავნა პოლიტიკურ ემიგრაციაში მუშაობის გამოცდილების მქონე ჩიჩერინი, ლიტვინოვი, კრასინი, ვოროვსკი, მენჟინსკი, ვოიკოვი, კარახანი, ტროიანოვსკი და მანუილსკი; ლენინისვე წინადადებით 1918 წლის მარტში საგარეო საქმეთა სახკომის პოსტზე ტროცკი შეცვალა ჩიჩერინმა; ლენინის უშუალო მონაწილეობით 1918 წლის ივნისში მოხდა კომისარიატის რეორგანიზაცია-გაფართოება; 1923 წლის ნოემბერში მისი წინადადებით დამტკიცდა ამ კომისარიატის დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო კომისარიატის სტრუქტურა, საზღვარგარეთ მოქმედ წარმომადგენლობათა ფუნქციები, მოკავშირე რესპუბლიკებთან მყოფ რწმუნებულთა ინსტიტუტი და სხვ.

ძველი რუსეთის დიპლომატიური აგენტები არ დაემორჩილენ სახკომსაბჭოს დეპეშას იმის შესახებ, რომ ვინც არ ეთანხმებოდა საბჭოების მეორე ყრილობის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, საქმეები გადაეცათ უმცროსი მოხელეებისათვის. ამ საერთო ბოიკოტს ზურგს უმაგრებდნენ ბურჟუაზიული მთავრობები, რომლებიც უარს ამბობდნენ მიეღოთ საბჭოთა წარმომადგენლები და ოფიციალურ ურთიერთობას განაგრძობდნენ ძველ დიპლომატებთან. 1921 წლის იანვრისათვის საბჭოთა რუსეთს ოფიციალური წარმომადგენლები ჰყავდა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, თურქეთში, ავღანეთში, საქართველოში, ხორეზმსა და ბუხარაში; შეზღუდული სახის წარმომადგენლობა — მონღოლეთის მთავრობასთან, ტყვეების გაცვლის წარმომადგენლობა — ბერლინში და სავაჭრო მისია — ლონდონში.

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ-დიპლომატიური იზოლაციის გამოხა-

---

[3] იხ. United States. The German — Bolshevik conspiracy, Washington, 1918.

[4] **Z. Zeman,** Germany and the revolution in Russia 1915—1918. Documents from the Archives of the German Foreign Ministry, London, 1958.

[5] **A. Moorhead,** The Russian Revolution, New Iork. 1958.

[6] История дипломатии , изд. II, т. III, гз. 51—52.

ტულება იყო აგრეთვე პეტროგრადის დიპლომატიური კორპუსის მტრული დამოკიდებულება.[7]. დიპკორპუსის დუაიენის — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ფრენსისის მონაჭორის მომიზეზებით (თითქოს მირბახის მკვლელობის გამო გერმანელები მოსკოვში აპირებდნენ შემოსვლას) დიპკორპუსი ჯერ ვოლოგდაში გადავიდა, მერე კი, ანტანტის დესანტის შემოჭრისთანავე — არხანგელსკში. მალე უცხოელმა დიპლომატებმა თანდათანობით დატოვეს საბჭოთა რუსეთი. მომდევნო ხანებში, სამოქალაქო ომში საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებათა კვალობაზე, მდგომარეობა ამ მხრივ უმჯობესდებოდა. 1921 წლის დამდეგს მოსკოვში უკვე იყვნენ: გერმანიის, ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის მისიები ტყვეების საქმეთა მოსაგვარებლად, ლატვიის, ლიტვის, სპარსეთის, ავღანეთის დიპლომატიური მისიები, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის, ხორეზმის, სომხეთისა და ბუხარის საბჭოთა რესპუბლიკების სრულუფლებიანი წარმომადგენლები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა — სულ ათზე მეტი; ხოლო 1922 წლის ბოლოს — უკვე 24 საელჩო და მისია იყო.

ლენინის ხელმძღვანელობით საბჭოთა დიპლომატია ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ამა თუ იმ ფორმით განეხორციელებინა კონტაქტი კაპიტალისტურ ქვეყნებთან, უმთავრესად სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დასამყარებლად. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ უაღრესად მტრული დამოკიდებულების პირობებში საბჭოთა დიპლომატმა მარტენსმა შეძლო კერძო საწყისებზე გაეხსნა ნიუ-იორკში და ვაშინგტონში ე. წ. „რსფსრ მთავრობის ბიურო“ და მისი საშუალებით 100 მილიონი დოლარის დაკვეთები მიეცა სხვადასხვა ფირმებისათვის[8].

პოლიტიკური იზოლაციის პირობებში საბჭოთა დიპლომატიის უპირველესი ამოცანა იყო ეკონომიკური ბლოკადის გარღვევა. ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა დიპლომატია ხელმძღვანელობდა ლენინის მოძღვრებით მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. ლენინმა დაასაბუთა, რომ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს ორი სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. იგი თავისთავად გამომდინარეობს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიიდან, რომლის მიხედვით იმპერიალიზმის ეპოქაში სავსებით შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთ ქვეყანაში.

მშვდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ორი სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობას საკუთრების ორი სისტემის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე; ეს კავშირურთიერთობა წარმოადგენს სწორედ იმ ეკონომიკურ ბაზისს, რომელიც განაპირობებს ორი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი პოლიტიკური ურთიერთობისა და თანამშრომლობის აუცილებლობას. ანალიზს უკეთებდა რა ამ ასპექტში საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობას, ლენინი თავის მოხსენებაში საბჭოების IX ყრილობაზე გენია-

---

7 იყო ზოგიერთი გამონაკლისიც. მაგალითად, სპარსეთის დესპანმა ახალი, 1918 წლის დადგომა მიულოცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და რამდენიმე ბოთლი შამპანურიც კი გაუგზავნა კეთილი სურვილების დასადასტურებლად (იხ. С. Ю. Выгодский. У истоков советской дипломатии, М., 1965, გვ. 329, შენ. 46).

8 მათგან მხოლოდ მედიკამენტების დაკვეთა განხორციელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური შორსმჭვრეტელობით ასკვნიდა, კერძოდ, ანტისაბჭოთა ეკონომიკური ბლოკადის კრახის გარდუვალობას:

„არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილებაა, ეს ძალაა — საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგნენ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას“[9].

ხელმძღვანელობდა რა ამ კანონზომიერებით, საბჭოთა დიპლომატიამ უკვე ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე მიაღწია იმას, რომ საზავო ხელშეკრულების დამატებად ხელმოწერილი იქნა შეთანხმება რუსეთ-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ. ლენინი კვლავ და კვლავ მოითხოვდა საბჭოთა დიპლომატებისაგან ყოველი, თუნდაც სულ მცირე შეაძლებლობის გამოყენებას სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებათა დასადებად უცხო სახელმწიფოებთან და კერძო კაპიტალისტურ ფირმებთან, რასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა.

ამით აიხსნება ლენინის დადებითი პოზიცია ლ. ჯორჯისა და ვილსონის გეგმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის პრობლემის, კერძოდ ძველი რუსეთის მიერ აღებული სესხების საკითხის განსახილველად პრინცის კუნძულებზე მოწვეულიყო კონფერენცია რუსული კონტრრევოლუციური დაჯგუფებების მონაწილეობით. როგორც ცნობილია, კოლჩაკის შტეკვამ 1919 წლის გაზაფხულზე ხელი ააღებინა ინგლისსა და ამერიკას ასეთ გეგმებზე; მათ კვლავ ამჯობინეს „რუსეთის პრობლემა“ კონტრრევოლუციისადმი დახმარებისა და შეიარაღებული ინტერვენციის გზით გადაეჭრათ, როგორც ამას მოითხოვდნენ კლემანსო და ჩერჩილი.

საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური ბლოკადის მასშტაბზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1920 წელს რუსეთის იმპორტი შეადგენდა 1913 წლის იმპორტის 1/2 პროცენტს, ექსპორტი კი კიდევ უფრო ნაკლები იყო. ლენინმა იცოდა, რომ ასეთი მდგომარეობა ფრიად საზიანო იყო კაპიტალისტურ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც 1920-1921 წლებში განიცდიდნენ ჭარბი წარმოების კრიზისს. ამიტომ საბჭოთა დიპლომატია ბეჯითად განაგრძობდა მეცადინეობას ეკონომიკური ბლოკადის გასარღვევად. ლენინი უშუალოდ წარმართავდა მუშაობას ამ მიმართულებით, მაგალითად, კრასინის სავაჭრო მოლაპარაკებას ანტანტის უზენაესი ეკონომიური საბჭოს წარმომადგენლებთან კოპენჰაგენში, შემდეგ — ლონდონში ლ. ჯორჯთან და ვაჭრობის მინისტრ ჰორნთან, რასაც შედეგად მოჰყვა პირველი სავაჭრო ხელშეკრულების დადება ინგლისთან (1921 წ. 2 მარტს), შემდეგ — სავაჭრო შეთანხმებანი გერმანიასთან (1921 წ. მაისში), იტალიასთან (1921 წ. დეკემბერში), გარიგებანი ჩეხოსლოვაკიის ქარხნებთან და ნორვეგიულ ფირმებთან. ლენინის წინადადებით მოეწყო პირველი საბჭოთა პავილიონი რიგის საერთაშორისო გამოფენაზე 1921 წლის აგვისტოში; გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ინგლისში, ბელგიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნა ე. წ. „უცხოური მეცნიერებისა და ტექნიკის ბიუროს“ განყოფილებანი.

ანტისაბჭოთა ეკონომიკური ბლოკადის ლიკვიდაციისათვის ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა უცხოური კონცესიების საკითხს. მან თვითონ შეიმუშავა საკონცესიო პოლიტიკის პროგრამა და სათანადო ნორმატიული აქტები

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„საკონცესიო ხელშეკრულებათა ძირითადი პრინციპები“, „ნავთობის კონცესიათა მთავარი დებულებანი“), იგი პირადადაც კი აწარმოებდა მოლაპარაკებას კონცესიების თაობაზე უცხოელებთან (ამერიკელ ვანდერლიპთან, ინგლისელ ურკარტთან) და ამით სანიმუშო მაგალითს აძლევდა საბჭოთა დიპლომატებს: მოთმინებითი, ბეჯითი მეცადინეობა ხელსაყრელი კომპრომისის მისაღწევად, მაგრამ არავითარი დათმობა, როცა საკითხი ეხება საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, მის მართლწესრიგს[10].

ლენინის შორსმჭვრეტელობა, რომ რუსეთთან კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური ურთიერთობის გარდუვალობა გამოიწვევდა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ-დიპლომატიური იზოლაციის ლიკვიდაციას, ბრწყინვალედ გამართლდა გენუის კონფერენციაზე. თავისთავად ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთი მიწვეული იქნა ამ კონფერენციაზე როგორც სუვერენული სახელმწიფო, უკვე ნიშნავდა მის ფაქტიურ საერთაშორისო ცნობას, რაც ბურჟუაზიულმა პრესამაც აღიარა[11]. ლენინმა გაითვალისწინა, რომ ომში დამარცხებული გერმანია, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა 132 მილიარდი მარკის რეპარაციების მძიმე ტვირთი, ყველაზე სუსტი რგოლი იყო კაპიტალისტური სამყაროს ერთიან ანტისაბჭოთა ფრონტში. ამიტომ ლენინის დავალებით გენუაში მიმავალი საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გ. ჩიჩერინმა ბერლინში გავლისას მოლაპარაკება დაიწყო გერმანიის წარმომადგენელთან. ეს მოლაპარაკება გაგრძელდა გენუაში და, როგორც ცნობილია, დამთავრდა 1922 წლის 16 აპრილს რაპალოს ხელშეკრულების დადებით. ამ ხელშეკრულებით დამყარდა დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის. ეს იყო ლენინური დიპლომატიის ისტორიული გამარჯვება. მან თავზარი დასცა იმპერიალიზმის პოლიტიკის მესვეურებს როგორც საშიშმა პრეცენდენტმა, რომლის მიბაძვით სხვა სახელმწიფოებსაც შეეძლოთ უარი ეთქვათ მტრულ ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე და დადგომოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ცნობისა და მასთან ეკონომიკური თანამშრომლობის გზას. რაპალოს შემდეგ აშკარა გახდა უიმედობა ინგლის-საფრანგეთის ცდებისა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მზადყოფნა წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე (მათ შორის ძველი ვალების საკითხშიც) გამოეყენებინათ ისეთი მიზნებისათვის, რომელთა განხორციელება საფრთხეს შეუქმნიდა თვით საბჭოთა სახელმწიფოს არსებობას (ასეთი იყო, მაგალითად, მათი მოთხოვნა უცხოელთა კერძო საკუთრების აღდგენის შესახებ).

რაპალოს ხელშეკრულება ლენინს მიაჩნდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეთანხმების ნიმუშად და ამ გზით წარმართავდა საბჭოთა დიპლომატიას, რომელმაც დიდ გამარჯვებას მიაღწია 1924-1925 წლებში, როცა თითქმის ყველა მსხვილმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ იცნო საბჭოთა კავშირი და ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა მასთან.

ლენინის მოღვაწეობამ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად დაადასტურა, რომ საბჭოთა დიპლომატია მარტოოდენ ხელოვნება კი არაა, არამედ მეცნიერებაც, რადგან მას საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზოგადოების განვითარების კა-

---

[10] ბევრ შემთხვევაში ასეთი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა იმის გამო, რომ უცხოელი ბიზნესმენები მიუღებელ პირობებს აყენებდნენ. მაგალითად, ვანდერლიპის წინადადება იყო, რომ რუსეთს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიეყიდნა ჩრდილო-აღმოსავლეთი ციმბირი.

[11] იხ. **С. Ю. Выгодский**, У истоков советской дипломатии, М., 1965, გვ. 224.

ნონზომიერებათა შესახებ, ისტორიის საერთო მსვლელობისა და კონკრეტული საერთაშორისო მოვლენების ღრმა ანალიზი, რაც მას სწორ ორიენტაციას აძლევს როგორც აწმყოში, ისე მომავლის პერსპექტივების თვალსაზრისით. ეს მეცნიერული საფუძველი, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პროგრესული მიზანდასახულება, განაპირობებს საბჭოთა დიპლომატიის თავისებურებებს, რომლებიც განასხვავებენ მას ექსპლოატატორული, კერძოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოების დიპლომატიისაგან.

ამ თავისებურებებიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს საბჭოთა დიპლომატიის პირდაპირობა, დაუფარაობა. ლენინურმა დეკრეტმა ზავის შესახებ კატეგორიულად დაგმო ბურჟუაზიული საიდუმლო დიპლომატია და გაუქმებულად გამოაცხადა ძველი რუსეთის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომელთა საშუალებით იმპერიალისტური ქვეყნები ამზადებდნენ აგრესიულ ომებს, ერთმანეთში ინაწილებდნენ კოლონიებსა და ე. წ. „გავლენის სფეროებს“. დეკრეტის საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ ასზე მეტი საიდუმლო ხელშეკრულება გამოაქვეყნა, მათ შორის — ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის ხელშეკრულება ეგვიპტისა და მაროკოს გაყოფაზე, ინგლის-რუსეთის 1907 წლის ხელშეკრულება ირანისა და ავღანეთის დანაწილებაზე, რუსეთ-იაპონიის 1916 წლის შეთანხმება ჩინეთის თაობაზე და სხვ.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანმა აქციამ საქვეყნოდ გააშიშვლა ბურჟუაზიული დიპლომატია და დიდი შეშფოთება გამოიწვია იმპერიალიზმის ბანაკში, რადგან, როგორც ლენინი წერდა, „...მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რისი გულისთვის დაიღუპა მილიონობით სიცოცხლე, მილიონობით მსხვერპლი“[12].

ლენინის მითითებით საბჭოთა დელეგაციამ ბრესტის კონფერენციის გახსნისთანავე მოითხოვა სხდომების საჯაროდ ჩატარება, კერძოდ — პრესის წარმომადგენელთა დაშვება და ოქმების გამოქვეყნების უფლება. საბჭოთა დიპლომატიის აღნიშნული თავისებურება არ გამორიცხავს იმის აუცილებლობას, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ აგრესორის წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი მოქმედებისას, საბჭოთა სახელმწიფომ თავის მოკავშირეებთან დადოს ისეთი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც, სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების გამო, დროებით საიდუმლოდ იქნება დაცული.[13] მაგრამ პრინციპში საბჭოთა დიპლომატია თავიდანვე ხელმძღვანელობდა ლენინის დებულებით: „გულწრფელობა პოლიტიკაში, — წერდა ლენინი 1917 წლის ივნისში, — ესე იგი ადამიანთა ურთიერთობის იმ სფეროში, რომელსაც საქმე აქვს არა ერთეულებთან, არამედ **მილიონებთან**, — ...ეს არის შემოწმებისათვის საკვლევი მისაწვდომი **შესაბამისობა სიტყვასა და საქმეს შორის**“[14].

პირდაპირობის, საქვეყნობის პრინციპთან დაკავშირებულია საბჭოთა დიპლომატიის მეთოდი — მიმართვა არა მარტო მთავრობებისადმი, არამედ უშუალოდ აგრეთვე ხალხებისადმი. ეს მეთოდიც სათავეს იღებს ლენინის დეკრეტში

---

[12] **ვ. ი. ლენინი**, თხზ., ტ. 30, გვ. 464.

[13]. მაგალითად, ასეთი იყო ყირიმის კონფერენციაზე 1945 წლის 11 თებერვალს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საიდუმლო შეთანხმება. შეთანხმება ითვალისწინებდა ევროპაში ომის დამთავრებიდან 2-3 თვის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩაბმას ომში იაპონიის წინააღმდეგ; შეთანხმება გამოქვეყნებული იქნა, როგორც დათქმული იყო, ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1946 წლის 11 თებერვალს.

[14]. **ვ. ი. ლენინი**, თხზ., ტ. 24, გვ. 699.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავის შესახებ. იგი დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე, მშრომელთა მასებზე და მათი საშუალებით ქმედით ძალას იძენს საერთაშორისო ცხოვრებაში.

ლენინი საბჭოთა დიპლომატებს ასწავლიდა პრინციპულობის შეხამებას გონივრულ დათმობებთან, კომპრომისებთან. საერთოდ პოლიტიკაში ლენინი სასტიკად კიცხავდა დოგმატიზმს, კომპრომისების უარყოფას და ბალღობას უწოდებდა მას[15]. მით უმეტეს დაუშვებელია ასეთი პოზიცია საგარეო პოლიტიკის სფეროში, რადგან საერთაშორისო ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები წარმოიშობიან მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების, მათი თანამშრომლობის შედეგად. ლენინური დიპლომატიის ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს გამოსაყვანად პოლიტიკური იზოლაციისა და ეკონომიკური ბლოკადის მარწუხებიდან გონივრულ დათმობაზე, კომპრომისზე წასვლის მრავალ მაგალითს იძლევა.

ამავე დროს ლენინი ყოველთვის აფრთხილებდა საბჭოთა დიპლომატებს, რომ დათმობას გარკვეული საზღვარი აქვს, რომ ყოვლად დაუშვებელია დათმობა პრინციპულ საკითხებში, როცა საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მის უსაფრთხოებას, მისი წესწყობილების საფუძვლებს. ამის მაგალითია ლენინის წერილი პოლიტბიუროსადმი (1922 წ. 23 იანვარს), სადაც გაკიცხული იყო ჩიჩერინის წინადადება იმის შესახებ, რომ ამერიკელებთან საერთო ენის გამოსანახავად და ეკონომიკური ურთიერთობის დასამყარებლად საბჭოთა მთავრობა დათანხმებულიყო კონსტიტუციის „მცირე“ შესწორებაზე — დაეშვა პარაზიტული ელემენტების წარმომადგენლობა საბჭოებში. ამ წინადადებამ ისე გააოცა ლენინი, რომ იგი პოლიტბიუროს მიმართავდა — ჩიჩერინი ალბად გადაიღალა და დაუყოვნებლივ სანატორიუმში უნდა გავაგზავნოთო[16].

სხვა მაგალითებია ლენინის მიერ კატეგორიული უარყოფა დასავლეთის სახელმწიფოების მოთხოვნისა იმის შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო ცნობისა და მასთან ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარების სანაცვლოდ საბჭოთა მთავრობას აღედგინა უცხოელი კაპიტალისტების კერძო საკუთრება, ან კიდევ ლენინის მტკიცე უარი გერმანიის წინადადებაზე, რომ მისი წარმომადგენლის — მირბახის მკვლელობასთან დაკავშირებით მოსკოვში შეეშვათ გერმანული ბატალიონი.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პროგრესული მიზანდასახულობა, სახელდობრ ბრძოლა ყველა სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობისათვის, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განსახორციელებლად, უანგარო დახმარება სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი მკაფიოდ გამოვლინდა ლენინური დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაში. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს მეცადინეობა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა აღმოსავლეთის ნახევრადკოლონიურ სახელმწიფოებთან. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და იმპერიალისტურ მთავრობათა მიერ ინსპირირებულ პროვოკაციებისა, საბჭოთა დიპლომატიამ ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით დიდ გამარჯვებებს მიაღწია ამ მიმართულებით: 1921 წლის თებერვალ-მარტში ირანთან, ავღანეთთან და თურქეთთან დაიდო მეგობრობის ხელშეკრუ-

---

15. იხ.ვ. ი. ლენინი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში (თხზ., ტ. 31, გვ. 26).

16 იხ. **Владимир Ильич Ленин.** Биография, М., 1960, გვ. 528.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ამ ქვეყნების მიერ სუვერენული დამოუკიდებლობის მოპოვება-განმტკიცებაში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გამარჯვებებს დიდად შეუწყო ხელი როგორც საერთოდ ოქტომბრის რევოლუციის უდიდესმა გავლენამ ამ ქვეყნების ჩაგრული მასების ეროვნული და სოციალური გათვითცნობიერების პროცესზე, ასევე თვით ლენინის განუზომელმა პოპულარობამ აღმოსავლეთის ხალხებში [17].

ლენინური დიპლომატიის თანმიმდევრული განხორციელება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაციისათვის შესანიშნავად აისახა ისეთ აქტებშიც, როგორიც იყო ფინეთის დამოუკიდებლობის ცნობა 1917 წლის მიწურულში და პოლონეთის დამოუკიდებლობისა — 1918 წლის ივნისში; თვითგამორკვევით უფლება ხაზგასმით აღნიშნა ესტონეთთან 1920 წლის დადებული საზავო ხელშეკრულების მეორე მუხლში, რომელიც ლენინის მითითებით შეიტანა კრასინმა იურიევის კონფერენციაზე.

ექსპლუატატორული სახელმწიფოს დიპლომატია, როგორც უკვე ითქვა, მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს, ამიტომ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და იურისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ დიპლომატის პირად, სუბიექტურ თვისებებს. ასეთ შეხედულებას დიდი ტრადიცია აქვს. ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ძეგლი — ინდური მანუს კანონები (II საუკუნე ჩვენს ერამდე) მეფეს ურჩევს ელჩად დანიშნოს პირი, რომელიც არა მარტო ყოველმხრივ განსწავლულია, არამედ იოლად ხვდება, თუ რას ნიშნავს უცხოელი ხელმწიფის სახის გამომეტყველება, მისი ჟესტები და ა. შ. დიპლომატიის ბურჟუაზიული სპეციალისტები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ დიპლომატს უნდა ჰქონდეს მშვიდი ხასიათი, კარგი ჯანმრთელობა, სასიამოვნო გარეგნობა, იგი განათლებული ჯენტლმენი უნდა იყოსო და სხვ[18].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დიპლომატია არ უარყოფს დიპლომატის ხელოვნებას. ლენინი თვით იყო შესანიშნავი დიპლომატი ასეთი გაგებითაც. ყველა, ვინც კი დასწრებია ლენინის მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, აღტაცებული რჩებოდა ლენინის ლოგიკით, მისი უნარით დაერწმუნებინა მოსაუბრე საბჭოთა პოზიციის სისწორეში. ჩიჩერინი წერდა:

„როცა უცხო სახელმწიფოთა დიპლომატია საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ჩვეული ოსტატობით ნიღბავდა ნამდვილ ვითარებასა და თავის ნამდვილ მისწრაფებებს კარგი სიტყვების, გრძნობების თუ სასიამოვნო მტკიცებათა დახვავებით, ვლადიმერ ილიჩი რამდენიმე სიტყვით აქცევდა ყოველივე ამას ნაგვის გროვად, თვალწინ უყენებდა რა თავის მოსაუბრეს ცოცხალი სინამდვილის შიშველ რეალურ ფაქტებს“[19].

უაღრესად დაძაბული ოპერატიული დიპლომატიის განსაცვიფრებელი დოკუმენტებს წარმოადგენს ლენინის ბარათები, დეპეშები და ტელეფონოგრამები,

---

17. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ასეთი ფაქტი: 1920 წელს თურქეთის პროგრესიული ახალგაზრდობის ერთ-ერთ შეკრებაზე შუამდგომლობა აღიძრა, რათა ლენინი დაჯილდოებულიყო ნობელის პრემიით (იხ. Великий Октябрь и народы Востока, М., 1957, გვ. 37).

18 იხ. მაგ. **Э. Сатоу**, Руководство по дипломатической практике, М., 1947, გვ. 132.

19 ციტირებულია წიგნიდან: **В. И. Попов**, Внешняя политика СССР — политика мира и дружбы народов, М., 1957, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა საშუალებით იგი განუწყვეტლივ წარმართავდა საბჭოთა დიპლომატების ყოველდღიურ საქმიანობას. ლენინს ხშირად შეუდგენია მათთვის საერთაშორისო მოლაპარაკებაში მონაწილეობის გეგმა მრავალნაირი ტაქტიკური ნიუანსებით, მიუთითებია ისეთ დეტალებზე, როგორიცაა გამოსვლების თანმიმდევრობა, ტონი, დიპლომატიური მიმოწერის სიტყვიერი ფორმა და სხვ. ლენინი განუწყვეტლივ ეცნობოდა უზარმაზარ ინფორმაციას საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებზე, სისტემატურად კითხულობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბიულეტენებს, თვითონ ადარებდა ერთმანეთს დიპლომატიური დოკუმენტების სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებულ ტექსტებს, როცა ეჭვს იწვევდა ამა თუ იმ ტექსტის ავთენტურობა და ა. შ. საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ბუმბერაზი იყო დიპლომატიაშიც, რადგან მასში საოცრად იყო შერწყმული საერთაშორისო მოვლენების კანონზომიერებათა წვდომისა და განჭვრეტის უნარი, მეცნიერის უზარმაზარი ერუდიცია, კომუნისტური პრინციპულობა, არაჩვეულებრივი ლოგიკა და განუზომელი ენერგია.

საბჭოთა დიპლომატია თითქმის ნახევარი საუკუნეა აგრძელებს სახელოვან ტრადიციებს, რომლებსაც სათავე მისცა ლენინის გენიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ

დოც. შ. ფაფიაშვილი

ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას. „უაპარატოდ“ — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით. თუ არ ვაწარმოეთ სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე“[1].

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის წინაშე განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას თანამედროვე პირობებში, როცა მთელი ჩვენი ხალხის საქმიანობა მიმართულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ.

სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ საქმიანობაში კომუნისტური ჩვევების ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრულ ბრძოლას თანამდებობრივ დანაშაულთან, კერძოდ კი მექრთამეობასთან, როგორც ჩვენი საზოგადოებისათვის ორგანულად უცხო და შეუთავსებელ მოვლენასთან.

ვ. ი. ლენინის შრომებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამდებობრივ დანაშაულთაგან ყველაზე უბინძურეს დანაშაულთან — მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხებს.

ვ. ი. ლენინი მექრთამეობასთან ბრძოლას უაღრესად დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. უფრო მეტიც, მას შეუძლებლად მიაჩნდა პოლიტიკის შექმნა იქ, სადაც ქრთამი იყო გამეფებული. ამის შესახებ იგი პირდაპირ აღნიშნავს: „თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ პოლიტიკის ნასახიც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობებში. ასეთ პირობებში არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება. აქ არ არის იმის ძირითადი პირობა, რომ შესაძლებელი იყოს **კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი**“[2].

მექრთამეობა, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების მუდმივი, განუყრელი თანამგზავრი, ფართოდ გავრცელებულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. მექრთამეობა ასევე ფართოდ იყო გავრცელებული მეფის თვითმპყრობელურ რუსეთში.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1897 წელს დაწერილ შრომაში „ახალი საფაბრიკო კანონი“, ეხებოდა რა მეფის რუსეთის ბობოლა კაპიტალისტებს, რომლებიც უაღრესად დიდ გავლენას ახდენდნენ კანონის გამტარებელ მოხელეებზე, წერ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 405.
[2] ვ. ი. ლენინი, ტ. 33 გვ. 72.

და: „ყველამ იცის, რა ადვილად შედიან ჩვენი ბობოლა — კაპიტალისტები ბა-ტონ მინისტრთა სადარბაზო ოთახებში ერთმანეთთან ტკბილად საუბრისათვის, რა მეგობრულად უმასპინძლდებიან მათ თავიანთ სადილებზე; რა თავაზიანად მიართმევენ ხოლმე საჩუქრად ათეულ ათასობით მანეთს იმპერატორის მთავრობის მექრთამე მოხელეებს“[3].

მეფის მოხელეთა თვითნებობა და მექრთამეობა არნახულ დონეს აღწევდა. მათ მიმართ მშრომელი ხალხის სიძულვილი დღითიდღე ძლიერდებოდა და იგი ბრძოლის მწვავე, აშკარა ფორმებს იღებდა. ვ. ი. ლენინი მართებულად შენიშნავდა, რომ „რუსეთის ყოვლისშემძლე, უპასუხისმგებლო, მექრთამე, ველური, უმეცარი და მუქთახორა მოხელეების წინააღმდეგ ამხედრებულია რუსი ხალხის ფრიად მრავალრიცხოვანი და სულ სხვადასხვაგვარი ფენა“[4].

1905 წლის 12 აპრილს დაწერილ შენიშვნაში „დაქრთამვის ფრანგულ-რუსული ჩვეულებანი“ ვ. ი. ლენინი ფარდას ხდის დახავსებული ბურჟუაზიული საზოგადოების ზედაფენაში გავრცელებულ მექრთამეობას. ამ წერილის დაწერის საფუძველი, — როგორც თვით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავს, — გახდა გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „Vorwärts“-ში ასეთივე სათაურით გამოქვეყნებული წერილი.

„Vorwärts“-ი სამართლიანად ამბობს, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რომ ეს წერილი შუქსა ჰფენს რუსულ მექრთამეობას და იმას, თუ როგორ პოულობს საზღვარგარეთის კაპიტალი სარგებლობას ამ მექრთამეობისაგან. წერილი დოკუმენტალურად ამტკიცებს, თუ როგორია „საქმიანი“ ურთიერთობის ჩვეულებრივი პრაქტიკა ცივილიზებულ კაპიტალისტურ ერებში. ევროპაშიც, ყველგან სჩადიან ასეთ საქმეებს, მაგრამ არსად არ სჩადიან ისე უსირცხვილოდ, როგორც რუსეთში, არსად არ არის ისეთი „პოლიტიკური უშიშროება“ (უშიშროება გამომჟღავნებისაგან) მექრთამეობისათვის, როგორც თვითმპყრობელურ რუსეთში“[5].

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევის შემდეგ დღის წესრიგში დააყენა ბურჟუაზიული სასამართლოს, ბურჟუაზიული კანონმდებლობის გაუქმება, ახალი — რევოლუციური სასამართლოების შექმნა და მათი აღჭურვა სოციალისტური სამართლის ნორმებით.

დამხობილი ექსპლოატატორული კლასები კვლავ ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ ბრძოლის ყოველნაირ ხერხებსა და ფორმებს, იყენებდნენ საბჭოთა აპარატში მომუშავე ზოგიერთ ისეთ მერყევ ელემენტს, რომელსაც „უნარი არ შესწევდა წინ აღდგომოდა „სპეკულაციის, ქრთამის, პირადი გამორჩენის „ცდუნებას“, რაც, — როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, — მთელი იმ აპარატის გაფუჭების ფასად ჯდებოდა, რომლის წესიერ მუშაობაზეც დამოკიდებული იყო „შიმშილობასა და უმუშევრობაზე გამარჯვება“[6].

ასეთი მერყევი ელემენტები ქრთამის საშუალებით ადვილად ექცეოდნენ კაპიტალისტთა გავლენის ქვეშ, უხსნიდნენ გზას ბურჟუაზიის აგენტებს სახელმწიფო აპარატისაკენ, ხელს უშლიდნენ პარტიის პოლიტიკის სწორად გატარე-

[3] ვ. ი. ლენინი, ტ. 2, გვ. 352.
[4] ვ. ი. ლენინი, ტ. 2. გვ. 415.
[5] ვ. ი. ლენინი, ტ. 8, გვ. 354-355.
[6] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 316.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, ხრწნიდნენ სახელმწიფო აპარატს, ხელს უშლიდნენ მის ნორმალურ მუშაობას. საჭირო იყო ასეთი პირების შეცვლა სოციალიზმისადმი ერთგული ადამიანებით, რომელთაც შეეძლოთ არ აჰყოლოდნენ „ქრთამსა და მტაცებლობას“, უნარი შესწევდათ შეექმნათ რკინისებური ძალა „სპეკულანტებს, მაროდიორებს, მექრთამეებს, დეზორგანიზატორებს წინააღმდეგ“[7]. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პარტიის რიგების გაწმენდას მექრთამეობასთან ბრძოლის უუნარო კომუნისტებისაგან. „დიდი იმედი მაქვს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი პარტიის რიგებიდან გავაგდებთ 100-დან 200 ათასამდე კომუნისტს, რომლებიც მიეტმასნენ პარტიას და რომელთაც არა თუ არ ძალუძთ ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან, არამედ ხელასც უშლიან მათთან ბრძოლას“[8].

ვ .ი. ლენინი მექრთამეობას მოიხსენებდა იმ სამ მთავარ მტერთა შორის, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე იდგა. „პირველი მტერია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე — წერა-კითხვის უცოდინარობა და მესამე — ქრთამი“[9].

საბჭოთა სახელმწიფო აპარატში გამეფებული მექრთამეობა განსაკუთრებით დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდა. ამიტომ ვ. ი. ლენინი იუსტიციის სახალხო კომისარიატს მიუთითებდა, რომ ტრიბუნალების შესახებ შემოტანილი დეკრეტის პროექტი გადაემუშავებინა ისეთი მიმართულებით, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა „მექრთამეებისა და დეზორგანიზატორების, დისციპლინის დამრღვევთა მიმართ ნამდვილად რევოლუციურ-ულმობელი სასამართლოების“ შექმნა.[10]

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მექრთამეობასთან საბრძოლველად მკაცრი, სპეციალური კანონის გამოცემას. 1918 წლის 2 მაისს დ. ი. კურსკისათვის გაგზავნილ წერილში წერდა: „საჭიროა ახლავე დემონსტრაციული სისწრაფით შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვა და ა. შ.).

უნდა იყოს

ს ულ მ ც ი რ ე

ათი წლის საპყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებითი მუშაობა[11].

1918 წლის 4 მაისს რკპ ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა: „გთხოვთ დღის წესრიგში დააყენოთ პარტიიდან მისი იმ წევრების გარიცხვის საკითხი, რომლებიც, იყვნენ რა მოსამართლეებად მექრთამეთა საქმეზე (2.5-1918 წ.), სადაც ქრთამის აღება დამტკიცდა და მექრთამეებმაც აღიარეს, მაინც დაკმაყოფილდნენ ½ წლის პატიმრობის განაჩენით.

მექრთამეთა დახვრეტის ნაცვლად ასეთი სუსტი და რბილი განაჩენის გამოტანა სამარცხვინო საქციელია კომუნისტისა და რევოლუციონერისათვის. ამნაირი ამხანაგები უნდა ვდევნოთ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროთი და გავრიცხოთ პარტიიდან, რადგან მათი ადგილია „კერენსკებისა და მარტოვების გვერდით და არა რევოლუციონერ კომუნისტთა გვერდით“[12].

1918 წლის 8 მაისს ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმოწერით გამოცე-

[7] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 471.
[8] ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 69.
[9] ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 71.
[10] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 255.
[11] ვ. ი. ლენინი, ტ. 35, გვ. 352.
[12] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 384

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულ იქნა რსფსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დეკრეტი „მექრთამეობისაწინააღმდეგ“.

ვ. ი. ლენინი პარტიის ყველა წევრსა და მშრომელს მოუწოდებდა ულმობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ მექრთამეების წინააღმდეგ და მოითხოვდა მექრთამე გაიძვერების დაპატიმრებასა და დახვრეტას[13]. იგი სტატიაში „პასუხი გლეხის შეკითხვაზე“ წერდა: „საბჭოთა ხელისუფლებას ცოტა როდი დაუხვრეტია ისეთი თანამდებობის პირნი, რომლებიც მხილებულნი ყოფილან, მაგალითად, მექრთამეობაში და ბრძოლა ამგვარი არამზადების წინააღმდეგ ბოლომდე იქნება მიყვანილი“[14].

ითვალისწინებდა რა მექრთამეობის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და ხელმძღვანელობდა რა მექრთამეობასთან ბრძოლის ლენინური პრინციპებით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 20 თებერვალს გამოსცა ბრძანებულება „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, რომლითაც განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის დააწესა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემული ზემოაღნიშნული კანონი, რომელიც უცვლელად იქნა შეტანილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში, მთელი სისრულით შევიდა პრაქტიკულ მოქმედებაში. მაგალითად, მექრთამეთა ერთ-ერთი ჯგუფის მთავარ ორგანიზატორს (რომელიც გამოვლინებულ იქნა ყირგიზეთში) საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა[15]. ასევე, მოსკოვისა და ივანოვის ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკების მიერ ჩადენილ მექრთამეობის საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა 43 მექრთამე (რომლებმაც 1956-1961 წლებში, — როგორც გამოძიებით დადგინდა, — 144-ჯერ აიღეს ქრთამი 708658 მანეთის რაოდენობით; აქედან მარტო თანამდებობის პირებმა აიღეს 408058 მანეთი, მექრთამეობაში შუამავლებმა კი 300600 მანეთი). ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ ორგანიზატორს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა; ორ მათგანს — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ათს — თორმეტ-თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა; ხოლო მექრთამეობაში მონაწილე დანარჩენ პირებს თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით: ხუთს ათ-ათი წელი, ექვსს — რვა-რვა წელი, ოთხს — შვიდ-შვიდი წელი და ა. შ.[16]

მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული დონისა და პირადი შეგნებულობის ზრდა ქმნის იმის პირობას, რომ ძირფესვიანად აღმოიფხვრას მექრთამეობა. მექრთამეობის აღკვეთის საუკეთესო გარანტიაა ის, რომ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის, საწარმო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების უდიდესი უმრავლესობა ქეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივ მოვალეობას, ზუსტად იცავს სოციალისტურ კანონიერებას. სამწუხაროდ,

---

[13] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 296.
[14] ვ. ი. ლენინი, ტ. 36, გვ. 579.
[15] **М. П. Карпушин, П. С. Дмитриев,** Взяточничество позорный пережиток прошлого М., 1964, стр. 54—55.
[16] Приговор Судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР по делу Непомнящей М. С., Чепурной Н. С., Пущевого М. М. и других, от 20 июня — 5 августа 1963 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ გვერდით ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგიერთ ისეთ თანამდებობის პირს, რომ-ლის თვითშეგნება ჩამორჩება თანამედროვე საზოგადოებრივ განვითარებას, ვერ გათავისუფლებულა კერძომესაკუთრული ჩვეულებისაგან და ესწრაფვის არაკანონიერი გზით უზომოდ გამდიდრებას. ასეთი თანამდებობის პირი ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, მოქმედებს სოციალისტური სახელმწიფოს, სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, სჩადის მექრთამეობას და თავის თანამდებობას აქცევს უკანონო გზით პირადი შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ. ასეთი არაკეთილსინდისიერი თანამდებობის პირის მიმართ პარტია მოითხოვს მკაცრი ზომების მიღებას. „მუშაკის არაკეთილსინდისიერება, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიზმი გადაჭრით უნდა აღიკვეთოს და სასტიკად დაისაჯოს პიროვნებათა მიუხედავად“.[17]

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი საშიში დამნაშავენი, რომლებსაც შეუძლიათ დაფარონ თავიანთი კვალი, განსაკუთრებით კი ისეთი დანაშაულის, როგორიცაა მექრთამეობა. განსაკუთრებითო, ვამბობთ იმიტომ, რომ მექრთამეობის მონაწილე პირები მოქმედებენ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით და თავიანთი მიზნის მისაღწევად იყენებენ მექრთამეობის შენიღბულ ფორმებსა და ხერხებს. ამასთან ხშირად თვითეული მონაწილე დაინტერესებულია საქმის გაუხსნელობით და ყოველნაირად ცდილობს, რომ მისი დანაშაულებრივი მოქმედება შეუმჩნეველი და ხელმიუწვდომელი დარჩეს საზოგადოების სხვა წევრებისა და საგამომძიებლო ორგანოებისათვის.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ქრთამს იღებენ თანამდებობის პირის სახელით და თავიანთი თაღლითური მოქმედებით სახელს უტეხენ სახელმწიფო აპარატის პატიოსან მუშაკებს. მაგალითად, ა-მ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ მისი სამუშაო ადგილი მოთავსებული იყო რაიაღმასკომის შენობაში, დაუკავშირდა კ-ას და დააჯერა, რომ მას დაეხმარებოდა ბინის მიღებაში. ამ მიზნით მან კ-ას გამოსტყუა 1360 მანეთი და დაარწმუნა, რომ ამ ფულის ნაწილს თავის ნაცნობ საბინაო სამმართველოს უფროსს ჯ-ეს გადასცემდა. ა-ს თავგასული მოქმედება იქამდე მივიდა, რომ მან ყალბი სია შეადგინა და იმ ადგილას გამოაკრა, სადაც საერთოდ აღმასკომი აკრავდა ხოლმე ბინების მიმღებ პირთა სიას. მიიყვანა იქ, სია აჩვენა და დაარწმუნა, რომ ჯ-ე მალე გადავიდოდა ახალ ბინაში,მის გამონაცვალ ბინას კი მას მისცემდნენ. თავის გულწრფელობაში რომ დაეჯერებინა, ჯ-ს ბინაშიც კი მიიყვანა ბინის დასათვალიერებლად. ა-მ კარგად გამოიყენა ის გარემოება, რომ კ-მ ქართული არ იცოდა, მას ბინა დაათვალიერებინა, ხოლო ჯ-სთან სტუმრობა იმით ახსნა, რომ მასთან თითქოს ცოლის შერთვის მისალოცად მივიდა.

საგამომძიებლო პრაქტიკაში ცნობილია მექრთამეობის სხვადასხვა შენიღბული ფორმები. მაგალითად: ქრთამის მიცემა-აღება სესხის სახით; ვალის პატიებით; თანამდებობის პირთან აზარტულ თამაშში ფულის ან რაიმე მატერიალური ღირებულების მქონე საგნის განგებ წაგებით; ძვირფასი ნივთის შედარებით ნაკლები ღირებულების მქონე საგანში გადაცვლით; ფიქტიურად შესრულებულ სამუშაოში გასამრჯელოს, ხელფასის, ჯილდოს ან ფულადი პრემიის გაცემით; დასაჩუქრებით და სხვ.

---

17 სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ შევძლოთ ყველა შენიღბული დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ფარდის ახდა და მათი გამოვლინება, საჭიროა, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, „ვიყოთ დახელოვნებული, ფრთხილი, შეგნებული“ და „უაღრესად გულდასმით... ვადევნოთ თვალყური კანონიერების კეთილსინდისიერად შესრულების სულ მცირეოდენ გადახვევას“[18].

ვ. ი. ლენინი შრომებში მოცემულია ამ ბინძური დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრისა და თავიდან აცილების კონკრეტული გზები.

ვ. ი. ლენინი მექრთამეობას თვლიდა უკულტურო, მეფის რუსეთის უმძიმეს მემკვიდრეობად, რის გამო მასთან ბრძოლის მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნდა მშრომელი მასების საერთო კულტურის ამაღლება, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა და ისეთი ატმოსფეროს შექმნა, „რომელიც გვასწავლის ბრძოლას საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან. ეს ისეთი სატკივარია, რომელსაც ვერავითარი სამხედრო გამარჯვებით და ვერავითარი პოლიტიკური გარდაქმნით ვერ განკურნავ. არსებითად ამ სატკივარს ვერ განკურნავ სამხედრო გამარჯვებებითა და პოლიტიკური გარდაქმნებით, მისი განკურნება შეიძლება მხოლოდ კულტურის აღმავლობით“[19].

ვ. ი. ლენინი მექრთამეობის არსებობის ერთ-ერთ მიზეზად თვლიდა წერა-კითხვის უცოდინარობას. ამიტომ მექრთამეობის აღმოფხვრის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა მიაჩნდა. „არა თუ საჭიროა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, მოვსპოთ ქრთამი, რომელიც ეყრდნობა წერა-კითხვის უცოდინარობის ნიადაგს, არამედ საჭიროა, რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი სახელმძღვანელოები, ჩვენი ბროშურები ხალხმა საქმით შეითვისოს და რომ ამის შედეგად მივიღოთ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესება“[20].

როგორც საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, მექრთამეობის ჩამდენ პირებად გვევლინებიან სწორედ ისეთი ადამიანები, რომელთა შეგნებაში ჭარბობს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთი და რომლებიც შეპყრობილნი არიან იოლი, არაკანონიერი გზით უზომოდ გამდიდრების ავადმყოფური სენით.

სხვა რით შეიძლება აიხსნას ქ. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ მშრომელთა სამედიცინო შემოწმების ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის ბ-ს მიერ 1969 წელს ა-სგან ქრთამის გამოძალვა, თუ არა მის შეგნებაში კერძომესაკუთრული ჩვევების არსებობით — საკუთრებისადმი ანტისაზოგადოებრივი დამოკიდებულებით. დადგენილია, რომ ბ. სრულიადაც არ განიცდიდა ეკონომიურ სივიწროვეს (მამა პროფესორი ჰყავს, მეუღლე — დოცენტი. ბინის გაჩხრეკისას კი ოთხი ათას მანეთზე მეტი ფული აღმოაჩნდა).

ასევე უნდა ითქვას ჩვენი თანამემამულე დოცენტ კ-ს მიერ ჩადენილი მექრთამეობის შესახებ. საქმე ის არის, რომ დოცენტმა კ-მ რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში, მიუხედავად, იმისა, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო და საზოგადოებაში საკმაო პატივისცემითაც სარგებლობდა, მოინდომა დანაშაულებრივი გზით უზომოდ გამდიდრება. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა მექრთამეთა დიდი ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ იყოფოდა ცალკეულ

[18] ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 660.
[19] ვ. ი. ლენინი. ტ. 33, გვ. 69-70.
[20] ვ. ი. ლენინი. ტ. 33, გვ. 73.

ქვეჯგუფებად. პირველი ჯგუფის ამოცანა იყო მოეძებნათ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი ისეთი პირები, რომლებსაც მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად საკმაო ცოდნა არ ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდათ ფული. ასეთი სასურველი კლიენტების შერჩევას ძირითადად ახდენდა ჩვენში — საქართველოს ტერიტორიაზე. მეორე ჯგუფის ამოცანა იყო ასეთ პირთათვის ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს უშუალო დახმარების აღმოჩენა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ნამდვილი აბიტურიენტის მაგიერ მისაღებ გამოცდებზე უნდა გასულიყო თვითეული ამ ჯგუფის წევრი. მესამე ჯგუფში შედიოდნენ დეკანატის, სასწავლო ნაწილის წარმომადგენლები, აგრეთვე საგამოცდო და მიმღების კომისიის წევრები.

წინასწარი გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ კ-ს ჯგუფის შემწეობით სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 36 კაცი, რაშიაც მან ქრთამის სახით აიღო 39.500 მანეთი. ამავე დროს დადგენილ იქნა, რომ კ-ა ქრთამს იღებდა არა მარტო ინსტიტუტში ჩასარიცხავი აბიტურიენტებისაგან, არამედ სტუდენტების ერთი ინსტიტუტიდან მეორე ინსტიტუტში გადაყვანისთვისაც![21]

მექრთამეობა ყველაზე სამარცხვინო და საშიში დანაშაულია. ამიტომ მის წინააღმდეგ საჭიროა მტკიცე, ულმობელი, თანმიმდევრული ბრძოლა, ამ ბრძოლაში მთელი საზოგადოებრიობის ჩაბმა. მის აღსაკვეთად, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, საჭიროა „მოეწყოს დიდი **„ჯვაროსნული ლაშქრობა“**[22], საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერით.

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში მშრომელი მასების ფართოდ ჩაბმის მნიშვნელობას, წერდა: „საბჭოთა კანონები ძალიან კარგია, იმიტომ რომ ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოლოს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, შესაძლებლობას, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მინიჭებული არა აქვთ მუშასა და გლეხს. მერე რა — სარგებლობენ ამ შესაძლებლობით? თითქმის არავინ! და არათუ გლეხმა, კომუნისტთა უდიდესმა პროცენტმაც არ იცის, როგორ გამოიყენოს საბჭოთა კანონები საქმის გაჭიანურებასთან, ბიუროკრატიზმთან ანდა ისეთ ჭეშმარიტად რუსულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორიც არის მექრთამეობა. რა უშლის ამ მოვლენასთან ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით! კანონები რამდენიც გნებავთ იმდენია დაწერილი! მაშ რატომ არ გვაქვს წარმატება ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ ამ ბრძოლას მარტოდენ პროპაგანდით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება“[23].

მექრთამე-გაიძვერების გამოვლინებისა და მექრთამეობის თავიდან აცილების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება. ამის შესახებ, ჯერ კიდევ ადრე, ვ. ი. ლენინი თავის შრომაში — „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ — წერდა: „მხოლოდ მუშათა და გლეხთა **მასის** ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, რევოლუციური ენთუზიაზმით გაწეულ თანამშრომლობას, აღრიცხვასა და კონტროლში **მდიდრების, გაიძვერების, მუქთახორების, ხულიგნების მიმართ** შეუძლია მოსპოს წყეული კაპიტალისტური საზოგადოების ეს გადმონაშთები, კაცობრიობის ეს ნაძირალები. ეს

[21] Следственная практика, вып. 60, М., 1963, стр. 89—92.
[22] ვ. ი. ლენინი. ტ. 27, გვ. 478-479.
[23] ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 68-69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოოდ დამპალი და მკვდარი წევრნი, ეს ჭირი, ჟამი, წყლული, რომელიც სოციალიზმს მემკვიდრეობით გადმოეცა კაპიტალიზმისაგან"[24].

ამავე დროს, ვ. ი. ლენინი ჩვენი საზოგადოების ამ ხორცმეტ ელემენტებს უწოდებდა ხალხის მტრებს და მოითხოვდა მათ მიმართ მთელი მოსახლეობის განსაკუთრებული მეთვალყურეობის დაწესებას. „ამ მტრების მიმართ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უნდა დავაწესოთ მთელი მოსახლეობის განსაკუთრებული მეთვალყურეობა, მათ დაუნდობლად უნდა გავუსწორდეთ, როგორც კი ოდნავ დაარღვევენ სოციალისტური საზოგადოების წესებსა და კანონებს. ამ მხრივ ყოველგვარი სისუსტე, ყოველგვარი მერყეობა, ყოველგვარი სანტიმენტალობა უდიდესი დანაშაული იქნებოდა სოციალიზმის წინაშე"[25].

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საზოგადოების ფართო მასებისათვის ჩაგვენერგა მექრთამეებისადმი ღრმა სიძულვილი. მაგრამ როგორ შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი საზოგადოების პატიოსან მშრომელ ადამიანებს გავუღვიძოთ მექრთამეებისადმი დიდი ზიზღი და მათთან ბრძოლის სურვილი?

ამის მიღწევა, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა შეიძლება მექრთამეობასთან ბრძოლის კანონების ფართო პროპაგანდით. მაგრამ მარტო შიშველი პროპაგანდა სიტყვების კორიანტელად იქცევა, თუ საზოგადოებრიობის ფართო მასებს საქმით არ დავანახვებთ, რომ არც ერთი მექრთამე არ დარჩება დაუსჯელი, მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა — გაუხსენელი. ამის საილუსტრაციოდ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და ვაჩვენოთ ხალხს, რომ თვით ეგრეთწოდებული „ყოვლისშემძლე" თანამდებობის პირის მიმართაც სათანადო სიძლიერით იქნება გამოყენებული მექრთამეობასთან ბრძოლის მკაცრი კანონი, თუ კი იგი მექრთამეობას ჩაიდენს.

ამ მიზნით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებანი, რათა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დავაყენოთ და მსჯელობის საგანი გავხადოთ ამა თუ იმ საწარმო-დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში გამოვლინებული მექრთამეობის ფაქტები. ამავე მიზნით სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების პრაქტიკოსმა მუშაკებმა შესაბამისი დარგის მეცნიერებათა წარმომადგენლებთან ერთად ხშირად უნდა მოაწყონ მოსახლეობაში, საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საუბრები და საჯარო ლექცია-მოხსენებები მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხებზე.

მექრთამეობასთან ბრძოლის პროპაგანდის სწორედ ასეთ ფორმებს გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როცა პოლიტგანათლების მუშაკებს მოუწოდებდა ხალხთან მჭიდრო, საქმიანი კავშირის დამყარებისაკენ. „თუ საქმე გექნებათ ხალხთან და პოლიტიკურად გაანათლებთ მას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გამოცდილება დაგანახვებთ, რომ პოლიტიკურად განათლებულ ხალხში ქრთამი აღარ იქნება, ჩვენში კი იგი ყოველ ნაბიჯზეა. შეგეკითხებიან: როგორ მოვიქცეთ, რომ ქრთამი არ იყოს, რომ აღმასკომში ესა და ეს კაცი ქრთამს არ იღებდეს, გვასწავლეთ, როგორ მივაღწიოთ ამას?"[26]. და მოუწოდებდა პოლიტგანათლების მუშაკებს, რომ მათ არა მარტო პროპაგანდით, არამედ პრაქტიკულად ეჩვენებინათ იგი ხალხისათვის. „ჩვენ ვეწევით და ვიმედოვნებთ თქვენც ეწევით პროპაგან-

[24] ვ. ი. ლენინი. ტ. 26, გვ. 477.
[25] იქვე, გვ. 478.
[26] ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბარბაროსობის წინააღმდეგ და ისეთ სატკივართა წინააღმდეგ, როგორიც ... ქრთამი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მაგრამ პოლიტიკური განათლება არ ამოიწურება ამ პროპაგანდით; პოლიტიკური განათლება ნიშნავს პრაქტიკულ შედეგებს, იგი ნიშნავს — ასწავლო ხალხს, თუ როგორ მიაღწიოს ამას... ეს ძალიან ძნელი ხელოვნებაა, რომელსაც ვერ გადაწყვეტ საერთო კულტურის აუმაღლებლად, უიმისოდ, თუ მუშათა და გლეხთა მასა არ გახადე იმაზე უფრო კულტურული, ვიდრე ჩვენი ახლანდელი კულტურაა"[27].

მექრთამეობასთან ბრძოლის მიზნებისათვის საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ საზოგადოებრიობის უშრეტი ძალა, რადგან მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მივაღწიოთ მექრთამეობის საქმეების სწრაფ, სრულ გახსნას და ვ. ი. ლენინის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელებას — ჩვენს ქვეყანაში მექრთამეობის სამარცხვინო ფაქტების სამუდამოდ და საბოლოოდ აღმოფხვრას.

---

[27] ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმის ხანაში დანაშაულისა და სასჯელის შესახებ

ნ. მოსულიშვილი

1. ვ. ი. ლენინი დანაშაულის პრობლემის განხილვის დროს უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დანაშაული, როგორც სოციალური მოვლენა, გარდუვალია კაპიტალიზმის დროს. ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობა ისეთ საწყისებზეა აგებული, რომ თვით მისი არსებობა შეუძლებელია დანაშაულის გარეშე. კაპიტალიზმის დროს დანაშაულს გარკვეული ეკონომიურ-პოლიტიკური მიზეზები აქვს, ამიტომაც დანაშაული ატარებს ზოგჯერ ეკონომიურ ხასიათს, ზოგჯერ კი პოლიტიკურს. ამასთან კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის შიგნით და მის ფარგლებში მომხდარ ეკონომიურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად და მის შესაბამისად იცვლება აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედობის დინამიკა, მისი ხასიათი.

ვ. ი. ლენინი დანაშაულის საშიშროებას განიხილავს საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. დანაშაული ეწინააღმდეგება და არღვევს საზოგადოების ინტერესებს. ამ თვალსაზრისით მუშების მიერ ფაბრიკის შენობების და მანქანების ნგრევას, მათთვის ცეცხლის წაკიდებას და ადმინისტრაციის ცემას ვ. ი. ლენინი არ თვლის დანაშაულად, რადგან მუშების ასეთი მოქმედება საზოგადოების ინტერესებს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ მიმართულია იმ ერთი მუჭა ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რომელთაც ჯერ კიდევ 1845 წელს ფ. ენგელსმა ბრალი დასდო უდანაშაულო მუშების სოციალურ მკვლელობაში.

ლენინი ამხილებს და ადანაშაულებს კაპიტალისტებს, რომლებიც ყოველდღიურად ეწევიან მუშათა კლასის ექსპლოატაციას, უმოწყალოდ ჩაგრავენ და უმცირებენ საარსებო საშუალებას. მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით კაპიტალისტები თვითონ სჩადიან საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო საშიშ დანაშაულს. კაპიტალისტების დანაშაულს მუშათა კლასი საგაფიცვო მოძრაობით უპასუხებს, რომელიც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა. ვინაიდან ორგანიზებულ კლასად ჩამოყალიბების შედეგად უუფლებო კლასის ბრძოლა გაბატონებული კლასის წინააღმდეგ მუდამ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, ამიტომ დანაშაულიც პოლიტიკურ ხასიათს იღებს. რაც უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, მით უფრო იზრდება პოლიტიკური დანაშაული. ამრიგად, კაპიტალიზმის დროს პოლიტიკური დანაშაული ისეთივე გარდუვალი სოციალური მოვლენაა, როგორც კლასობრივი ბრძოლა.

პოლიტიკური დანაშაულის შემდეგ ბურჟუაზია ყველაზე საშიშ ქმედობად თვლის ისეთ დანაშაულს, რომელიც ხელყოფს ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებას. ამიტომ ბურჟუაზიული სამართალი მთელი სისასტიკით იცავს კერძო საკუთრებას, როგორც ბურჟუაზიული წყობილების საფუძველთა საფუძველს. მიუხედავად ბურჟუაზიული სამართლის სისასტიკისა, კაპიტალიზმის ხანაში ყოვლად წარმოუდგენელია ქურდობისა და ძარცვა-გლეჯის მოსპობა, ვინაიდან საერთოდ

შეუძლებელია ბურჟუაზიული კერძო საკუთრების არსებობა სხვისი შრომისათვის ექსპლოატაციის გაუწევლად. მხედველობაში ჰქონდა რა მეფის რუსეთის მონარქია, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მეფის მონარქია წარმოადგენდა ძალადობას მიჩვეული „იმ ბანდის ცენტრს, რომელმაც რუსეთი საშინელ საფრთხობელად გადააქცია არა მარტო ევროპისათვის, არამედ ახლა აზიისთვისაც, — ბანდისა, რომელმაც დღეს მოხელეების თვითნებობა, ძარცვა და ხაზინის ქურდვა, „უბრალო ხალხის“ მიმართ სისტემატიური ძალმომრეობა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ტანჯვა და წამება და სხვა სრულიად განსაკუთრებულ ზომამდე მიიყვანა“[1].

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა ბობოლების, კაპიტალისტური წყობილების ამ ტუზების მიერ ჩადენილი ქურდობის დაუსჯადობას, წერდა: „... ყველაფერი“ მხოლოდ წვრილფეხთათვის, წვრილფეხა ქურდი კატორღაში იგზავნება, მხოლოდ დიდი ქურდი, ყველა ეს ბობოლები, მინისტრები, ბანკების დირექტორები, რკინიგზის მშენებლები, ინჟინრები, მოიჯარადრენი და სხვ., ათეულ და ასეულ ათასობით სახაზინო ქონებას რომ ქაფავენ, ისინი იშვიათად და უარეს შემთხვევაში ისჯებიან მხოლოდ შორეულ გუბერნიებში გადასახლებით, სადაც არხეინად ცხოვრობენ ნაძარცვი ფულით“[2].

კერძო საკუთრების ხელყოფის შემდეგ ბურჟუაზია საშიშ დანაშაულად თვლის ძალადობას. ვ. ი. ლენინი ძალადობის საკითხს აშუქებს ისტორიულ ასპექტში. ძალადობა არის ძველისძველი წყლული, რომლითაც დაავადებულია ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობილების მთელი სისტემა. გაბატონებული კლასი მუდამ იყენებს ძალადობას როგორც ყველაზე უფრო მარჯვე საშუალებას თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად. „ბურჟუაზიული და მემამულური მთავრობების მსოფლიო გამოცდილებამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გამოიმუშავა ორი საშუალება ხალხის ჩაგვრის შენარჩუნებისა. პირველია ძალმომრეობა, მეორეა რევოლუციური მოძრაობის წყალობით დამუშავებული მოტყუება, მლიქვნელობა, მილიონი დაპირებები, წვრილმანი მოწყალება, უმნიშვნელო დათმობა მნიშვნელოვანის შენარჩუნებისათვის და სხვ“[3].

ვ. ი. ლენინი ძალადობას ხსნის როგორც ანტაგონისტურად განწყობილი კლასობრივი სახელმწიფოს პოლიტიკური ბრძოლის შედეგს. „მარქსისტები ყოველთვის ამბობდნენ, — წერს ლენინი, — რომ რაც უფრო განვითარებულია, რაც უფრო „წმინდაა“ დემოკრატია, მით უფრო გაშიშვლებული, მით უფრო მძაფრი, მით უფრო ულმობელი ხდება კლასობრივი ბრძოლა. მით უფრო წმინდად ვლინდება ჩაგვრა კაპიტალის მხრივ და ბურჟუაზიის დიქტატურა. დრეიფუსის საქმე რესპუბლიკურ საფრანგეთში, კაპიტალისტების დაქირავებული და შეიარაღებული რაზმების მიერ გაფიცულთა ხოცვა-ჟლეტა ამერიკის თავისუფალ და დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — ეს და ათასობით ამის მსგავსი ფაქტები გვიჩვენებენ იმ სიმართლეს, რომლის დამალვასაც ამაოდ ცდილობს ბურჟუაზია, სახელდობრ, რომ ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც ნამდვილად ბატონობს ბურჟუაზიის ტერორი და დიქტატურა, რაც აშკარად იჩენს თავს ყოველთვის, როდესაც ექსპლოატატორებს ეჩვენებათ, რომ კაპიტალის ძალაუფლება ირყევა“[4]. ინგლისის მუშებისადმი მიწერილ წერილში ლენინი შენიშნავს, რომ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 334.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 478.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 55.
[4] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 582

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიას ეშინია პირდაპირ დააყენოს საკითხი იმის შესახებ, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული მათ მიერ გამოყენებული ძალადობა და ტერორი[5].

ბურჟუაზიის მიერ გამოყენებული ძალადობის კლასობრივი ბუნების ნათელსაყოფად ლენინი მიუთითებს ასეთ ფაქტებზე. გადასახლება მიუსაჯეს რსდმ ფრაქციის წევრებს ომის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის[6]. კატორღა მიუსაჯეს „ნოვოე ვრემიას“ ორ თანამშრომელს გლეხთა აუტანელი მდგომარეობის შესახებ ნამდვილი ცნობების გამოქვეყნებისათვის[7]. კატორღა მიუსაჯეს შვედ ჰეგლუნდს ომის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის[8] და შოტლანდიელ მასწავლებელ მაკლინს მუშების კლასობრივი ბრძოლის მხარდაჭერისათვის[9]. „დაპატიმრეს ინგლისელი ჟურნალისტი არნოლდი ინგლისის სასამართლოს მსაჯულის უკანონო მოქმედების მხილებისათვის[10] და სილვა პანჰერსტი, რომელიც იცავდა მუშების ინტერესებს[11]. ინგლისშივე 1867 წელს სიკვდილით დასაჯეს ლარკინი ირლანდიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისათვის[12]. გაუსამართლებლად სიკვდილით დასაჯეს ბაბუშკინი და მისი ამხანაგები.[13] მოკლეს ლიბკნეხტი და ლუქსემბურგი. მუშების და მათი ბელადების ფიზიკურად განადგურება საბოლოოდ სპობს უკანასკნელ ნიშანწყალს ხელშეუხებლობისას, რომლითაც შემოსილნი არიან მისი გამომგონებელი ბურჟუები. ვ. ი. ლენინი ამხილებს ბურჟუაზიის მიერ მშრომელი ხალხის ხოცვა-ჟლეტის ამბავს და წერს: „ეს ცალკეული ადამიანების ბრალი როდია. ეს ამა თუ იმ უბედური დამნაშავე ადამიანის დანაშაული როდია. ეს არის შედეგი კაპიტალიზმისა“[14].

ვ. ი. ლენინი ადარებს ბურჟუაზიულ წყობილებას მანამდე არსებულ ფორმაციებს და უაღრესად სანდო მასალებთან ერთად იმოწმებს აგრეთვე გლებ უსპენსკის ცნობას მწერალ რეშეტნიკოვის შესახებ და ამის საფუძველზე ნათელყოფს, რომ კაპიტალიზმის დროს ექსპლოატირებულთა ფართო მასები კვლავ განიცდიან ისეთსავე ჩაგვრას და დამონებას, როგორსაც განიცდიდნენ წინათ.

„ოცდათხუთმეტი წლის წინათ, — წერს ლენინი, — ერთ ცნობილ რუს მწერალს, ფ. მ. რეშეტნიკოვს, არასასიამოვნო ისტორია შეემთხვა. ს. — პეტერბურგში ერთხელ სათავადაზნაურო საკრებულოში წავიდა, შეცდომით ეგონა, იქ კონცერტი იმართებაო, პოლიციელებმა არ შეუშვეს და დაუყვირეს: „სად მიეთრევი, ვინა ხარ?“ — „ხელოსანი“ — უკმეხად უპასუხა გაბრაზებულმა ფ. მ. რეშეტნიკოვმა. ასეთი პასუხის შედეგი ის იყო, — მოგვითხრობს გლ. უსპენსკი,—რომ რეშეტნიკოვმა ღამე საპოლიციო ნაწილში გაატარა, საიდანაც გამოვიდა ნაცემი, უფულოდ და უბეჭდოდ.

„ამის შესახებ მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას“, — წერდა რეშეტნიკოვი თავის თხოვნაში ს.-პეტერბურგის ობერ-პოლიცმეისტერისადმი. მე არაფერს არ ვეძიებ. ვბედავ ერთ რამეს შეგაწუხოთ მხოლოდ: ბოქაულები, უბნის ზე-

[5] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 162.
[6] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 195.
[7] ლენინი თხზ., ტ. 5. გვ. 306.
[8] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 261.
[9] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 261.
[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 43.
[11] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 10. გვ. 162.
[12] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 393.
[13] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16. გვ. 450.
[14] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 631.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხედველები, მათი მორიგე თანამემწეები და დაბალი პოლიციელები ... სცემენ ხალხს... ამ ხალხს ისედაც ბევრი დავიდარაბა ატყდება თავს"[15].

ეს მცირედი სურვილი, რომელიც დიდი ხნის წინათ იქნა გამოთქმული, გაგრძობს ლენინი, კაპიტალიზმის დროს აუსრულებელი რჩება. ძალადობისაგან განთავისუფლებისათვის „საჭიროა თავის დაღწევა პოლიციის სრული თვითნებობის მთელი სისტემისაგან და ხალხის სრული უუფლებობისაგან"[16].

ვ. ი. ლენინი დანაშაულს განიხილავს როგორც ისტორიულ კატეგორიას. დანაშაული გაჩნდა კერძო საკუთრების წარმოშობასა და საზოგადოების კლასებად დაყოფასთან ერთად. დანაშაული გაჩნდა როგორც უმცირესობის მიერ უმრავლესობის ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლის შედეგი.

ვ. ი. ლენინი ნიღაბს ხდის ბურჟუაზიული სამართლის კლასობრივ ბუნებას, ყოველმხრივ აკრიტიკებს მის რეაქციულ ხასიათს და სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებს. ცხოვრებისა და საქმის ღრმა ცოდნით მეცნიერულად ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმის პირობებში დანაშაულის მიზეზს წარმოადგენს კაპიტალისტური ცხოვრების მატერიალური პირობები. დანაშაული ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელშიც გამოიხატება მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის, უუფლებობისა და სოციალ-ეკონომიური ჩაგვრის შინაარსი. რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოების წესი, მით უფრო ღრმად იჭრება კაპიტალისტური ურთიერთობა ცხოვრების ყოველ სფეროში, აჩქარებს მშრომელი ხალხის გაღატაკებას და საყოველთაო უბედურების მიზეზი ხდება. დანაშაული, როგორც კაპიტალისტური წყობილების შედეგი და მისი მუდმივი თანამგზავრი, დროისა და ცხოვრების პირობების განვითარების შესაბამისად სხვადასხვა ფორმებში ვლინდება. ის თავს იჩენს ბურჟუაზიის მიერ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციასა და ძარცვა-გლეჯაში, ან კიდევ მუშების მიერ შიმშილით სიკვდილისაგან თავის გადარჩენის მიზნით ჩადენილ წვრილმან ქურდობაში, ვლინდება სამუშაოდან მუშების უკანონოდ დათხოვნის გამო გამოწვეულ გაფიცვებში, ხელფასის უკანონოდ შემცირების გამო მოწყობილ დემოსტრაციებში, მუშების უკანონოდ დაპატიმრების გამო გამოწვეულ შეიარაღებულ აჯანყებაში და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, კაპიტალიზმის დროს დანაშაული არის ნამდვილი ომის გამოხატულება, რომელიც წარმოებს ჩაგრულ მშრომელ ხალხსა და მჩაგვრელ ექსპლოატატორებს შორის. ბურჟუაზიას არ შეუძლია საერთოდ დანაშაულობის არც შეჩერება და არც მოსპობა. ვ. ი. ლენინი დანაშაულობის მოსპობის ერთადერთ აუცილებელ პირობად სახავს ბურჟუაზიულ წყობილების მოსპობას და კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

2. დანაშაულის პირვანდელი მიზეზი კერძო საკუთრების წარმოშობა და საზოგადოების კლასებად დაყოფა განაპირობებს აგრეთვე სასჯელის წარმოშობას და მისი არსებობის აუცილებლობას. სასჯელის შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც დანაშაულის შესახებ. სასჯელი არის კერძო საკუთრების წარმოშობისა და საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგი. დანაშაულის განსხვავებით ზოგადი იურიდიული თვალსაზრისით მას კიდევ ის უნდა დაემატოს, რომ დანაშაული მიმართულია გაბატონებული კლასის მდგომარეობის წინააღმდეგ, სასჯელი კი გამოხატავს და იცავს გაბატონებული კლასის ინტერესებს. დანაშაული და სასჯელი გაბატონებული კლასის ინტერესებს ეხება. ამიტომ როგორც ერთი, ისე მეო-

---

[15] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 493-494.
[16] ვ. ი ლენინი. იქვე, გვ. 493.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე მუდამ პოულობს თავის ასახვას და თავისებურ განმარტებას გაბატონებული კლასის იდეოლოგიაში.

ვ. ი. ლენინი ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმმა არსებითად კი არ შეცვალა ფეოდალური სასჯელის კლასობრივი ბუნება, არამედ მხოლოდ სახელი შეუცვალა და ისე შეუნარჩუნა მას ფეოდალური შინაარსი, ხოლო ახალმა ეკონომიურმა ურთიერთობამ მატერიალური შედეგების მიხედვით თავისი დაღი დაასვა სასჯელის გამოყენების ფორმას. „ყმა-გლეხები მემამულეებისათვის მუშაობდნენ და მემამულენიც მათ სჯიდნენ, — მუშები კაპიტალისტებისათვის მუშაობენ, და კაპიტალისტებიც მათ სჯიან, მთელი განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინათ არათავისუფალ ადამიანს კეტით სცემდნენ, ახლა კი ფულით სცემენ“[17]

ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით ლენინი ამტკიცებს, რომ ახალმა ეკონომიურმა ურთიერთობამ მატერიალური შედეგების მიხედვით უცვლელად დატოვა გაბატონებული კლასის სამართლებრივი მდგომარეობა. ამის ნათელსაყოფად ვ. ი. ლენინი იყენებს „სასამართლო პრაქტიკის“ შემთხვევას, რომელიც დაიწყო 1862 წელს და გაგრძელდა 1913 წლამდე. 1862 წლის კანონის თანახმად, ურალის უმდიდრესი მემამულე სტროგანოვი ვალდებული იყო მიეცა მიწები გლეხებისათვის. სტროგანოვმა არ შეასრულა კანონი და არ დააკმაყოფილა გლეხების მოთხოვნა. ამიტომ გლეხები იძულებული გახდნენ მიემართათ სასამართლოსათვის. სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე საქმე ზოგჯერ კიდეც „ეღირსა უმაღლეს სანქციას“, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბოლოოდ მაინც არ იქნა გადაწყვეტილი. ბრწყინვალე მემამულე სტროგანოვი კი კვლავ დარჩა იმ მიწების მფლობელად, რომელიც უნდა მიეცა გლეხებისათვის.

ამ მაგალითის მიხედვით ვ. ი. ლენინი ხსნის, რომ კაპიტალიზმის დროს კვლავ უცვლელად დარჩა ის უსამართლობა, რაც იყო ბატონყმობის დროს — გაბატონებულ კლასს სამართალი არა სჯის. „სასაცილოა ლაპარაკი“ სამართალზე, — წერს ვ. ი. ლენინი, — როდესაც მემამულეები კიდევაც სცემენ კანონებს და კიდევაც იყენებენ ან აუქმებენ მათ სინამდვილეში. მაშასადამე, ყოფილა ისეთი კლასი, რომელიც თვითონ ქმნის „სამართალს“ და თვითონვე აუქმებს მას. მაშასადამე, ლიბერალური სიტყვები „სამართალსა“ და „რეფორმებზე“ ცარიელი ყბედობაა“[18]

ლენინის განმარტების თანახმად, სასჯელი არის იმ პოლიტიკის უშუალო გაგრძელება, რომელსაც ახორციელებს გაბატონებული კლასი თავისი ინტერესების დასაცავად.

ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული კანონმდებლობის დამსჯელი პოლიტიკის განხორციელებას იკვლევს არა ზოგადად, არა ეგრეთწოდებული „მარადიული“ ჭეშმარიტების თვალსაზრისით, არამედ ბურჟუაზიული კანონმდებლობის დამსჯელ პოლიტიკას განსაზღვრავს კლასთა შორის ურთიერთდამოკიდებულების, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობის და ფაქტიური უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით. ვ. ი. ლენინი უხსნის მუშათა კლასს სასჯელის კლასობრივ არსს მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების მიხედვით და დასძენს, რომ რაც უფრო მწვავდება კლასთა შორის წინააღმდეგობა, რაც უფრო ღრმავდება

---

17 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2. გვ. 24.
18 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 358.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფართოვდება მუშათა კლასის რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობა, მით უფრო აძლიერებს ბურჟუაზია რეაქციულ აზიურ-დესპოტურ რეპრესიულ პოლიტიკას. ვ. ი. ლენინი კი არ კმაყოფილდება ამ პოლიტიკის უბრალო დაგმობით, არამედ იძლევა მის სრულ და ყოველმხრივ ახსნას. სასჯელის კონკრეტული გამოვლინების შესაბამისად ვ. ი. ლენინი აკეთებს დასკვნას, რომ დამსჯელ ღონისძიებათა გაძლიერება ფეხდაფეხ თან სდევს ექსპლოატირებული კლასების განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.

კაპიტალიზმის განვითარების პირველ პერიოდში, როდესაც შინაგანი წინააღმდეგობით გამოწვეული აფეთქებები უფრო „მშვიდობიან“ ხასიათს ატარებდა, ბურჟუაზია ცდილობდა კანონში შეეტანა ოდნავ ლიბერალური ელემენტები, რომელთა მიზანი იყო არასასჯელის შემსუბუქება, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობილების შელამაზება. მაგრამ ბურჟუაზიის ასეთ თვალთმაქცობასთან ერთად მთელი სიცხადით აშკარავდებოდა აგრეთვე ის შევიწროება, არაადამიანური თვითნებობა, ძალმომრეობა, რომელსაც მიმართავდა ბურჟუაზია უუფლებო მუშების მიმართ.

იმპერიალიზმის ხანაში სამუდამოდ მოეღო ბოლო კაპიტალისტური წყობილების შინაგანი წინააღმდეგობით გამოწვეულ აფეთქების „მშვიდობიან“ ხასიათს. ამასთან ერთად სამუდამოდ მოეღო ბოლო ბურჟუაზიული კანონმდებლობის მიერ ბურჟუაზიული წყობილების შელამაზებას. გათვითცნობიერებული მშრომელი ხალხი მედგარ და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიასთან. ეკონომიურ გაფიცვებს სცვლის ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ მიმართული აშკარა შეტაკებები ქუჩებში. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით ბურჟუაზია მიმართავს მკაცრ რეპრესიებს, აწყობს თავისუფლებისათვის მებრძოლი უბრალო ადამიანების ახალ ხოცვა-ჟლეტას, იღებს ახალ კანონებს, რომელნიც აძლიერებენ სასჯელს გაფიცვებისათვის. მაგრამ ბურჟუაზია მკაცრი კანონების გამოცემით სასაცილო და გამოუვალ მდგომარეობაში იყენებს თავს, რადგან მის მიერ გამოცემული მკაცრი კანონების გამოყენება სასამართლო საშუალებით როგორც ფიზიკურად, ისე პოლიტიკურად შეუძლებელი ხდება. „ფიზიკურად შეუძლებელია, — წერს ვ. ი. ლენინი, — პასუხი აგებინონ მუშაობაზე უარის თქმისათვის, გაფიცვისათვის, „თავმოყრისათვის“ ათასსა და ათი ათას ადამიანს. პოლიტიკურად შეუძლებელია ყოველი ასეთი შემთხვევა სასამართლოს მიანდო გასარჩევად, ვინაიდან, როგორც უნდა შეარჩიო სასამართლოს შემადგენლობა, რაც უნდა შეკვეცო მისი საჯაროობა, სასამართლოს ნასახი მაინც დარჩება და, რა თქმა უნდა, ეს იქნება „გასამართლება“ არა მუშების, არამედ მთავრობის. და აი სისხლის სამართლის კანონებს, რომელთა გამოცემის პირდაპირი მიზანი იყო გაეადვილებინა მთავრობის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ (და იმავე დროს მისი პოლიტიკური ხასიათი მ ი ე ჩ ქ მ ა ლ ა საზოგადოებრივ „წესრიგზე სახელმწიფოებრივ“ მოსაზრებათა და სხვა) ულმობლად უკანა რიგში აყენებს პ ი რ დ ა პ ი რ ი პოლიტიკური ბრძოლა, აშკარა შეტაკება ქუჩებში. „მართლმსაჯულება“ მიუკერძოებლობასა და კეთილშობილების ნიღაბს იხდის, სამოქმედო ასპარეზიდან გარბის და ამ ასპარეზს უტოვებს პოლიციას, ჟანდარმებსა და კაზაკებს, რომელთაც ქვებით უმასპინძლდებიან“[19].

[19] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5. გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიშტებითა და მათრახებით შეიარაღებული ბურჟუაზია ცდილობს სასჯელის სიმკაცრე ახსნას მისი გამაფრთხილებელი მნიშვნელობით. ბურჟუაზია სასჯელს განიხილავს, როგორც საზოგადოებისთვის სასარგებლო გამაფრთხილებელ ღონისძიებას. ვ. ი. ლენინი ილაშქრებს ამ შეხედულების წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობის ბურჟუაზიულ ახსნას საფუძვლად უდევს ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა. ვ. ი. ლენინი ავითარებს შეხედულებას, რომ საერთოდ სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მისი გამოყენების ისეთ აუცილებლობაში, როდესაც შესაძლებელი იქნება სასჯელისაგან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მორალურ-პრაქტიკული და პოლიტიკური გაკვეთილების გამოტანა. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამ გაკვეთილების გამოტანა ისეთი სასჯელისაგან, რომელიც იცავს ერთი მუჭა ექსპლოატატორების პატრონობას და ჩაგრავს მშრომელთა დიდ უმრავლესობას. რაც უფრო ძნელდება სასჯელისაგან მორალურ-პრაქტიკულ-პოლიტიკური გაკვეთილების გამოტანა, მით უფრო მეტად უარყოფენ ბრალეულობის პასუხისმგებლობის პრინციპს. ბურჟუაზიამ ამოწურა „კონსტიტუციური კანონიერების პირობები“ და ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, „როცა **საჭირო ხდება**“ მის მიერ შექმნილი კანონების მსხვრევა. „ბურჟუაზიის მიერ შექმნილი კანონიერების ეპოქა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იცვლება უდიდესი რევოლუციური ბრძოლების ეპოქით, ამასთან ეს ბრძოლები **არსებითად იქმნება** მთელი ბურჟუაზიული წყობილების დანგრევა. ფორმის მხრივ კი ისინი უნდა დაიწყოს (დაიწყება) ბურჟუაზიის თავგზააბნეული ცდებით თავიდან მოიშოროს მის მიერვე შექმნილი და მისთვის დღეს უკვე აუტანელი კანონიერება!“.. „**მტერი გაიხლართა** თავის საკუთარ კანონიერებაში, ...მტერი იძულებულია „პირველმა ისროლოს“, იძულებულია თავისი საკუთარი კანონიერება ნაკუწებად აქციოს“[20].

იმპერიალიზმის დახასიათების დროს ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ იმპერიალიზმის პოლიტიკიდან პირდაპირ გამომდინარეობს და მასთან უშუალო კავშირშია ომებისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა. იმპერიალისტური ქვეყნების შინაგანი რეაქცია იჭრება საერთაშორისო ასპარეზზე. უკიდურესად მწვავდება კაპიტალისტურ ქვეყნებს შიგნით და მათ შორის არსებული წინააღმდეგობა. ერთი მხრივ იმპერიალისტები ისწრაფვიან ახალი ტერიტორიის დაპყრობისა და მცირე ერების დამონებისაკენ. მეორე მხრივ, დაჩაგრული ერები იწყებენ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ომების გაჩაღებისა და ეროვნული ჩაგვრის განხორციელების მიზნით იმპერიალისტები მიმართავენ რეპრესიულ ღონისძიებებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც იმპერიალისტური ომების წინააღმდეგია. სამუდამო კატორღით იმუქრებიან ხალხთა შორის მშვიდობის აგიტაციის გაწევისათვის. აწესებენ სიკვდილით დასჯას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისა და ფრონტზე დაძმობილებისათვის. ერთი სიტყვით, პოლიტიკური რეაქცია მოიცავს კაპიტალისტური სამყაროს პოლიტიკური წყობილების მთელ სისტემას. იმპერიალიზმი თავისი არსებობის გახანგრძლივების მიზნით ცდილობს ყველგან შეიტანოს კლასობრივი ჩაგვრა, იყენებს გაუგონარ რეპრესიებს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ფიზიკურად განადგურებისათვის.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგებისა, ვ. ი. ლენინი სასჯელის მნიშ-

[20] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 388-389.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენელობას და მისი გამოყენების აუცილებლობას განიხილავს კლასობრივ ბრძოლის თვალსაზრისით. ლენინი ამტკიცებს, რომ რადგან სასჯელი იცავს გაბატონებული კლასის ინტერესებს, წარმოუდგენელია სასჯელის არსებობა ისე, თუ არ არსებობს გაბატონებული კლასი. მაგრამ სასჯელის გამოყენებით (მიუხედავად მისი სიმკაცრისა) ყოვლად შეუძლებელია დანაშაულის მოსპობა საერთოდ. დანაშაულის მოსპობისათვის მთავარია არა ცალკეული დამნაშავის დასჯა, არამედ კაპიტალისტური წყობილებასთან ერთად იმ კანონების დამსხვრევა, რომელთა გამოყენების უვარგისობა მუშათა კლასმა პრაქტიკულად დაამტკიცა გმირული რევოლუციური მოძრაობით.

დანაშაულის და სასჯელის კლასობრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით გამოკვლევის გზით, ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების საფუძველს. ამის შესაბამისად ვ. ი. ლენინი განიხილავს და განმარტავს ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა კლასების ფაქტიურ მდგომარეობას, მათს ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთ შორის ბრძოლას. გამოდის რა მუშათა კლასის რეალური ინტერესებიდან, ვ. ი. ლენინი მიუთითებს კლასთა ბრძოლაში მუშათა კლასის როლსა და ისტორიულ ამოცანებზე, რომელთა შესაბამისად გამოაქვს რევოლუციური მნიშვნელობის გაკვეთილები და მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე სახავს სოციალიზმის, დემოკრატიისა და ხალხთა შორის მშვიდობის გამარჯვების უდიდეს პერსპექტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკანონმდებლო ღონისძიებები

ა. გაგიანი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებას „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ეს ბრძანებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ნარკომანიის აღმოფხვრის საქმეში.

ბრძანებულებამ მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები შეიტანა საქართველოს სსრ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. წინამდებარე წერილში მოცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების ანალიზი ამ ცვლილებათა და დამატებათა გათვალისწინებით.

1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ პირველად საქართველოს სსრ-ში დააწესა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 10-დან 15 დღემდე პატიმრობის სახით ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე ხმარებისათვის ან ხმარების ცდისათვის.

თუ დადგინდება, რომ ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებისათვის ან ხმარების ცდისათვის დაკავებული პირი ნარკომანია და თავს არიდებს მკურნალობას, იგი „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად უნდა გადაიგზავნოს იძულებით სამკურნალოდ სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში.

ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების საკითხის განხილვისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი რთული ამოცანის წინაშე იდგა. სახელდობრ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებასთან ერთად უნდა შეენარუჩნებია ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტის ქმედითობა, ცხოველუნარიანობა. თანაც იმგვარად, რომ ამ ღონისძიებებს შეევსოთ და განემტკიცებიათ ერთმანეთი. ჩვენის აზრით, კანონმდებელმა შესძლო ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტა. მან ნარკომანები გამიჯნა ნარკოტიკული ნივთიერებების პრაქტიკულად ჯანსაღი მომხმარებლებისაგან და ამის მიხედვით მოახდინა მათზე ზემოქმედების ღონისძიებათა გარკვეული დიფერენციაცია.

პრაქტიკულად, ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებისათვის ადმინისტრაციული სასჯელის მოხდის პროცესში ძნელი არ არის იმის დადგენა, არის თუ არა პიროვნება ნარკომანი, რადგან ამ დაავადების უტყუარი ნიშანია ნარკოტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კული შიმშილის (აბსტინენციის) განვითარება ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღების შეწყვეტის შედეგად. თუ ავტორიტეტული საექიმო კომისია დაადგენს, რომ 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულების I მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებული პირი ნარკომანია, იგი განმეორებით უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე და ამავე მუხლის მესამე ნაწილის ძალით გაიგზავნოს იძულებით მკურნალობისათვის სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში. მეორეს მხრივ, ნარკომანის პატიმრობაში ყოფნა 10—15 დღის განმავლობაში საკმარისია იმისათვის, რომ დადგენილი წესის შესაბამისად გაფორმდეს მის მიმართ იძულებითი მკურნალობის შეფარდებისათვის საჭირო მასალები, გამოირიცხოს ნარკომანის მხრივ საექიმო დაკვირვებისათვის თავის არიდების შესაძლებლობა და ა. შ.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც პრაქტიკულად ჯანმრთელები არიან, მათ მიერ ადმინისტრაციული სასჯელის მოხდის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედობის განმეორებით ჩადენისათვის ბრძანებულებამ დააწესა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, — თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. ამის შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ახალი, 252[2] მუხლი[1].

ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ნარკოტიკულ პრეპარატებს ექიმის დანიშნულებით ხმარობენ. ნარკოტიკული ნივთიერებების ან მათი შემცველი პრეპარატების ავადმყოფებისათვის დანიშვნისა და გაცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის მინისტრის 1968 წლის 3 ივლისის № 523 ბრძანება „მხამიანი, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებების შენახვის, აღრიცხვის, გამოწერის, გაცემისა და ხმარების წესების შესახებ“.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პიროვნებამ იცის, რომ ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებას და სურს ამ ნივთიერების ხმარება. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება შეცდომით, მოტყუებით ან თვითმკურნალობის მიზნით, თუნდაც ექიმის დანიშნულების გარეშე (მაგალითად, კოდეინის შემცველი პრეპარატის ხმარება ხველისას), არ გვაძლევს ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი ადამიანი. თუ პირი, რომელსაც მსჯავრი ედება ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებისათვის, არის ნარკომანი, სასამართლომ მას სასჯელთან ერთად უნდა შეუფარდოს იძულებითი მკურნალობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, რომელშიც აგრეთვე მთელი რიგი სერიოზული ცვლილებები და დამატებები შეიტანა 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ.

ბრძანებულების მიღებამდე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „თუ სასამართლო ამას მიზანშეწონილად სცნობს, მას შეუძლია დანაშაულის ჩამდენი ჩვეული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი გაგზავნოს სპეციალურ საავადმყოფოში (ან ფსი-

---

[1] ამავე მუხლით აგებენ პასუხს ის პირები, რომლებმაც 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულების 1 მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად გაიარეს იძულებითი მკურნალობის კურსი, მაგრამ კვლავ იხმარეს ნარკოტიკული ნივთიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიატრიული საავადმყოფოს შესაბამის განყოფილებაში), იძულებითი მკურნალობის ჩასატარებლად".

ამგვარად ფორმულირებულ 63-ე მუხლს სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა. დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი წესით იძულებითი მკურნალობის ამოცანებს. ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, თუნდაც სპეციალურს, წმინდა სამკურნალო პროფილი აქვს. მათში ავადმყოფებს ამუშავებენ მხოლოდ და მხოლოდ მკურნალობის მიზნით, მაშინ როდესაც დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი შრომა თვით შეფარდებული სასჯელის აღსრულებასთან არის დაკავშირებული. ამასთან ერთად ამ პირების მიმართ სასამართლო განაჩენის ძალით უნდა გატარდეს იძულების მთელი რიგი ისეთი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება დაუშვებელია და წარმოუდგენელია სამკურნალო დაწესებულების პირობებში. ამრიგად, დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება აშკარად ეწინააღმდეგება სასჯელის ამოცანებს და ამ კატეგორიის დამნაშავეთა ფაქტიურ დაუსჯელობას მოასწავებს. მეორეს მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მუშაობის დეზორგანიზაცია.

ყოველივე ამის გამო განიცადა მკაცრი კრიტიკა და არ გამოიყენებოდა პრაქტიკაში 63-ე მუხლი მასში ცვლილებათა და დამატებათა შეტანამდე.

1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებაში დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის საკითხებმა სრულიად ახლებური გადაწყვეტა ჰპოვეს. ამჟამად 63-ე მუხლი კატეგორიულად ავალებს სასამართლოს ყოველ ალკოჰოლიკსა და ნარკომანს შეეფარდოს იძულებითი მკურნალობა, რასაკვირველია სათანადო სამედიცინო დასკვნის საფუძველზე. თუ ალკოჰოლიკს ან ნარკომანს სასამართლომ ისეთი სასჯელი შეუფარდა, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, იგი იძულებით მკურნალობას გაივლის სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში. ის ალკოჰოლიკი ან ნარკომანი, რომელსაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, იძულებით მკურნალობას გაივლის სასჯელის მოხდის პროცესში, გათავისუფლების შემდეგ კი, თუ ეს საჭირო აღმოჩნდება, მკურნალობას გააგრძელებს სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში სრულ გაჯანსაღებამდე.

ამგვარად ფორმულირებულ 63-ე მუხლს აქვს უდავო უპირატესობები ძველთან შედარებით და, ჩვენი აზრით, პრაქტიკაში გამოყენებისას შეუძლია უზრუნველყოს სასჯელისა და მკურნალობის ღონისძიებათა სწორი შეხამება.

1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ მთელი რიგი სერიოზული ცვლილებები და დამატებები შეიტანა იმ ქმედობათა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრძოლის საქმეში, რომლებიც ხელს უწყობენ ნარკომანიის გავრცელებას. ცვლილებები არსებითად გამოიხატა რეპრესიის მნიშვნელოვან გაძლიერებაში, დამატებები კი — დანაშაულის ახალ შემადგენლობათა შექმნაში.

ბრძანებულებამ კოდექსში შეიტანა ახალი, 252[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებისათვის. ამ მუხლის ძალით „ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმომოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება, თუ ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს უფრო მძიმე სასჯელს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით".

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება ხელყოფს ამ ნივთიერებებზე სახელმწიფო მონოპოლიას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებაში ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის, გამოძალვის, მითვისების, გაფლანგვის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით. პირად საკუთრებაში მყოფ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, რა ხერხითაც არ უნდა იყოს ჩადენილი, არ მოგვცემს ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს ნარკოტიკულ ნივთიერებათა დიდი ოდენობით გატაცება. დიდი ოდენობის ქვეშ იგულისხმება ისეთი ოდენობა ამ ნივთიერებისა, რომელიც საკმარისია ხანგრძლივი მოხმარებისათვის და შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წ. 29 დეკემბრის № 6 დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულების შესრულების სასამართლო პრაქტიკის შესახებ", მე-4 მუხლის „დ" პუნქტი).

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავე უნდა ითვალისწინებდეს, რომ იტაცებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფ ნარკოტიკულ, სხვა ძლიერმოქმედ ან შხამიან ნივთიერებას. გატაცების მიზანს ან მოტივს არა აქვს მნიშვნელობა ქმედობის 252[1] მუხლით კვალიფიკაციისათვის.

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა მითვისების, გაფლანგვის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით გატაცების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის, გამოძალვის გზით ამ ნივთიერებათა გატაცების სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს.

ყურადღებას იმსახურებს ნორმა, რომელიც აძლიერებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკულ ნივთიერებათა სპეციალური ნებართვის გარეშე გასაღების მიზნით დამზადების, შენახვისა და შეძენისათვის, აგრეთვე გასაღებისათვის. 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ ამ ქმედობებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გააძლიერა კვალიფიციური შემადგენლობების შექმნის გზით. ქმედობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებად კანონმდებელმა მიიჩნია ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შენახვა, შეძენა ან გასაღება დიდი ოდენობით, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვინც უკვე მოიხადა სასჯელი ასეთივე დანაშაულისათვის, და ამ ქმედობებისათვის პასუხისმგებლობა განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთით 10-დან 15 წლამდე ვადით. გაიზარდა პასუხისმგებლობა აგრეთვე ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვისა და გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება ზემოაღნიშნული ქმედობებისათვის სრულიად გამართლებულ და დროულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, რაც არ ითქმის 252-ე მუხლის ახალ რედაქციაზე, რომელიც სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს.

საქმე ისაა, რომ 252-ე მუხლის დისპოზიციიდან ამოღებულ იქნა სიტყვები „გასაღების მიზნით", რაც მთელ რიგ გაუგებრობებს იწვევს შემდეგი მიზეზების გამო: დავუშვათ, რომ სიტყვების „გასაღების მიზნით" 252-ე მუხლიდან ამოღება კანონმდებლის ნამდვილი ნების გამოვლინებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად შეუძლებელი გახდებოდა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებისათვის, რადგან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებას ყოველთვის წინ უძღვის მისი დამზადება ან შეძენა, აგრეთვე გარკვეული ხნის განმავლობაში მისი შენახვა. უფრო მეტიც, რადგან ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებისათვის მისი შეძენა, დამზადება, აგრეთვე გარკვეული ხნით შენახვა ყოველთვის წარმოადგენს მოსამზადებელ მოქმედებას, თუ უკრიტიკოდ გავყვებით 252-ე მუხლის სიტყვიერ შინაარსს, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ნარკოტიკული ნივთიერების ხმარების მომზადება ისჯება 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მაშინ როდესაც მაქსიმალური სასჯელი დამთავრებული დანაშაულისათვის 1 წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება.

კიდევ უფრო აშკარა შეუსაბამობასთან გვექნება საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოხმარების მიზნით ნარკოტიკული ნივთიერება დაამზადეს, შეიძინეს ან შეინახეს დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა ან ისეთმა პირმა, ვინც ადრე უკვე მოიხადა სასჯელი ისეთივე დანაშაულისათვის. მაგალითად, თუ ნარკომანთა ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით პირველად შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება მოხმარების მიზნით და დააკავეს შეძენისთანავე, მათი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 252-ე მუხლის მესამე ნაწილით და მიესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ 10 წლისა, მაშინ როდესაც იმავე ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებისათვის მათ შეიძლება ადმინისტრაციული წესით შეეფარდოთ პატიმრობა არა უმეტეს 15 დღისა.

252-ე მუხლის დისპოზიციის სერიოზულ ხარვეზზე მიუთითებს ისიც, რომ პრაქტიკაში უკვე აქვს ადგილი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების მიზნით შეძენის 252-ე მუხლით კვალიფიკაციის შემთხვევებს. მაგალითად, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. ი. გრიგორიანის მოქმედება, რაც საკუთარი მოხმარებისათვის ხაშიშის (პლანის) შეძენაში გამოიხატა, დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლით.

ამგვარად, ჩვენის აზრით, 252-ე მუხლში დაშვებულია რედაქციული ხასიათის შეცდომა, რომელიც პრაქტიკაში შეიძლება გადაიქცეს კანონიერების დარღვევის წყაროდ, ამიტომ საჭიროა ეს შეცდომა რაც შეიძლება ჩქარა იქნას გასწორებული.

რაც შეეხება 252-ე მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულთა შინაარსს, ისინი ხელყოფენ საზოგადოებრივ უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და ადამიანთა ჯანმრთელობას.

ნარკოტიკულ საშუალებათა წარმოებასა და გამოყენებაზე დაწესებულია საერთაშორისო კონტროლი რიგი საერთაშორისო კონვენციებით, რომელთა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილია სსრ კავშირი. იმ ნარკოტიკულ საშუალებათა ნუსხა, რომლებიც 1961 წელს მიღებული ნარკოტიკების შესახებ ერთიანი კონვენციის ძალით საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარებიან, მოცემულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის მინისტრის 1968 წლის 3 ივლისის № 523 ბრძანების № 3 დანართში.

შხამიან ნივთიერებებს განეკუთვნება ისეთი ნივთიერებები, რომლებიც წამლავენ ადამიანის ორგანიზმს და სულ მცირე დოზით მიღების შემთხვევაშიც კი შეუძლიათ გამოიწვიონ სიკვდილი. ძლიერმოქმედი არანარკოტიკული ნივთიერებები კი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშნი არიან მათი სისტემატური ან დიდი ოდენობით გამოყენების შემთხვევაში.

ობიექტური მხრივ ნარკოტიკულ, აგრეთვე ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადება შეიძლება გამოიხატოს მათ გამომუშავებაში ბუნებრივი ნედლეულისაგან, სხვადასხვა ნივთიერებათა ქიმიური შეერთების გზით და ა. შ. ამ ნივთიერებათა შეძენა შეიძლება გამოიხატოს ყიდვაში, რაიმე ნივთზე გაცვლაში, მათ სანაცვლოდ რაიმე სამსახურის გაწევაში და სხვა. შენახვა მდგომარეობს მათ ფაქტიურ ფლობაში, მიუხედავად იმისა, ეს ნივთიერებები წარმოადგენენ პიროვნების საკუთრებას თუ მიბარებული არიან სხვა პირის მიერ. გასაღება ძირითადად გაყიდვაში გამოიხატება, მაგრამ შეიძლება მდგომარეობდეს გაცვლაში, რაიმე სამსახურის გაწევის საზღაურად გაცემაში, ვალის გასტუმრებაში და ა. შ.

ნარკოტიკულ, აგრეთვე ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების უფლება აქვს მხოლოდ სათანადო სახელმწიფო საწარმოებსა თუ დაწესებულებებს, ამიტომ ცალკეული მოქალაქეების მიერ მათი დამზადება ყველა შემთხვევაში დანაშაულს წარმოადგენს.

მოქალაქეთა მიერ ამ ნივთიერებათა შეძენა სამედიცინო და სხვა დაწესებულებებში კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით, ხოლო მოქალაქეთაგან მათი შეძენა ყველა შემთხვევაში უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულ ნივთიერებათა გასაღება მოქალაქეების მიერ ყოველთვის დანაშაულს წარმოადგენს. ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღების შემადგენლობას გვაძლევს აგრეთვე მათი განსხვისება დადგენილი წესების დარღვევით ანგარების მიზნით სამედიცინო თუ სხვა დაწესებულების თანამშრომლის მიერ და ამ ნივთიერებათა არადანიშნულებისამებრ გამოწერა იმავე მიზნით.

252-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ნარკოტიკულ, აგრეთვე ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შეძენა და შენახვა, როგორც წესი, უნდა ხორციელდებოდეს ანგარების მიზნით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შენახვა ან შეძენა პირადი მოხმარებისათვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არ გვაძლევს 252-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობას. ეს ქმედობები პირველად ჩადენის შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერბათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულების I მუხლით. ხოლო ერთი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს ამ კოდექსის 252[2] ან 17—252[2] მუხლით.

ნარკოტიკულ, აგრეთვე ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა შესყიდვა და გადაყიდვა ქონებრივი გამორჩენის მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც 252-ე და 165-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობა.

აღნიშნული ნივთიერებების მაგივრად წინასწარი შეცნობით ანგარების მიზნით სხვა ნივთიერებათა გასაღება უნდა დაკვალიფიცირდეს 153-ე მუხლით (თაღლითობა), ხოლო ასეთ ნივთიერებათა შესყიდვა, თუ არსებობს ქმედობის 252-ე მუხლით კვალიფიკაციის სხვა საფუძვლები, უნდა დაკვალიფიცირდეს 17—252-ე მუხლით (მცდელობა)[2].

ნარკოტიკული, აგრეთვე ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების დამზადების, შეძენის, შენახვის ან გასაღებისათვის პასუხისმგებლობა დგება 14 წლის ასაკიდან.

ნარკოტიკულ, აგრეთვე ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, სახელდობრ რომელი წესი იქნა დარღვეული. აღნიშნული წესები დგინდება სხვადასხვა საუწყებო აქტებით, მაგალითად, სსრ კავშირის ჯანმრთელობის მინისტრის 1968 წლის 3 ივლისის № 523 ბრძანებით „შხამიანი, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებების შენახვის, აღრიცხვის, გამოწერის, გაცემისა და ხმარების წესების შესახებ“, ამ ბრძანების დანართებით № 1, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 და სხვა.

სუბიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს იმ საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ ნარკოტიკულ აგრეთვე ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადებას, შენახვას, გაცემას და სხვ.

1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ საგრძნობლად გააძლიერა პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლი).

თუ ადრე ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის სასჯელის მაქსიმუმი არ აღემატებოდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით იგი 10 წლამდე გაიზარდა, რაც სრულიად შეესაბამება ამ დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას.

ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობა ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და ადამიანთა ჯანმრთელობას, აგრეთვე ხელს უწყობს სხვადასხვა სახის დანაშაულთა ჩადენას.

---

[2] იხ. Бюллетень Верховного суда СССР, 1966, № 2, გვ. 12—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური მხრივ ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ბინის, რაიმე სათავსოს, შენობის ან ნაგებობის ნარკოტიკების გამოსაყენებლად სპეციალურად გამართვაში, ისე დაინტერესებულ პირთათვის ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენებისათვის მათ სისტემატურად დათმობაში.

ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის გამართვა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება ბინის, რაიმე სათავსოს, შენობის ან ნაგებობის სპეციალურად მოწყობის მომენტიდან, თუნდაც რომ ეს ბუნაგი ჯერ არ იყოს გამოყენებული ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებისათვის, მაშინ როდესაც ბინის დათმობა ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულს მოგვცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას სისტემატური ხასიათი აქვს.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. უმრავლეს შემთხვევებში ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგების მოწყობა ხდება ანგარების მიზნით, მაგრამ არ არის გამორიცხული ამ დანაშაულის რაიმე სხვა მიზნით ან მოტივით ჩადენა.

ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობას ხშირად შეიძლება თან ახლდეს ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით შენახვა, შეძენა ან გასაღება. ასეთ შემთხვევებში, რადგან ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით შენახვა და შეძენა ან გასაღება დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 252-ე და 230-ე მუხლებით.

ბრძანებულებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა პასუხისმგებლობა იმ მცენარეთა უნებართვოდ დათესვისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნედლეულს, რაც სავსებით გამართლებულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

ხაშხაშის (ოპიუმის ყაყაჩოს) ინდური კანაფის, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, რადგან ეს მცენარეები წარმოადგენენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნედლეულს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოში პირველად შემოიღო „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ მანჯურიისა და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა, ოპიუმის ყაყაჩოსა და ინდური კანაფისაგან განსხვავებით, ყველა შემთხვევაში გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას, რადგან მათგან დამზადებულ ნარკოტიკულ ნივთიერებებს არა აქვთ სამედიცინო ან სამეცნიერო გამოყენება და მათი დათესვის ნებართვა საერთოდ არ გაიცემა.

253-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება უკვე ოპიუმის ყაყაჩოს, ინდური კანაფის, სამხრეთ მანჯურიისა და სამხრეთ

ჩუიის კანაფის თესლის დათესვისთანავე მიუხედავად იმისა, მიღებულ იქნა, თუ არა მოსავალი და დამზადდა თუ არა მისგან ნარკოტიკული ნივთიერება. თუ მოსავლის აღების შემდეგ პირმა მისგან დაამზადა ნარკოტიკული ნივთიერება გასაღების მიზნით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 252-ე და 253-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ყოველთვის გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. უმრავლეს შემთხვევაში დამნაშავეს ამოძრავებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნედლეულის გასაღების მიზანი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ამ დანაშაულის ჩადენას რაიმე სხვა მიზნით ან მოტივით.

იმ პირის მოქმედება, რომელიც ოპიუმის ყაყაჩოს, ინდური კანაფის, სამხრეთ მანჯურიის ან სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვისას მიზნად ისახავს მათგან ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებას პირადი მოხმარებისათვის, უნდა დაკვალიფიცირდეს არა 253-ე მუხლით, არამედ „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულების I მუხლით, ხოლო იგივე ქმედობის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, — 17—252² მუხლით.

1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებამ პირველად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიაში, დასჯადად გამოაცხადა ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებაზე სურლწლოვანი პირის დაყოლიება და იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება, რაც აგრეთვე ნაკარნახევია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებით.

ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებაზე სრულწლოვანი პირის დაყოლიებისათვის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252³ მუხლი. სასჯელად ამ დანაშაულისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით.

ეს დანაშული ხელს უწყობს ნარკომანიის გავრცელებას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

ობიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება გამოიხატოს სრულწლოვანი პირის ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებაზე დაყოლიებისაკენ მიმართულ ყოველგვარ მოქმედებაში. არასრულწლოვანების დაყოლიება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე არ გვაძლევს 252³ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და უნდა დაკვალიფიცირდეს 236-ე მუხლით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე სრულწლოვანი პირის დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს წაქეზებით, დარწმუნებით, მუქარით, დაშინებით, თხოვნით, მოტყუებით ან სხვა ხერხით. იგი ყოველთვის აქტიურ მოქმედებაში უნდა გამოიხატებოდეს. უმოქმედობის გამოჩენა იმ დროს, როდესაც სხვა პირი ახორციელებს სრულწლოვანის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიებისაკენ მიმართულ რაიმე მოქმედებას, არ გვაძლევს დანაშულის შემადგენლობას. არ შეიძლება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიებად მივიჩნიოთ აგრეთვე ნარკოტიკულ საშუალებათა მიღება ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც არასდროს არ უხმარია ნარკოტიკული ნივთიერება, თუნ-

ღაც რომ ამ უკანასკნელმა ნანახის გავლენით დაიწყოს შემდგომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება, რასაკვირველია თუ ნარკოტიკული ნივთიერების სხვისი თანდასწრებით ხმარებისას პირი მიზნად არ ისახავდა მასში ნარკოტიკების მიღების სურვილის აღძვრას.

ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პიროვნებამ იცის, რომ თავისი მოქმედებით სხვა პირს იყოლიებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე და სურს მისი დაყოლიება. ქმედობის 252³ მუხლით კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიების მიზანსა და მოტივს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე სრულწლოვანის დაყოლიებისას დამნაშავე მიზნად ისახავს ნარკოტიკული ნივთიერებებით „ვაჭრობის ბაზრის“ გაფართოებას, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 252-ე და 252³ მუხლებით ან 17—252-ე და 252³ მუხლებით.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია, რომ იმ პირმა, ვისაც იყოლიებენ ნარკოტიკების ხმარებაზე, თუნდაც ერთხელ იხმაროს რომელიმე ნარკოტიკული ნივთიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიების მცდელობასთან.

პასუხისმგებლობას სამკურნალო—შრომით დაწესებულებაში ნარკომანის ან ალკოჰოლიკის მიერ იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდების ან რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევისათვის განსაზღვრავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252⁴ მუხლი. ამ დანაშაულისათვის შეიძლება პირს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

ეს დანაშაული ხელყოფს სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ეფექტური მკურნალობის ინტერესებს და დეზორგანიზაცია შეაქვს ამ დაწესებულებათა მუშაობაში.

სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება მდგომარეობს მკურნალობის კურსით გათვალისწინებული პროცედურების შეგნებულ და სისტემატურ შეუსრულებლობაში, ხოლო რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა, — შრომის დისციპლინის დაუცველობაში, ადმინისტრაციისათვის დაუმორჩილებლობაში და ა. შ.

იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება და რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს, რომ თავს არიდებს იძულებით მკურნალობას ან ბოროტად არღვევს რეჟიმს და სურს ამ ქმედობის ჩადენა.

უმრავლეს შემთხვევაში დამნაშავეს ამოძრავებს მიზანი: არ განიკურნოს, არ იშრომოს, არ შეასრულოს ქცევის დადგენილი წესები, თუმცა ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია სხვა მიზნით ან მოტივით.

სუბიექტი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც იძულებითი მკურნალობის კურსს გადის სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა გარდაქმნის შესახებ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად.

ამგვარად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ არა მარტო აძლიერებს სასჯელებს ნარკომანიასთან დაკავშირებული ამა თუ იმ დანაშაულისათვის, არამედ არსებითად ახლებურად წყვეტს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. იგი რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ საშუალებად უნდა იქცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა ოჯახის წევრის მოთხოვნით და ფართზე უფლების მოპოვება

შ. ტყავაძე

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 311 მუხლის შესაბამისად საცხოვრებელი სადგომისა და დამხმარე სათავსოების გადაკეთება დაიშვება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, ბინის კეთილმოწყობის მიზნით და მხოლოდ მაშინ, თუ ამის წინააღმდეგი არ არიან: დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრები, გამქირავებელი და მეზობლები, რომელთა ინტერესებსაც ეს შეეხება.

კანონის ეს მოთხოვნა უკანასკნელ დრომდე სასამართლო პრაქტიკაში ზუსტად არ სრულდებოდა. სასამართლოები საკითხის გადაწყვეტისათვის საკმარისად თვლიდნენ რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიების დადგენილებებს და არ თხოულობდნენ თვით რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას სათანადო ნებართვის გაცემის შესახებ, რაც პირდაპირაა მითითებული კანონში. მხოლოდ 1968 წლის 17 იანვარს, მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, თბილისის საბჭოს აღმასკომმა შეცვალა თავისი 1959 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება და რაისაბჭოს აღმასკომებს დაავალა საუწყებათაშორისო კომისიების დადგენილებები ბინებისა და სათავსოების გადაკეთების შესახებ განიხილონ რაისაბჭოს აღმასკომების სხდომებზე.

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანი, მოსახლეობისათვის ფრიად საჭირო და ამავე დროს ძნელად მოსაგვარებელია, რადგან იგი უმთავრესად დაკავშირებულია ოჯახების დანაწილებასთან. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 307 მუხლი მიუთითებს, რომ დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მასთან დადონ საცხოვრებელი სადგომის ნაწილზე ქირავნობის ხელშეკრულება მისი ხვედრი საცხოვრებელი ფართობის შესაბამისად, თუ ამ ფართობის გამოყოფა შესაძლებელია ამ კოდექსის 295 მუხლის მოთხოვნების დაცვით. 295 მუხლი კი განმარტავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში შეიძლება გაქირავებულ იქნეს მხოლოდ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი. მაშასადამე, ოჯახის განაწილების შემთხვევაში ბინის ფართობის ცალ-ცალკე გაფორმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელია ამ ბინის გაყოფა და იზოლირება. ძალიან ხშირია და სავსებით ბუნებრივი, რომ დროთა განმავლობაში ოჯახის წევრთა რაოდენობა იზრდება (ემატება შვილები, შვილიშვილები ან ახალი წევრი — რძალი) და დგება საჭიროება ფართობის განაწილებისა. სწორედ ამ დროს ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას, რადგან ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ოჯახის წევრები ვერ მიდიან შეთანხმებამდე ბინის განაწილების საკითხში. კოდექსის 307 და 311 მუხლით კი სადგომის გამოყოფისათვის საჭიროა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა. კანონი კონკრეტულად არ გვეუბნება, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა ადგილი აქვს ოჯახის წევრთა წინააღმდეგობას. 307 მუხლში ნათქვამია, რომ თუ ბინის გამქირავებელი უარს ამბობს ცალკე ხელშეკრულების დადებაზე, ეს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. მაგრამ შემდეგ აღარაფერია ნათქვამი, როგორ მოვიქცეთ, როცა ოჯახის რომელიმე წევრი ან თვით ბინის ძირითადი დამქირავებელი უარს ამბობს ბინის განაწილებაზე მიუხედავად იმისა. რომ ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობა გამწვავებულია, ბინის გაყოფა ტექნიკურად დასაშვებია და ბინის გამქირავებელიც არ არის ამის წინააღმდეგი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 311 მუხლი ბინის გადაკეთებისათვის აუცილებელ პირობად თვლის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვას. სასამართლო საკითხს წყვეტს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად. ეს აგრეთვე დიდ გართულებას ქმნის, რადგან არ არის გამორიცხული, რომ რაისაბჭოს აღმასკომში შეცდომა მოხდეს. მისი გასაჩივრება სასამართლოს წესით არ დაიშვება, ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებაც უშედეგოა, რადგან რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ამ საკითხზე საბოლოოა.

მიზანშეწონილია სამოქალაქო სამართლის კოდექსის-311 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება. ამ მუხლში იმ ადგილას, სადაც ნათქვამია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვაზე სიტყვა „ნებართვის“ ნაცვლად გვეხმარა „თანხმობა“, ვინაიდან ნებართვის გაცემა მხოლოდ საკითხის საბოლოო გადაწყვეტის, ე. ი. საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ უნდა ხდებოდეს და ეროვნულად უხერხულია ნებართვის გაცემის შემდეგ საკითხი კვლავ სადავოდ იქნეს დატოვებული.

დავუბრუნდეთ ბინის ფართობის განაწილებას ოჯახის წევრთა შორის. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 307 და 311 მუხლების ანალიზის დროს შეცდომა იქნებოდა 311 მუხლში გამოთქმული აზრი და ნორმა მთლიანად და სავსებით გავავრცელოთ იმ შემთხვევაზე, როცა ბინის გაყოფა უნდა მოხდეს ოჯახის წევრთა შორის 307 მუხლის შესაბამისად, რაც წარმოიშვება ამ ოჯახის წევრთა ურთიერთობისაგან, როცა აღარ შეიძლება ერთ ოჯახად ერთ ბინაში ცხოვრება და აუცილებელია განცალკევება. ასეთ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, ბინის ფართობი უნდა განაწილდეს საცხოვრებელი ფართობისა და სათავსოების გადაკეთებით, თუნდაც ასეთი გადაკეთება ზუსტად არ აკმაყოფილებდეს 311 მუხლის მოთხოვნას, სადაც ნათქვამია, რომ საცხოვრებელი სადგომისა და დამხმარე სათავსოების გადაკეთება შეიძლება მოხდეს მარტოოდენ ბინის კეთილმოწყობის გაუმჯობესების მიზნით. როცა ბინის განაწილება გამოწვეულია აუცილებლობით, ოჯახის წევრთა შორის შექმნილი გარემოებებისა გამო, უნდა მოხდეს ბინის გადაკეთება მაშინაც კი, თუ ეს არ იწვევს ბინის გაუმჯობესებას და კეთილმოწყობას, მაგრამ არც მის გაუარესებას და რომელიმე მეზობლის ინტერესებსაც არ ეხება.

გაუგებრობას იწვევს ისიც, რომ სასამართლოები ბოლო ხანებში ამ კატეგორიის საქმეებს არ იღებენ წარმოებაში, თუ ის განხილული არაა წინასწარ რაისაბჭოს აღმასკომში. ვფიქრობთ, ეს არ არის სწორი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 311-ე მუხლის მოთხოვნას, იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ამ კატეგორიის საქმეები სასამართლოში არ უნდა ირჩეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, რადგან იქ ნათქვამია, რომ ბინის და დამხმარე სათავსოების გადაკეთება შეიძლება აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თანახმა არიან დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრები, გამქირავებელი და მეზობლები. იბადება კითხვა — თუ ყველა ეს მონაცემი დაცულია, რა საჭიროა სასამართლოს მივმართოთ. ასეთ შემთხვევაში ხომ საკმარისი იქნება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ნებართვა? პრაქტიკაში კი ამ კატეგორიის საქმეები სასამართლოში ძალზე ბევრი იხილება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხშირად მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ამა თუ იმ პირის მოთხოვნას საცხოვრებელი ბინის ან სათავსოს გადაკეთების შესახებ სამართლიანად მიიჩნევს, მაგრამ რომელიმე მეზობელი ზემოაღნიშნულის წინააღმდეგია და აღმასრულებელი კომიტეტი იძულებულია მიუთითოს დაინტერესებულ მხარეს მიმართოს სასამართლოს.

ვფიქრობთ, ასეთი პრაქტიკა სავსებით გამართლებულია, მაგრამ თუ 311-ე მუხლის მოთხოვნას დავემყარებით, სასამართლოს არა აქვს უფლება დააკმაყოფილოს დაინტერესებული პირის მოთხოვნა, თუ ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება ვინმე თუგინდ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. საქმისადმი ასეთი მიდგომა კი ყოვლად დაუშვებელია.

ბინის ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის საკითხი დამქირავებლის ოჯახის წევრების მოთხოვნითა და ბინის გადაკეთებისა ან სხვაგვარად დაგეგმვის გამო არ არის განმტკიცებული ერთიანი პრაქტიკით. ამავე დროს ეს საკითხი ძალზე საჭირბოროტოა და სასურველია თუ ამის შესახებ სათანადო ორგანოებში გაამახვილებენ თავიანთ ყურადღებას.

დიდი მნიშვნელობისაა, აგრეთვე, საკითხი დამქირავებლის ოჯახის წევრის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლი — გამოსაზღვრავს ოჯახის წევრის უფლებებსა და მოვალეობას. მუხლი აღნიშნავს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრად და ამ მხრივ პრაქტიკაში რაიმე სერიოზულ გაუგებრობას არც აქვს ადგილი, მაგრამ ხშირად სადავოა წესი, რომლის შესაბამისად ოჯახის წევრად ხდება ოჯახისათვის მანამდე სრულიად უცხო პირი. ასეთი პირი შეიძლება იყოს რძალი — (შვილის ან ძმის მეუღლე). კოდექსის 297-ე მუხლში ნათქვამია, რომ დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით ჩაისახლოს თავისთან მეუღლე, შვილები, მშობლები და სხვა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად ასეთი უფლება აქვს არა მარტო დამქირავებელს პირადად, არამედ ოჯახის დანარჩენ სრულწლოვან წევრებსაც. მაგალითად, ბინის ძირითადი დამქირავებლის ვაჟი ირთავს ცოლს. ცხადია, მას აქვს უფლება მეუღლე შემოიყვანოს ბინაში სხვების თანხმობით. ეს საკითხი დიდი ხანია პრაქტიკაშიაც განმტკიცდა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1969 წლის პირველ ნომერში მოყვანილია ვინმე მალაციძის საქმე, რომელზეც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის შედეგად უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქმე სახალხო სასამართლოში დააბრუნა განმეორებით განხილვისათვის, რადგან არ იყო დადგენილი, რომ სადავო ბინაში მოსარჩელე შესახლებული იყო ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობით. ასეთივე დადგენილება პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდიუმში უფრო აღრეც გამოიტანა საქმეზე კაპანაძის სარჩელისა გამო სოხაძესთან, ხაჟომიას სარჩელისა გამო სტუროუასთან და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბევრი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ოჯახის ახალი წევრის მიღებისათვის საჭიროა სხვებისაგან წერილობითი თანხმობა. ცნობილია, რომ საბინაო წიგნში ოჯახის ახალი წევრის ჩაწერისათვის საჭირო არის მხოლოდ ბინის ძირითადი დამქირავებლის წერილობითი განცხადება და ოჯახის სხვა წევრთა თანხმობას არ თხოულობენ. ვფიქრობთ, თუ ოჯახის ახალი წევრი საბინაო წიგნში ჩაწერილია ძირითადი დამქირავებლის. წერილობითი განცხადების საფუძველზე, ფართობზე მისი უფლება უნდა ჩაითვალოს მოპოვებულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლ ვიტფოგელი და მისი „აღმოსავლეთის დესპოტიზმი“

გ. ნადარეიშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

დიდი იდეოლოგიური ბრძოლის პროცესში, რაც საზოგადოებრივი მეცნიერების მარქსისტ მკვლევარებსა და დასავლეთის ბურჟუაზიულ სწავლულებს შორის მწვავედ მიმდინარეობს, მცირე როლი როდი აქვს დათმობილი საკითხს ე. წ. „აღმოსავლეთის დესპოტიზმის“ შესახებ.

დიდი ხანია, რაც სერიოზულ მკვლევარებს აღარ აკმაყოფილებთ ზოგადი დეფინიცია, რომ აღმოსავლეთი თეოკრატიისა და დესპოტიზმის სამყაროა. ფაქტები იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებენ, რომ აღმოსავლეთის ხალხებმა გაიარეს დინამიურობით აღსავსე მრავალფეროვანი და ღრმად საყურადღებო ისტორია. აღმოსავლეთის მრავალ ხალხს თავისი ინდივიდუალური წვლილი შეჰქონდა ძველი სამყაროს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. გარდა ამისა, სწორი არ იქნება ვილაპარაკოთ აღმოსავლეთზე მთლიანად და არ გავითვალისწინოთ სხვაობა ცალკეული ქვეყნების განვითარების გზებში.

ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში სახელმწიფომცოდნეობისა და სამართლის ისტორიკოსთა გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ ფინიკიელთა კოლონიების არისტოკრატიული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ძველ ებრაელთა მეფეებამდელი ეპოქის ტრადიციები, სპარსელების ე. წ. „სახალხო მონარქია“ პოლიტიკურ სფეროში ფორმების არანაკლებ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს, ვიდრე დასავლეთი[1].

რაც შეეხება აღმოსავლეთის ხალხებში ხელისუფლების დესპოტურ ხასიათს, ამ მხრივაც საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ეს ზოგიერთ დილეტანტ „მკვლევარს“ წარმოუდგენია.

როგორც ირკვევა, აღმოსავლეთის ქვეყნებში დესპოტია ისე შორს არასოდეს არ წასულა, რომ ყოველგვარი მართლწესრიგი უარეყო.

ძველი სამყაროს ქვეყნების ცხოვრების შესახებ დღეს მეცნიერების განკარგულებაშია მეტად საინტერესო საკანონმდებლო ძეგლები და სასამართლო პრაქტიკის მასალები.

როგორც ირკვევა, არსებობდა და მოქმედებდა ეგვიპტური, სპარსული, ასირიული, ინდური, ჩინური, ხეთური და ა. შ. სამართალი, ზუსტად განსაზღვრული ინსტიტუტებით და კარგად მოწესრიგებული მართლმსაჯულებით.

ძველი ბერძნების ქედმაღლური შეხედულება აღმოსავლეთის ხალხების მონური მდგომარეობის შესახებ, რომელმაც თავი იჩინა ახალი დროის მკვლევარების თხზულებებშიც, მნიშვნელოვანწილად გადაჭარბებულია და სინამდვილეს არ შეეფერება.

ბერძენ-რომაელ ავტორთა შეხედულება აღმოსავლეთის ხალხთა მონობის შესახებ იმას ეყრდნობოდა, რომ თავისუფლება გაიგივებული იყო მოქალაქეთა მიერ ხელისუფლების ორგანოების არჩევასთან და უმაღლესი ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობასთან.

ძველი ბერძენი ავტორების შეხედულებაში სწორია მხოლოდ ის, რომ ძველ აღმოსავლეთში პიროვნება უფრო შეზღუდული იყო თავის უფლებებში, ვიდრე მაგალითად საბერძნეთსა და რომში. ცხადია, როდესაც პიროვნებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს არა მონები, არამედ მოსახლეობის თავისუფალი ფენები.

სწორია მოსაზრება, რომ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა სამართალი, როგორც წესი მონარქთან მიმართებით არ სცნობდა პიროვნების არავითარ უფლებას. ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ამ წესიდან გამონაკლისებსაც ვხვდებით და არც თუ იშვიათად. ამასთანავე ძველი აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში გაბატონებულ-გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით მეფეს თავი უნდა შეეკავებინა მართლწესრიგის დარღვევისაგან. მონარქს კანონი უნდა დაეცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ღვთაება“ მას დასჯიდა.

ძველ ბაბილონურ პოლიტიკურ თხზულებაში[2], რომელიც შედგენილია ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებში, ნათქვამია: „თუ მეფე პატივს არა სცემს სამართალს, მისი ხალხი აჯანყდება, ქვეყანა კი დაცარიელდება“. თუ თავისი ქვეყნის სამართალს მეფე უპატივცემლოდ ექცევა, ეა-ბედის მეუფე, მას ბედს გამოუცვლის და სხვა უარეს ბედს დაუნიშნავს. თუ მეფე თავის მრჩეველ ბრძენს უპატივცემლოდ მოექ-

[1] იხ. **Г. Еллинек,** Общее учение о государстве. Спб., 1903, გვ. 186 — 187.
[2] **И. Дьяконов,** Вавилонское политическое сочинение VIII—VII вв. Вестник Древней истории № 4, 1946, стр. 44.

ცევა, მისი (მეფის) სიცოცხლე მოკლე იქნება. თუ მეფე ვეზირს პატივს არა სცემს — მას ქვეყანა აუჯანყდება. სამართლიან მეფეს კი დიდი ღმერთები კეთილ ბედს უნიშნავენ. თუ მეფე მართალს შეავიწროებს და სასამართლო დავას მტყუანის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ღმერთი შამაში, ცისა და მიწის მსაჯული, მას სამეფოს წაართმევს და მის ქვეყანაში სხვას გაამეფებს.

ორიენტალისტების უკანასკნელი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ძველ ინდოეთში რესპუბლიკებიც კი არსებობდა და, ცხადია, პიროვნება აქ მეტი უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე მაგალითად ფარაონების ეგვიპტეში. ამ უკანასკნელში, როგორც წესი, ინდივიდის უფლება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ხელმწიფის მიმართ. ვინაიდან მთელი ძალაუფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ფარაონის ხელში იყო თავმოყრილი — მართლწესრიგის დაცვის გარანტია ხელისუფლების მატარებელი პიროვნების შემთხვევით თვისებებისაგან იყო დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, ხსენებული მიზეზების გამო აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში პიროვნებას მხოლოდ შეზღუდული სამოქალაქო უფლებაუნარიანობა გააჩნდა. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეზღუდული ჰქონდა საჯარო უფლებაუნარიანობაც. გარკვეული წოდების თუ კასტის პირს ეძლეოდა მხოლოდ უფლება ჰქონოდა საჯარო-უფლებრივი პრეტენზიები განსაზღვრული თანამდებობის დასაკავებლად[3].

აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში პიროვნებას მეფესთან მიმართებითაც შეეძლო დაეცვა თავისი უფლებები. მკვლევარები მართებულად მიუთითებენ ამ მხრივ ძველი ებრაული კანონმდებლობის მსგავსებაზე რომაელების პირველ საკანონმდებლო ძეგლებთან (მაგ. თორმეტი ტაბულის კანონები და სხვ.). ძველ ებრაელს თავისი უფლებების განხორციელება მეფის მიმართაც შეეძლო. მონარქის ამოცანად ითვლებოდა უფლებრივი დაცვის განხორციელება მისთვისაც სავალდებულო კანონების საფუძველზე. საერთოდ კი მეფის ხელისუფლების საზღვრებისა და რაობის შესახებ „ბიბლია" შეიცავს წინააღმდეგობრივ ცნობებს. თუ „მეფეთა I წიგნში" მეფე დასახულია როგორც შეუზღუდველი დესპოტი, რომლისთვისაც ქვეშევრდომების პიროვნული თავისუფლება და კერძო საკუთრება ხელმისაწვდომია, „მეორე სჯულისას" მიხედვით (თავი 17, §§ 18-20) მეფე კანონებს უნდა სცემდეს პატივს. დაახლოებით ანალოგიური აზრია გამოთქმული წინასწარმეტყველ ისაიას წიგნში (თავი 32, § 1), სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მეფე სამართლიანობით იმეფებს, ხოლო მთავრები კანონების მიხედვით იმთავრებენ.

ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიაში, სადაც ამ 40-50 საუკუნის წინათ დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი, დღეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის შოგლენები ხდება. სოციალიზმი და საერთოდ განვითარების არაკაპიტალისტური გზა აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის მათი ყოფნა-არყოფნის საკითხს მჭიდროდ შეეხისხლხორცა... ეგვიპტის, ინდოეთისა და ჩინეთის ძველი ისტორიის პრობლემებმა ახლებური ჟღერადობა იწყეს...

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაიზარდა ინტერესი აზიის ძველი ისტორიის საკითხებისადმი. ავტორები ეძებენ ანალოგიებს და შეხვედრის წერტილებს ძველს და ახალს შორის. ახალი ისტორიის ფაქტებს და მოვლენებს იყენებენ ძველი ისტორიის ასახსნელად და პირიქით. წარსულში ეძებენ აწმყოს და ცდილობენ წარსულის გაკვეთილები გამოიყენონ აწმყოში. თუმცა როგორც ჰეგელი იტყოდა, ცდა და ისტორია გვასწავლის, რომ ხალხებმა და მთავრობებმა ისტორიიდან ვერასოდეს ვერაფერი ვერ ისწავლეს.

ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა და ორიენტალისტთა, შეიძლება ითქვას, მთელი ლეგიონები „შეესიენ" შესასწავლად აღმოსავლეთის ხალხთა ძველ, და ახალ ისტორიას.

განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ ჩინეთის და იაპონიის ძველი და ახალი ისტორიის საკითხებს. აღმოსავლური დესპოტიზმის რაობის შესწავლისკენ მათ უბიძგეს ჩინეთის ძველი დ ახალი ისტორიის ფაქტებმა და მოვლენებმა. აქ შეიძლება დავასახელოთ კ. ვიტფოგელი, კ. ლატურეტი, ვ. ებერჰარდი, ე. რეიშაუერი, ი. ფერბანკი, აიზენშტადტი, ლატტიმორი.

როგორც თავისი სპეციალური და თეორიული მომზადების დონით, ისე საგნებზე და მოვლენებზე ორიგინალური შეხედულებებით, აგრეთვე დასმული საკითხების სიღრმით, ჩვენი აზრით, ცალკე უნდა გამოვყოთ პროფ. კარლ ვიტფოგელის 556 გვერდიანი ნაშრომი Oriental despotism — „აღმოსავლეთის დესპოტიზმი", რომელიც ინგლისურ ენაზე პირველად 1957 წელს გამოიცა ლონდონსა და ოქსფორდში. გასულ წელს წიგნი ხელახლა დაიბეჭდა[4].

კ. ვიტფოგელი ოციან-ოცდაათიან წლებში თავს მარქსისტ მკვლევარად თვლიდა. მისთვის, როგორც ეს მისი თხზულებიდანაც ჩანს, კარგად არის ცნობილი მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომები. ორიენტალისტთა საერთო აზრით, ავტორი კარგად ფლობს აგრეთვე სპეციალურ უბანსაც — ჩინეთის ისტორიის მასალებს. მართლაც, ავტორი იყენებს ურიცხვ ფაქტურ მასალას და თავისი საკუთარი დაკვირვებით და დიდხანს ნაფიქრი კომენტარებით გვთავაზობს მათ. კ. ვიტფოგელი არის ჩინეთის ისტორიის პროფესორი ვაშინგტონის უნივერსიტეტში და ჩინეთის ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელი კოლუმბიის უნივერსიტეტში.

---

[3] **გ. ელინეკი**, ციტ. თხზ., გვ. 211-213.

[4] **K. A. Wittfogel**, Oriental despotism. A comparative study of total power, London. ნაშრომი თარგმნილია გერმანულადაც. **K. A. Wittfogel**, Die orientalistisihe Despotie. Köln. Berlin. 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაათიან წლებში კ. ვიტფოგელი ცდილობდა ღრმად შეესწავლა მარქსიზმის კლასიკოსთა თხზულებები და მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით ეკვლია ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები.

მაგრამ ავტორის ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ვიტფოგელმა მაშინ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ მარქსის და ენგელსის მისთვის „საინტერესო ცალკეულ გამონათქვამებზე" ისე რომ მთლიანად მარქსიზმის სული და გული, მარქსიზმის არსი მისთვის უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა. ვიტფოგელის მაშინდელ ნაშრომებში მარქსისტულმა ფრაზამ დაჩრდილა შინაარსი. ოციან-ოცდაათიან წლებშივე წამოაყენა ავტორმა თავისი თეზისი აღმოსავლეთში სახელმწიფოს ზეკლასობრივი ხასიათის შესახებ. დაახლოებით იგივე აზრია გატარებული „აღმოსავლეთის დესპოტიზმშიც".

მოსუცი ვიტფოგელი ზემოხსენებულ თხზულებას თავის ძირითად ნაშრომად თვლის და მასშივე გადმოგვცემს საკუთარ ძირითად თეორიულ დასკვნებსაც.

კ. ვიტფოგელის აზრით აღმოსავლეთის ქვეყნებში სახალხო მეურნეობის სფეროში გადამწყვეტ როლს თამაშობს მიწათმოქმედება, რომელიც თავის მხრივ ხელოვნურ რწყვაზე არის დაფუძნებული. დიდი მასშტაბით ხელოვნური რწყვის ცენტრალიზებული სისტემის სამუშაოები, როგორც აუცილებლობას, წარმოშობენ დესპოტურ სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს უზარმაზარი აკვედუკების, გზების, სანაოსნო არხების, ტაძრების, სასახლეების, თავდაცვითი ნაგებობების, აკლდამების და სხვათა მშენებლობას. აგრეთვე იგი აწარმოებს მოსახლეობის აღწერას, დროის აღრიცხვას და ა. შ.

აზრი ძველ აღმოსავლეთში საზოგადოების დესპოტურ ორგანიზაციასა და მიწათმოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ არ შეიძლება კ. ვიტფოგელის აღმოჩენად ჩაითვალოს. ასეთი მოსაზრება ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბებული სახით გამოთქმული ჰქონდათ ადამ სმიტს, ჯონ სტიუარტ მილს, რ. ჯონსს.

აღმოსავლეთის ეს სპეციფიკა თავის დროზე შენიშნა კარლ მარქსმა, რომელმაც მიუთითა კიდევაც, რომ აღმოსავლეთში საზოგადოებრივი სტრუქტურის საფუძველს შეადგენდა წვრილი თემების ნატურალური მეურნეობა. ამ წესწყობილებისათვის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს ქალაქისა და სოფლის განუყოფელი მთლიანობა, მიწათმოქმედებისა და საშინაო ხელოსნობის გაერთიანება-შეთანაწყობა. კ. მარქსის აზრით ძველი აღმოსავლური საზოგადოებისათვის პოლიტიკური ზედნაშენის დარგში დამახასიათებელია მეფის დესპოტური ძალაუფლება. მარქსი და ენგელსი თემში ხედავდნენ „აზიური დესპოტიზმის მტკიცე საფუძველს". ამ თემებისათვის დამახასიათებელია „ერთობაში შერეული მთლიანობა, დესპოტის სახით რეალიზებული". აქ ნამდვილი მესაკუთრეა თემი ან სახელმწიფო რამდენადაც ცალკე ადამიანი აღმოსავლეთში არასოდეს არ ხდება მესაკუთრე, არამედ არის მხოლოდ მფლობელი. „ის არსებითად თითონვე საკუთრებაა, მონაა იმისი, ვინც ასახიერებს თემის მთლიანობას, ერთიანობას". კარლ მარქსის სიტყვით, ანტიური საზოგადოებისაგან განსხვავებით, სადაც მონებს უპირისპირდებოდა ფორმალურად თანაბარუფლებიან თავისუფალ მოქალაქეთა კოლექტივი, აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი იყო „საყოველთაო მონობა" („allgemeine Sklaverei")[5].

აღმოსავლეთის ამოხსნის საშუალებას, „აღმოსავლეთის ცის გასაღებს" კ. მარქსი ხედავდა არა ადამიანთა რასების თავისებურებაში, არამედ საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმების თავისებურებებში, ე. ი. ეკონომიურ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოების და გაცვლის პირობების შესაბამისად ყალიბდებიან. აღმოსავლეთის სალხთა განვითარების შეფერხებას ხელი შეუწყვეს სასოფლო თემებმა, რომლებიც ადამიანის გონებას ზღუდავდნენ უაღრესად ვიწრო ფარგლებამდე, ხდიდნენ მას ტრადიციულ ჩვეულებათა მონად და „აცლიდნენ მას ყოველ სიდიადეს და ისტორიულ ინიციატივას"[6]. ამ უმოძრაო მცენარეულ სიცოცხლეს ახანგრძლივებდა ავრეთვე ველურ დამპყრობთა თარეშიც.

კარლ ვიტფოგელი, როგორც მარქსიზმის რენეგატი, თავის თხზულებაში გააფთრებით ილაშქრებს მარქსისტული მეთოდოლოგიის წინააღმდეგ. მისთვის ეკონომიურ, წარმოებით ურთიერთობებს სოციალური ყოფისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა არა აქვთ. ვიტფოგელისათვის „აღმოსავლეთის დესპოტიზმს", როგორც სახელმწიფოს ფორმას უმთავრესად განსაზღვრავს გეოგრაფიული გარემოს თავისებურება. თუმცა ავტორი არც სხვა ფაქტორების მნიშვნელობას უარყოფს, როგორც საზოგადოების ცხოვრების განმსაზღვრელს. მაგრამ ვიტფოგელი ვერ იძლევა გეოგრაფიული გარემოსა და სხვა დამხმარე ფაქტორების იმანენტური ერთიანობის და კავშირურთიერთობის რაიმე ფორმულას. მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ გეოგრაფიული გარემო და სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ერთმანეთისაგან იზოლირებულად მოქმედებენ, რომ ავტორმა ვერ გვიჩვენა ფაქტორთა ურთიერთგანმაპირობებელი ერთობა.

მიწათმოქმედება აღმოსავლეთის ბუნებრივ პირობებში მოითხოვს რთული საირიგაციო სამუშაოების წარმოებას. არხების გაყვანა და ჯებირების მშენებლობა მოითხოვს კოლექტიურ, საერთო შრომას, ხო-

[5] K. Marx. Grundrisse der Kritik der Politischen Ökonomie (Rohentwurf), m., 1939, S. 395.

[6] კ. მარქსი, ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში. იხ. რჩეული ნაწერები, ტ. I. 1950, გვ. 391.

ლო მრავალრიცხოვანი ადამიანების საერთო შრომას უნდა ხელმძღვანელობდეს ავტორიტეტული ლიდერი. ამ უბრალო და უდავო ჭეშმარიტებიდან კ. ვიტფოგელს გამოჰყავს მეტი რომ არ ვთქვათ, საეჭვო და არადამჯერებელი დასკვნა: აუცილებლობამ იმისა, რომ ადამიანები დამორჩილდნენ ერთი პირის ავტორიტეტს, საზოგადოება მიიყვანა მმართველობის დესპოტური ფორმის შეწყნარებამდე და მოსახლეობის საერთო მონობამდე.

მარქსისა და ენგელსისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ძველ აღმოსავლურ საზოგადოებათა მეურნეობის საფუძველს შეადგენდა მიწის ხელოვნური მორწყვა, ირიგაცია. ხელოვნურმა რწყვამ, რაბების და არხების მოწყობის აუცილებლობამ შეაპირობა აღმოსავლეთში მიწის თემური, კოლექტური საკუთრების ხანგრძლივად შენარჩუნება, რადგან მიწების მთელი მასივის კერძო მესაკუთრეთა შორის დანაწილება გარდუვალად შეუქმნიდა სიძნელეებს საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობას ქვეყნის მასშტაბით. „მიწათმოქმედება, — წერდა ფ. ენგელსი კ. მარქსს, — აქ აგებულია უმთავრესად ხელოვნურ მორწყვაზე, ხოლო ეს მორწყვა არის უკვე თემის, ოლქის ან ცენტრალური ხელისუფლების საქმე“[7].

მარქსსა და ენგელსს გეოგრაფიული გარემო მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, არ მიაჩნდათ სოციალური ყოფის განმსაზღვრელ ფაქტორად. კ. ვიტფოგელი კი ძირითადად სწორედ ხსენებულ გარემოს თვლის აღმოსავლეთის დესპოტიზმის პირველ მიზეზად.

ვინაიდან აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში გეოგრაფიული გარემო მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთიმეორისაგან, ამიტომაც კ. ვიტფოგელის მიხედვით, მაგალითად, ჩინეთსა და იაპონიაში არ შეიძლება ვეძებოთ საერთო ისტორიული კანონზომიერებანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისთვის ისტორიული კანონზომიერების ცნებაც მეტისმეტად პირობითია.

ისტორიაში არ არსებობს მკაცრი დეტერმინიზმი, ერთადერთი აუცილებლობა. ქვეყნებს და ხალხებს ისტორია აძლევს არჩევის თავისუფლებას. მართალია, გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს, ვთქვათ, დესპოტიზმს ჩინეთში, მაგრამ ჩინელებს შეუძლიათ უარი სთქვან აღმოსავლეთის დესპოტიაზე და აირჩიონ იაპონელების ან დასავლეთ ევროპელების მაგალითისამებრ თავისუფლება.

კ. ვიტფოგელი თავის ნაშრომებში ხელმძღვანელობს ისტორიული ვოლუნტარიზმის მეთოდით და ფაქტებისა და მოვლენების ღრმა კვლევის ან ობიექტურ ისტორიულ კანონზომიერებათა ძიების ნაცვლად ეძებს აზიის ხალხთა ისტორიის საკითხების სუბიექტივისტურ ახსნა-განმარტებას. ერთის მხრივ ის თითქოს გეოგრაფიული გარემოს ისტორიული აუცილებლობის განმსაზღვრელ როლს ანიჭებს, ხოლო მეორე მხრით ხსნის ამ აუცილებლობას და ისტორიული განვითარების გზის არჩევის შესაძლებლობასაც აღიარებს.

ვიტფოგელს არ ძალუძს ან არ სურს შემთხვევითობათა — ცალკე პირთა, ვთქვათ, სახელმწიფოს მმართველთა „თვითნებური“ მოქმედებების მიღმა დაინახოს აუცილებელი და კანონზომიერი საზოგადოებრივი ურთიერთობები. თვით აღმოსავლურ სახელმწიფოც კი არც იმდენად „ტოტალური“ იყო, როგორც ეს კ. ვიტფოგელს აქვს წარმოდგენილი.

ჩინეთის იმპერატორს, რა თქმა უნდა, შეეძლო ზოგიერთი მისთვის არასასურველი დიდებულის ფიზიკურად მოსპობაც კი, მაგრამ ამ „ტოტალურ“ ბოღდიხანსაც კი არ შეეძლო გაბატონებული კლასის ეკონომიური ინტერესებისათვის სერიოზული ანგარიში არ გაეწია. ამასთანავე ისტორიულად ცნობილია ვაჭრებისა და ხელოსნების გარკვეულად დამოუკიდებელი მდგომარეობა შუა საუკუნეების ჩინურ დესპოტურ სახელმწიფოშიც კი, რაც ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური წყობის ობიექტური საფუძვლებით იყო გაპირობებული[8].

გარდა ამისა აღმოსავლეთის მონათმფლობელურ და ფეოდალურ სახელმწიფოებში არსებული აუცილებელი კავშირურთიერთობები (საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის) განსაზღვრავდნენ დესპოტის მოღვაწეობას და მოქმედებას. ვიტფოგელს სურს მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში საზოგადოების პოლიტიკური განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე დესპოტური სახელმწიფო აუცილებელი იყო და გარკვეულად პროგრესულ როლსაც ასრულებდა. ასე რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ტერორის, „ტოტალური“ ერთგვარობის, პიროვნების უუფლებობის მიღმა, სენტიმენტალურად განწყობილი ავტორი ვერ ხედავს საზოგადოების განვითარების ბუნებრივ ისტორიულ პროცესს. თვით პიროვნებაც ხომ კერძო საკუთრებისა და კერძო მეურნეობის განვითარების განსაზღვრული საფეხურის პროდუქტია.

შუა საუკუნეებში ცენტრალიზებული ეკონომიკა წარმოშობდა ცენტრალიზებულ გარეშე ეკონომიურ

---

[7] **К. Маркс и Ф. Энгельс,** т. XXI, стр. 494 (1 изд.).

[8] დაწვრილებით იხ. Проблемы Китая, 1935, № 14, **П. Гриневич,** К вопросам истории китайского феодализма. Вопросы истории стран Азии. 1965. Изд. Ленинградского университета.

Исследование по истории стран Востока. Изд. ЛГУ. 1964, **А. Березный,** О характере китайского средневекового общества. Советское Китаеведение, № 3, 1958.

Историография и источниковедение истории стран Азии и Африки, вып. II, Л., 1968. Вестник Ленинградского университета № 20, 1963.

E. O. Reischauer, I. K. Faerbank, A. Greig, A Historu of East Asian Civilisation. Boston. 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებას (დესპოტიზმს) იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც იგი წარმოადგენდა დამატებას წვრილი მეურნეობისა. ცხადია ეს გარემოება და არა გეოგრაფიული გარემო, ხალხის ფსიქოლოგია ან სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციები იყო განმსაზღვრელი იმ გარემოებისა, რომ აღმოსავლეთში ე. წ. დესპოტიები წარმოიშვნენ; ზემოხსენებულის ანალოგიური მდგომარეობა იყო შუა საუკუნეების ჩინეთშიც. აქ უშუალო მწარმოებელთა მასა — წვრილი მიწათმოქმედნი სამეურნეო წლის დიდ ნაწილს თავის მეურნეობაში მოსაქმეობდნენ და ამ მეურნეობის შემოსავლითვე ირჩენდნენ ძირითადად თავს; რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის საირიგაციო და სხვა სახის სამუშაოებს, ისინი მას მაინცდამაინც არ თვლიდნენ თავის საკუთარ საქმედ, თუმცა რამდენადმე ეს სამუშაოები წვრილ მიწათმოქმედთაც უმართავდა ხელს.

მაშასადამე, წვრილი მიწათმოქმედი მატერიალურად არც იყო დაინტერესებული ემუშავა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ მსხვილ საირიგაციო და სხვა სამუშაოებზე. ამიტომ შრომის ფართო მასშტაბით კოოპერირება სახელმწიფოს მხოლოდ გარე ეკონომიური იძულებით თუ შეეძლო. დესპოტი ამგვარად ახდენდა უშუალო მწარმოებლებზე თავისი საკუთრების რეალიზაციას... ასე რომ იძულება და „დესპოტია“ შუა საუკუნეების ჩინეთში გარკვეულად ეკონომიური პოტენციაც იყო და საზოგადოებრივი აუცილებლობაც. ანალოგიურ ეკონომიურ ბაზაზე ასეთი „დესპოტიები“ არა მარტო აღმოსავლეთში არსებობდნენ, არამედ დასავლეთშიც (მაგალითად იმპერატორების ეპოქის რომი, ბიზანტია და სხვ.).

კ. ვიტფოგელი თავისი კონცეპციის გასამაგრებლად ფ. ენგელსსაც იშველიებს. იგი ცდილობს ფ. ენგელსის თხზულებებიდან და წერილებიდან უხვად მოტანილი ციტატებით დაგვიმტკიცოს, რომ სახელმწიფო აღმოსავლეთში იყო ზეკლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია, ორგანიზატორი სამეურნეო საქმიანობისა. ლაპარაკობს რა აღმოსავლეთის დესპოტური სახელმწიფოების შესახებ ვიტფოგელი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ მათ საფუძველს წარმოადგენდა არა რომელიმე განსაზღვრული ფორმა საკუთრებისა, არამედ „მმართველობის“ ფორმა, მეურნეობის ორგანიზაცია.

კვლევის თავის ხერხს კ. ვიტფოგელი უწოდებს ინსტიტუციონური ანალიზის მეთოდს, რაც პირველყოვლისა ნიშნავს პოლიტიკური ინსტიტუტების, ე. ი. ზედნაშენური კატეგორიების ანალიტიკურ კვლევას. მისი აზრით პოლიტიკური ინსტიტუტები წარმოადგენენ საზოგადოების სტრუქტურის განმსაზღვრელ ძალას. ვიტფოგელი თვლის, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის და მარქსიზმის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკუთრებას ანიჭებენ გაცილებით მეტ მნიშვნელობას, ვიდრე მას ეკუთვნის და გვთავაზობს საკუთარ თეზისს სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლის შესახებ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში. რაც შეეხება საკუთრებას, მას „ავტორი „მნიშვნელოვან“, მაგრამ „მეორესარისხოვან“ როლს ანიჭებს.

ყოველი ნაშრომი ჩინეთის თუ სხვა ქვეყნების სოციალ-ეკონომიური ისტორიისა არ იქნება სერიოზული, თუ ღრმად არ იქნება გამოკვლეული საკუთრებისა და მფლობელობის ინსტიტუტი, არ დადგინდება: სანივთო სამართალი ანსხვავებდა თუ არა საკუთრების და მფლობელობის სამართლებრივ ცნებებს.

ეყრდნობოდა თუ არა სანივთო სამართალი, ისე როგორც ეს პტოლომეების ეპოქის ეგვიპტეში იყო, საკუთრებისა და მფლობელობის გამიჯვნის იდეას?

ვიტფოგელის აზრით საკუთრება არის სახელმწიფოსაგან წარმოებული იურიდიული ფორმა. იგი საკუთრებას განმარტავს, როგორც ინდივიდის აღიარებულ უფლებას განკარგოს განსაზღვრული ობიექტი; საკუთრება გულისხმობს მისი მაგარანტირებელი მთავრობის არსებობას. ამიტომაც, არის რა იურიდიული და სოციალური ინსტიტუტი, საკუთრება წარმოადგენს აგრეთვე განსაზღვრულ პოლიტიკურ მოვლენას (გვ. 228).

მოსალოდნელი იყო რომ კ. ვიტფოგელი საფუძვლიანად გამოიკვლევდა აღმოსავლეთის ისტორიის ისეთ პრობლემას, როგორიცაა დანაწევრებული საკუთრების პრობლემა (სახელმწიფოს უზენაესი საკუთრების შეხამება სათემო საკუთრებასთან).

საჭირო იყო გარკვეულიყო საკითხი: მიწაზე სახელმწიფოს უზენაესი საკუთრება იყო თუ არა შედეგი კერძო საკუთრების განვითარებისა და სახელმწიფოს მხრივ კერძო საკუთრების იდეის შესისხლხორცებისა? ან კიდევ მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობა ხომ არ იყო გამოწვეული სახელმწიფოს, როგორც უზენაესი მესაკუთრის დასუსტებით და სახელმწიფოს უზენაესი მესაკუთრეობის იდეის დაცემით? ავტორს პასუხი უნდა გაეცა აგრეთვე კითხვაზე: რა მიმართულებით მოქმედებდა სტიქიური ეკონომიური პროცესი. კერძო მფლობელობის ფორმები სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იყო მხოლოდ კერძო პირთა ურთიერთობაში თუ კერძო პირსა და სახელმწიფოს შორისაც?

დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალო მწარმოებლებზე საკუთრების ფორმების გარკვევასაც. კ. ვიტფოგელმა ნაწილობრივ თავი აარიდა ზემოხსნებულ საკითხს და ნაწილობრივ ვერც შეძლო გადაეჭრა იგი.

ავტორი მიუთითებს მხოლოდ ზოგიერთ საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებზე. დესპოტურ სახელმწიფოში კერძო მესაკუთრის მდგომარეობა არ არის მტკიცე. დესპოტს ყოველთვის შეუძლია კერძო საკუთრების კონფისკაცია. სახელმწიფო არ უშვებს ქვეშევრდომთა ხელში ფართო მასშტაბით მიწის კონცენტრაციას მემკვიდრეობის სამართლის მეშვეობით. მაიორატული მემკვიდრეობა გამორიცხულია. მემკვიდრეობა მემკვიდრეთა შორის თანაბრად უნდა განაწილდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთში, უმრავლეს შემთხვევაში მაინც, თვით კერძო საკუთრებაც კი სახელმწიფოს კონტროლს ემორჩილება და ამიტომაც კერძო მესაკუთრეები არ წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალას. ვიტფოგელის აზრით ყოველგვარი კერძო საკუთრება აღმოსავლეთში უმნიშვნელო როლს თამაშობს. აქ ვაჭრის პიროვნება და საკუთრება მხოლოდ სუსტადაა დაცული.

კ. ვიტფოგელი მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ფეოდალიზმის დროს ჩინეთში ვაჭრები წარმოადგენდნენ ექსპლოატატორულ, მაგრამ არა მმართველ კლასს[9].

ჩინეთში და საერთოდ აღმოსავლეთში, მისი აზრით, უნდა განვასხვაოთ ეკონომიური და ბიუროკრატიული კლასები. მისთვის მიუღებელია კლასების მარქსისტული განმარტება.

ვიტფოგელის აზრით მარქსისტებმა იმპერატორის უბრალო მოხელე უნდა მიაკუთვნონ უბრალო მშრომელთა კლასს, რადგან თავისი შემოსავლის დონით ხსენებული ჩინოვნიკი უშუალოდ მწარმოებელზე მაღლა არ დგას (გვ. 304). ცხადია, მარქსიზმი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლის შემოსავალს, მაგრამ პიროვნების სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის კრიტერიუმად მარქსიზმი თვლის არა თავისთავად შემოსავლის დონეს, არამედ ადამიანის ადგილს ეკონომიურ ურთიერთობათა სისტემაში. ამიტომაც მისთვის ბიუროკრატია წარმოადგენს არა ცალკე აღებულ კლასს, არამედ ფენას, რომელიც მმართველობის ფუნქციას ახორციელებს ეკონომიურად გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის.

კ. ვიტფოგელისათვის კი აღმოსავლური ბიუროკრატია ცალკე კლასია.

ავტორის მტკიცებით აღმოსავლეთში ყოველთვის იყო უამრავი სოციალური ანტაგონიზმი, მაგრამ აქ ცოტაა კლასობრივი ბრძოლა (გვ. 327). ესა თუ ის სოციალური კონფლიქტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს კლასობრივ ბრძოლად, როდესაც მისი მონაწილეები წარმოადგენენ კლასების აღიარებულ და წარმომადგენლობით ნაწილს. მსგავსად XIX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსის ლინდნერისა, ვიტფოგელი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთისთვის უცნობია ტაქტიკური კლასობრივი ბრძოლა, აქ იციან აჯანყება, მაგრამ აჯანყებულთა გამარჯვების შედეგად ძველ დესპოტიას ახალი, უფრო საშინელი დესპოტია ცვლის. ფეოდალური ჩინეთი გლეხთა აჯანყებების კლასიკური ქვეყანა იყო. მაგრამ ეს არ ყოფილა კლასობრივი ბრძოლა და ამიტომაც მსხვერპლმაც უშედეგოდ ჩაიარა. კლასობრივ ბრძოლას წინ მიჰყავს საზოგადოება. ფეოდალური აღმოსავლეთის დაჩიხულობის და სტაგნაციის პირველი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ დესპოტურმა სახელმწიფომ აქ შესძლო კლასობრივი ბრძოლის პარალიზება. მისი აზრით აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში (იაპონიის გამოკლებით) დღესაც კლასობრივი ბრძოლა სოციალური პროტესტის კანონიერი ფორმა არ არის. ვიტფოგელის სიტყვით კლასობრივი ბრძოლა ეს დასავლეთის პოლიცენტრული და თავისუფალი ხალხების ფუფუნება და უპირატესობაა. ვიტფოგელისთვის შეიძლებოდა შეგვეხსენებინა, რომ მის მიერ ფორმულირებული სახით კლასობრივი ბრძოლა გამორიცხული იყო წინაკაპიტალისტური დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში, აგრეთვე ფაშისტურ იტალიასა და გერმანიაში უკვე ახალ დროშიც.

ერთადერთი საფუძველი და მამოძრავებელი აღმოსავლური საზოგადოებისა, მისი შემქმნელი და განმსაზღვრელი ეს არის „დესპოტური“ და „ტოტალური“, ყველასა და ყველაფრის გამსრესი სახელმწიფო. ვიტფოგელის მიხედვით აღმოსავლეთში სახელმწიფო უფრო ძლიერია საზოგადოებაზე. მისი წიგნის ერთ-ერთ თავს სწორედ ასეც ეწოდება: „საზოგადოებაზე ძლიერი სახელმწიფო“. ავტორი აღიარებს, რომ მან ეს ფორმულა რუსი ისტორიკოსის ნ. პ. მილიუკოვის თხზულებიდან („ნარკვევები რუსული კულტურის ისტორიიდან“, ნაწ. I, სპბ. 1896, გვ. 115) აიღო.

ტოტალურ აღმოსავლურ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია „პოლიტიკურად დამოუკიდებელი“ ჯგუფების დაუშვებლობა. ყველა და ყველაფერი სახელმწიფოს მონა უნდა იყოს. სახელმწიფო ერევა ყველაფერში და სპობს ყველას, ვინც შეიძლება მისი პოტენციური კონკურენტი გახდეს. მაგრამ ასეთი ტოტალური ჩარევა მოსახლეობის შინაგან ცხოვრებაში საბოლოოდ სახელმწიფოსა და ბიუროკრატიისათვისაც ზიანის მომტანია. ამიტომ „დესპოტური სახელმწიფო“ ოჯახში, თემში და საწარმოში უშვებს ნამცეცა, მათხოვრულ „გლახაკურ“ თავისუფლებას, რომელსაც ფაქტიურად არაფრის შეცვლა არ შეუძლია. აღმოსავლეთში სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოებაზე მაღლა დგას და ხალხისაგან არ არის დამოკიდებული. აღმოსავლეთში საკუთრებითი ურთიერთობა არ არის საზოგადოების კლასებად დაყოფის საფუძველი. ის ბიუროკრატიული კლასი, რომელიც კონტროლს უწევს სახელმწიფო აპარატს, ფაქტიურად გაბატონებული კლასია. სახელმწიფოს შებოჭილი ჰყავს პიროვნებაც და კერძო საკუთრებაც. პირადი ინიციატივა ითრგუნება.

კ. ვიტფოგელი პრეტენზიას აცხადებს ორ აღმოჩენაზე, რომლებიც მისივე სიტყვით, განსაზღვრავენ დესპოტური ხელისუფლების საქმიანობას. ესენია:

1. კუმულაციური ტენდენცია განუყოფელი ძალაუფლებისა (გვ. 106) და 2. კანონი დესპოტური ძალაუფლების კლებადი ეფექტურობისა (გვ. 109).

ვიტფოგელის სიტყვით, დესპოტი მიისწრაფის მაქსიმალურად გააძლიეროს თავისი ბატონობის სფერო, მაგრამ ადმინისტრაციული კონტროლის არეა-

[9] იხ. Советское Китаеведение № 3, 1958, стр. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გაფართოებას „ბიუროკრატიისათვის“ სარგებლობა მოაქვს მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში, რომლის შემდეგაც ასეთი კონტროლი მხოლოდ საზიანოა. დესპოტური სახელმწიფო ძალაუფლება, საგანთა ლოგიკით, თავის საკუთარ წინააღმდეგობად უნდა იქცეს დროთა ვითარებაში. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, ავტორის აზრით (რომელსაც ის მხოლოდ ბუნდოვნად გვაგრძნობინებს), აღმოსავლეთის ხალხებმა, მსგავსად იაპონიისა, დასავლეთისკენ უნდა იბრუნონ პირი. აღმოსავლეთი იძულებული გახდება იაროს „თავისუფალი“ დასავლეთის გზით. აქ კ. ვიტფოგელი ეხმაურება ე. რეიშაუერს და ი. ფერბენკს, რომელნიც იმას ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთის ხალხებს არ შეეძლოთ ევროპისაგან დამოუკიდებლად განვითარებინათ „დამოუკიდებელი კაპიტალისტური სტრუქტურა“, ე. ი. კაპიტალიზმი, ხოლო ამ უკანასკნელის გარეშე პროგრესის გზით სვლა შეუძლებელი იქნებოდაო.

კ. ვიტფოგელმა განიზრახა თავისი ცოდნა და ნიჭი მოახმაროს კაპიტალიზმის ხსნას. ეს მისი უფლებაა. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხები, ცხადია, კ. ვიტფოგელის რჩევის მიხედვით როდი ცხოვრობენ ან იცხოვრებენ. სოციალიზმი თანამედროვე კაცობრიობის უნივერსალური ტენდენციაა. უაზრობა იქნებოდა ამ ფაქტის უარყოფა.

კ. ვიტფოგელი ძირითადად ფეოდალური ჩინეთის ისტორიის სპეციალისტია და ის თავის სოციოლოგიურ დასკვნებს ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის და შინაგანი წეს-წყობილების შესწავლაზე ამყარებს.

ავტორი ფლობს უზარმაზარ ფაქტიურ მასალას და მისთვის, უნდა ვიფიქროთ, კარგად არის ცნობილი ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების ჩინეთში ე. წ. „აღმოსავლური დესპოტიზმის“ ბატონობის ჩარჩოებში წარმოიშვა ერთ-ერთი უბრწყინვალესი, ძირფესვიანად ორიგინალური კულტურა და ცივილიზაცია, საიდანაც მრავალი სოციალ-პოლიტიკური იდეა და ტექნიკურ-კულტურული მიღწევები ისესხა „თავისუფალმა“ დასავლეთ ევროპამ. ყოველი ხალხი ვალდებულია ისწავლოს სხვა ხალხისაგან და ამით დააჩქაროს თავისი საკუთარი განვითარება. ეს ჭეშმარიტება გაყოყოჩებულმა ჩინელებმა შუა საუკუნეების მიმწუხრზე დაივიწყეს და სხვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა შორის ამანაც ითამაშა გარკვეული როლი მათ ჩამორჩენაში. ევროპელი დამპყრობლების „დამსახურებაც“ მცირე როლს არ ასრულებდა ჩინეთის ამ დაჩიხულობაში. ჩინეთის ე. წ. „გაქვავებულობაზე“ იქმნებოდა მეცნიერული მითები. მაგალითად, ჰეგელის მიხედვით ჩინეთისთვის უცნობია დრო, ის სივრცის სამეფოა. აქ თვით „სახელმწიფო ოჯახის გაფართოებული სახეა“ და ორივე ერთ პრინციპზეა აგებული. ისე, როგორც ოჯახის წევრები მოკლებული არიან ყოველგვარ უფლებებს, ასეთივე მიმართებაში არიან სახელმწიფოს ქვეშევრდომები მისი მმართველის მიმართ“. ცხადია, ჰეგელიც აჭარბებდა. მთელი ჩინელი ხალხი შუა საუკუნეებში ყოველგვარ უფლებებს მოკლებულ მონებად არ შეიძლება გამოვაცხადოთ.

რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: ვიტფოგელის მიერ დახატული აღმოსავლეთის დესპოტიზმის და ტოტალიტარიზმის სურათი სინამდვილეს რომ შეეფერებოდეს, ჩინელები შუა საუკუნეებში ვერ შექმნიდნენ ევროპელებზე უფრო ბრწყინვალე მრავალწახნაგოვან კულტურას.

კ. ვიტფოგელის თანამოაზრე ფილოსოფოსი კ. იასპერსი, მაგალითად, საბჭოთა კავშირშიც ხედავს აღმოსავლეთის „დესპოტიზმს პროლეტარიატის დიქტატურის და ტოტალიტარული დაგეგმვის სახით, რომლებიც ადამიანებს ართმევენ თავისუფლებას და ინიციატივას“[10].

როგორც ჩანს, „დესპოტიზმის“ მოძებნა არც ისე ძნელია დასავლეთელ ავტორთათვის. ჩვენ აქ შეგვეძლო გაგვეხსენებინა ერთი, კ. ვიტფოგელისა და კ. იასპერსისთვის კარგად ნაცნობი მოაზროვნის სიტყვები: ყოველი უაზრობა აზრია იმდენად, რამდენადაც მასში ვიღაცის ფსიქოლოგიური ერთეული ცხოვრობს.

---

[10] K. Iaspers, Vom Ursprung und Zeit der Geschichte. Zürich, 1949, გვ. 222.

დანაშაული არ მოხდებულა, რომ...

ეს იყო ამ ორი ათეული წლის წინათ. საქორწილო ფაციფუცში იყვნენ სოფელ სუფსის მაცხოვრებლები. მათ მიწაზე ჩამოსახლებული, მათ თვალწინ უმამოდ გაზრდილი გიორგი რამაზანოვი ცოლს ირთავდა და ჩვეულებისამებრ ყველა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მის ოჯახს. გიორგის კარის მეზობელი ჭიჭიკო თარგამაძე, მისი მეუღლე თამარიც მკლავებდაკაპიწებული ტრიალებდნენ და შორიდან მოსულ სტუმრებს მასპინძლობდნენ. არც იყო გასაკვირი. ჟორა (ასე ეძახდნენ შინაურობაში), რომ იტყვიან, მათ ხელში გაიზარდა.

სოფლის შარაზე მოისმა მაყრული და ეზოში ნეფე-დედოფალი შემობრძანდნენ. შვილის ბედნიერებით სახეგაბადრული კესარია თვალებში შესციცინებდა რძალს და გახარებული ლოცავდა საკუთარ ჭერს: სიკეთე და სიხარული, ჭერო! კეთილი ფეხი გქონებოდეს ჩემო პატარძალო! თქვენც გაიხარეთ, კეთილო მეზობლებო, უბედურება გაშოროთ, ლხინი და სიხარული ნუ მოგკლებოდეთ! ჩემს გიორგისაც ნამდვილი მეგობრობითა და კეთილი მეზობლობით შეძლებოდეს თქვენი ამაგის გადახდა!..

მერე ხელი დასტაცა თამარ და ჭიჭიკო თარგამაძეების ქერა ბიჭუნას და ნეფე-დედოფალს კალთაში ჩაუგორა: „ასეთი ჯანსაღი და კარგი ბიჭი შეგძენოდეთო“. ნეფე-დედოფალმა ხელში აიყვანეს პატარა ჯუმბერი და ჩაკოცნეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჯუმბერი ზრდილი, სოფლის სანაქებო ყმაწვილი დადგა, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა, ჟენია და გიორგი რამაზანოვებს კი ოთხი შვილი შეეძინათ. ღარიბულად აღარ გამოიყურებოდა გიორგის კარმიდამო. მას შემდეგ, რაც მან რაიონის კოოპვაჭრობაში დაიწყო მუშაობა, გიორგიმ უზარმაზარი ორსართულიანი სახლი მოკლე ხანში წამოჭიმა, ეზო გააფართოვა, დედისა და თავისი წილი ნაკვეთი სანერგედ აქცია და საგანგებოდ შემოღობილ ეზოს უზარმაზარი რკინის ჭიშკარი ჩამოჭკიდა. მისი კარმიდამოს მსგავსად, ვეღარც გიორგის იცნობდით ახლა, კეთილმა ცხოვრებამ მრავალი ნაცნობი გაუჩინა და ადრინდელი მორჩილი, სათნო ხასიათი თავდაჯერებულებამ და სიამაყემ შესცვალა. უწინდებური აღარაფერი მოსწონდა და თავის კარმიდამო რომ კარგად მოაწყო, ახლა მეზობლისას დაადგა თვალი, არ მოეწონა ჭიჭიკო თარგამაძის ტრიფოლიატის ღობე რომ მაღლა წასულიყო.

— გადაჭერი ღობე! — თითქმის უბრძანა ჭაღარაშერეულ კაცს.

— რას გიშავებს გიორგი, — ჩვეული სიმშვიდით უპასუხა ჭიჭიკომ.

— რას მიშავებს და ნერგებს დამიჩრდილავს, გადაჭერი თორემ ჩემი ხელით გავკაფავ იცოდე... — მუქარა მიაყოლა გიორგიმ.

— გიორგი, ეს ღობე ჩემს ახალგაზრდობაშიც ასე იდგა, მაგრამ არავისთვის არაფერი დაუშავებია. სირცხვილია ასეთი რამ მეზობლობაში...

მაგრამ გიორგის არ შერცხვა და იმავე დღესვე გადაკაფა თავისი ხელით ტრიფოლიატის ღობე. წამოიზარდა თუ არა, ისევ „შეალამაზა“ და ასე აგრძელებდა ყოველ წელს.

კეთილი სიტყვით რომ ვერაფერი გააწყო, ჭიჭიკომ სასოფლო საბჭოს განცხადება დაუწერა — როგორმე მოგვარიგეთო, მაგრამ ვინ უგდო ყური.

მაშინდელი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვალერიან ჩხარტიშვილი გზად მიმავალი შეხვდა ჭიჭიკოს და უთხრა:

— ინტრიგანობა დაიწყე, ჭიჭიკო? იცოდე პრინციპულად არ მოვალ ამ საჩივრის განსახილველად.

საბჭოში მიჩივლაო, გაიგო გ. რამაზანოვმა და ახლა თარგამაძეების გასამწარებლად ახალ ხერხს მიმართა — მათი ეზოს ჭიშკართან საღორე ჩადგა. ხანში შესულ ცოლქმარს ფანჯრების გაღების საშუალებაც აღარ ჰქონდათ იქ დატოვილი სიბინძურის გამო. თარგამაძეებმა სამართლიანად მოთხოვეს გ. რამაზანოვს საღორის სხვაგან გადატანა, მაგრამ გაჯიუტდა გიორგი, მის კეთილ მეზობლებს ათასი ცუდი სიტყვა აკადრა, სასოფლო საბჭოსა და სოფლის მესვეურებმა არც ახლა უგდეს მათ ყური. მერე სიმართლემ მაინც თავისი გაიტანა და გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზანოვს უადგილო ალაგას აშენებული საღორე ააღებინეს.

მტრობის ძაფები გაიბა მეზობლებს შორის. თარგამაძეები დიდხანს უმალავდნენ ვაჟიშვილს მეზობელთან დავასა და მისგან მიყენებულ შეურაცხყოფას. რამდენჯერმე მიმართეს მათ სასოფლო საბჭოს, აღმასკომს და სხვა ორგანოებსაც განცხადებით, თუ სიტყვიერად, რადგან თავს არავინ იდო გ. რამაზანოვისათვის ორიოდე სიტყვა ეთქვა: „გონს მოდი, რას ერჩი თარგამაძეების ოჯახს? რა დაგიშავაო?..“

1965 წლიდან 1970 წლის იანვრამდე გაგრძელდა მეზობლური კინკლაობა და დავა. ახალი წლის დღეს კი მე-4 კურსის სტუდენტი ჯუმბერი ეწვია სოფელს. ახალი ამბით გაახარა მშობლები — 15 იანვარს გულით საყვარელი გოგონა მოჰყავდა ცოლად და მექორწილეთა სიაც შეედგინა. სიაში კარის მეზობელი „ბიძია ჟორაც“ ეწერა...

მაგრამ „ბიძია ჟორას“ ნახელავს — ახლადგადაკაფულ ღობეს რომ გადახედა ეზოში მდგომმა ჯუმბერმა დედას ხმამაღლა სთხოვა:

— დედა, გადავალ, მე მოველაპარაკები ბიძია ჟორას, სირცხვილია, ხომ უნდა მოეღოს ბოლო ამდენ დავას.

გიორგი ამ დროს ეზოში იდგა და დანას ლესავდა. გაიგონა ჯუმბერის სიტყვები და ბოროტად ჩაისისინა:

— ამ დანით მოგიღებ ბოლოს შე მათხოვარო!..

დანაქადი მეორე დღესვე აასრულა. რკინიგზის სადგურის ბაქანზე ჯუმბერმა ფეხის შედგმაც ვერ მოასწრო, რომ ჩასაფრებული რამაზანოვი დანით თავს დაესხა. რატომ მკლავ ბიძია ჟო... — ამ სიტყვებით დაეცა გულგანგმირული ჯუმბერი.

თარგამაძეების ოჯახში ერთადერთი ვაჟიშვილის სიცოცხლე ასე უბრალოდ და უდანაშაულოდ ჩაქრა.

სოფელი შეძრა საშინელმა ამბავმა. ხალხის რისხვას ვეღარაფერი იტევდა და ჯუმბერის დაკრძალვის დღეს ჯავრი მკვლელის სახლსა და ეზოზე ამოიყარეს. გაანადგურეს ავეჯი და ხეები. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა, სოფლის თავკაცებმა და აქტივმა კი ოდნავი მოსაზრებულობაც ვერ გამოიჩინეს, რათა უდანაშაულო მსხვერპლამდე — ჯუმბერის მკვლელობამდე არ მიეყვანათ საქმე და შემდგომში მაინც მიეღოთ ზომები მეორე დანაშაულის აღკვეთისათვის.

მკვლელი გ. რამაზანოვი დაპატიმრებულია. სიფხიზლის მოდუნებისა და მშრომელთა განცხადებებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის პარტიის ლანჩხუთის რაიონის რაიკომის ბიურომ სამუშაოდან გათავისუფლა და სასტიკი საყვედური გამოუტანა სუფსის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, შემდგომში სოფელ ხიდმაღალას კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ჩხარტიშვილს. სამუშაოდან მოხსნეს სუფსის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გურგენიძე, საყვედური გამოეცხადა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების რწმუნებულს ფაღავას და ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ჩხაიძეს.

სიცოცხლით სავსე ჭაბუკი ჯუმბერ თარგამაძე დღესაც ჩვენს რიგებში იქნებოდა, გ. რამაზანოვს მკვლელის სისხლიანი ხელები არ ექნებოდა, რომ ვისაც ეს ეხებოდა, ოდნავი გულისხმიერება გამოეჩინა მეზობელთა შორის ატეხილი დავის მოსაგვარებლად.

აი, როგორი შედეგით დამთავრდა სოფლის თავკაცთა — სოფლის საბჭოს დეპუტატების გულგრილობა, მშრომელთა საჩივრებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება და სიფხიზლის მოდუნება.

მ. დიაკონიძე

ლანჩხუთის რაიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინა შადური

საქართველოს მთიანეთის — ხევის პირმშო შვილია ვალენტინა იოსების ასული შადური. ხევის ბუნების კალთაზეა აღზრდილი იგი და ხევის ხალხთა სინდისის, მათი უშუალო განცდების თანაზიარია.

ოცდახუთ წელზე მეტია სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში იღწვის ეს ენერგიული და ნების სიმტკიცით აღჭურვილი ქალი. 1962 წლიდან იგი ყაზბეგის რაიონის პროკურორად მუშაობს. მძიმეა ეს საქმიანობა და პასუხსაგები, დიდ სიფრთხილეს, წინდახედულებას მოითხოვს და ვალენტინა შადურიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. უნარიანი საქმიანობით მთელ რესპუბლიკაში გაუთქვა სახელი თავის რაიონს დანაშაულობათა შემცირების მხრივ. ორმოცდაათამდე სოფელია ყაზბეგის რაიონში. აქედან ოცდაცხრა სოფელში კეტრისში, ქუმლის ციხეში, გველეთში, აბანოში, ტყარშეტში, ხურთისსა და სხვ. წლების განმავლობაში დანაშაული არ მომხდარა. მთლიანად აღმოფხვრილია რაიონში ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცება, მექრთამეობა, მკვლელობა და სხვა საშიში დანაშაულობანი. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული ორგანოების კონტაქტს, საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირს, სისტემატურ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ ღონისძიებების თავისდროულად გატარებას.

ყველა სოფელს, ყველა ოჯახს იცნობს რაიონში და ყველას მიმართ თავმდაბალი, მოჭირნახულე, პირდაპირი და გულისხმიერია.

ვალენტინას უნდა, რომ რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი განმტკიცდეს, არც ერთი დანაშაულებრივი შემთხვევა რეაგირების გარეშე არ დარჩეს. დღედაღამე მამაცურად შრომობს ამ აზრით შთაგონებული. არ ეძებს ადამიანურს ის, სადაც მის ანთებულ თვალებს ნადირი უდგას კაცის სახით და არც ცუდს ეძებს იქ, სადაც მის მოხვევურ გულს კაცური კაცი ეგულება. „დამნაშავეებს რაც შეიძლება უნდა ვაზღვევინოთ ის დანაკლისი,—ამბობს იგი,—რაც მათ გარშემომყოფთ მიაყენეს, რომ არა მარტო მიხვდნენ მათ მიმართ გამოტანილი სასჯელის სამართლიანობას, არამედ საკუთარი თავისადმი იგრძნონ ისეთივე ზიზღი, როგორსაც საზოგადოება გრძნობს მათ მიმართ. რასაკვირველია, ემოციებსა და გრძნობებს აყოლა ჩვენს მუშაობაში არაფერს მოგვცემს, არც შეუმჩნევლობისა და გულგრილობის კედელს ამოფარება გვარგებს. მთავარია ცხოვრების შუაგულში ვიყოთ ყოველთვის, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოთ ობიექტურნი, ვეძებდეთ იმ მიზეზებს, რომლებსაც ადამიანები დანაშაულის გზამდის მიჰყავთ".

სამსახურებრივი საქმეებით გადატვირთული დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა — რაიონული საბჭოს დეპუტატი, რაიკომის პარტიის პლენუმის წევრი, საზოგადოება „ცოდნას" წევრია; ხშირად გამოდის ლექცია-მოხსენებებითა და საუბრებით იურიდიულ საკითხებზე საწარმოო-დაწესებულებებში, სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებში. პრინციპულობით და საქმის ცოდნით გამოირჩევა მისი მოხსენებები რაიონულ კომიტეტის პლენუმებსა და რაისაბჭოს აღმასკომების სესიაზე.

„საქმემან შენმა გამოგაჩინოს", უთქვამს ბრძენს. ჰოდა კიდევაც გამოაჩინა მოწინავე პროკურორი. პირად საქმეში მრავალი მადლობები, ჯილდოები და სიგელები აქვს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენითა" და მედლებით.

სურვილი დიდი აქვს, ენერგია ახალგაზრდული, თითქოსდა გამოულეველი. გვჯერა ყველაფერს დასძლევს, ყველაფერს მიაღწევს ყაზბეგის რაიონის პროკურორი ვალენტინა იოსების ასული შადური.

ლამარა ისაკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცხოვრების მიზანი

სოხუმის მარად მწვანე ქუჩებზე ამაყად მიაბიჯებს უკვე ხანდაზმული ქალი. იგი დაბალი ტანისაა, მეტად სანდომიანი გარეგნობისა. აი, იგი მიუახლოვდა თავის ეზო-კარს. საფოსტო ყუთში წერილი შენიშნა. ყუთი გახსნა, ამოიღო კონვერტი და სწრაფად გადაავლო თვალი.

— ისევ ხარკოვიდან, ისევ ევგენის წერილი, — ჩაილაპარაკა ქალმა. მას სახეზე სიხარულის ღიმილი დასთამაშებდა.

ევგენი იაკოვლევი იმ ერთი მრავალთაგანია, რომელსაც ამ პატარა ქალმა მომავალი ცხოვრებისადმი რწმენა და სიყვარული შთაუნერგა.

ევგენი დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდა... მისმა დედამ დახმარებისათვის ქ. სოხუმის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს ზინაიდა გერასიმეს ასულ კუდრიავცევას მიმართა. ადვოკატმა ქალმა გულდასმით მოუსმინა ევგენის დედას, გაითვალისწინა ამ ქალის მძიმე ტრაგედია, დაამშვიდა და დაპირდა — ვეცდები კანონის ფარგლებში დავეხმარო თქვენს ოჯახსო.

ევგენი მეთერთმეტე კლასის მოსწავლე იყო, როდესაც გზასაცდენილმა ახალგაზრდებმა დანაშაულში ჩაითრიეს. მას ბრალად ედებოდა დანაშაულის დაფარვა.

ზინაიდა გერასიმეს ასული მთელი მონდომებით იცავდა სამართალში მიცემულს, თავისი პროფესიული ალღოთი ღრმად ჩასწვდა ბრალდებულის სულიერ სამყაროს, სასამართლოს წინაშე მართებულად გაუკეთა ანალიზი ამ უნებლიე დამნაშავის მთელ ხასიათს. იაკოვლევს სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა არ შეუფარდა.

სასამართლო სხდომა დამთავრდა. მეორე დღეს ევგენის ამხანაგები, მისი სკოლის მეთერთმეტეკლასელები ყვავილების თაიგულებით ეწვივნენ ზ. კუდრიავცევას. ბავშვების ჟრიამულმა აიკლო ეზო, მღეროდნენ, იცინოდნენ, თხზავდნენ ზინაიდას მისამართით ლექსებს და ამით გამოხატავდნენ იმ დიდ სიხარულს და მადლობის გრძნობას, რაც ამ კეთილშობილმა ქალმა თავისი ენერგიული შრომის შედეგად ცხოვრებაში გამოუცდელ ახალგაზრდებს მიანიჭა.

აი ახლაც ევგენის წერილი მიიღო. იგი ანგარიშს აბარებდა თავის „მკურნალს", რომელმაც უფსკრულის პირზე მიმდგარი ნათელ გზაზე გამოიყვანა. და განა მხოლოდ ევგენი — ვინ მოსთვლის 35 წლის მანძილზე ზინაიდა გერასიმეს ასული რამდენ მოქალაქეს დაეხმარა მისი კანონიერი უფლებების დაცვაში. იგი პირველი ადვოკატი ქალია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადვოკატთა რიგებში. აქ მან გამოამჟღავნა უანგარო სიყვარული თავისი პროფესიისადმი. მადლიერების გრძნობით აღსავსე ქალაქ სოხუმის მცხოვრებლებმა ზინაიდა კუდრიავცევა რამდენიმეჯერ აირჩიეს თავიანთ დეპუტატად ქალაქის საბჭოში.

იგი აფხაზეთის ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წიგნშია შეტანილი.

ზინაიდა კუდრიავცევა იმ იურისტების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებითაც ამაყობს მთელი ჩვენი რესპუბლიკა.

ბარაქალა მის შრომას.

რუსუდან თალაქვაძე,
საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი

ფანია მიხეილის ასული ბააზოვა დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დავით მიხეილის ძე ბააზოვის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ქ. ონში მიიღო. 1923 წელს დავით ბააზოვის ოჯახი საცხოვრებლად ქ. თბილისში გადმოსახლდა. ფანიამ აქ დაამთავრა საშუალო სკოლა და 1927 წელს შევიდა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1932 წელს.

1934 წელს იგი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის რიგებში მიიღეს, შემდეგ გადავიდა ლენინგრადის ადვოკატთა კოლეგიაში. 1942 წლიდან ფ. ბააზოვა კვლავ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრია.

ერთმა მოსამართლემ საუბარში განაცხადა: კარგია, როცა ქალბატონი ფანია მონაწილეობს პროცესში. ამ დროს დაზღვეული ხარ ყოველგვარი უხეში შეცდომისაგან. იგი საქმის მასალების ღრმა ანალიზის საუკეთესო ოსტატია. ყოველი მისი სიტყვა, მისი წინადადება, შუამდგომლობა წინასწარ გააზრებული და დამაჯერებელია. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია პროცესზე მისი გამოსვლა, არ შეიძლება არ განიმსჭვალოს ამ ქალისადმი განსაკუთრებული სიმპათიით.

საქართველოს ადვოკატურას ბევრი თვალსაჩინო იურისტი ჰყავს. მათ გვერდს უმშვენებს ფანია ბააზოვაც, რომელიც მთელი არსებით, თავისი შეგნებით იბრძვის მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

,ქრონიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. ი. ლენინი დემოკრატიის შესახებ



ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა პროფ. გ. ინწკირველის ნაშრომი „სოციალიზმი და დემოკრატია“. იგი შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველი ეძღვნება ვ. ი. ლენინის მოძღვრებას დემოკრატიის შესახებ. ნაშრომში გაშუქებულია პროლეტარიატის დიდი ბელადის შეხედულებები საერთოდ დემოკრატიაზე, ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და განსაკუთრებით სოციალისტურ დემოკრატიაზე, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემადგენელ ნაწილს.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ დემოკრატიის საკითხის, სოციალისტური დემოკრატიის პრობლემების ფართოდ განხილვა ვ. ი. ლენინის შრომებში აიხსნება უმთავრესად იმ უდიდესი მნიშვნელობით, რაც ამ პრობლემებს აქვს პროლეტარიატისათვის მის ბრძოლაში კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლების, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და სოციალიზმის აშენებისათვის.

ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ ვ. ი. ლენინის შეხედულებები წიგნში განხილულია ორ ასპექტში: როგორც კაპიტალისტთა კლასის ბატონობის სპეციფიკური პოლიტიკური ფორმა, რომლის მეშვეობით იგი უზრუნველყოფს მშრომელთა ექსპლოატაციას და კაპიტალისტური კერძო საკუთრების დაცვას; და, როგორც თვით კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის ფორმა, ვინაიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის ბრძოლა გარკვეულ მომზადებას წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციისათვის და „პროლეტარიატი ვერ შესძლებს სოციალისტური რევოლუციის მოხდენას, თუ იგი საამისოდ დემოკრატიისათვის ბრძოლით არ ემზადება“ (ვ. ი. ლენინი). ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ ვ. ი. ლენინის მითითება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების სათანადოდ გამოყენების შესახებ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე პირობებში, როდესაც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თეორეტიკოსებმა შესაძლებლად ცნეს სოციალიზმზე მშვიდობიანი გზით გადასვლა შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომის გარეშე.

სოციალისტური დემოკრატიის, როგორც დემოკრატიის ახალი და უმაღლესი ტიპის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი წიგნის ცალკე პარაგრაფშია თავმოყრილი და დამუშავებული. პირველ ყოვლისა, აქ ავტორი მიუთითებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი იყო ის საკითხი, რომელიც მთელი მეცნიერული სიღრმით დაამუშავა ვ. ი. ლენინმა და რომელსაც არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და პროლეტარიაიტს დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლის პერიოდში. კერძოდ მან დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა და დემოკრატია ურთიერთ გამომრიცხავი ცნებები კი არაა, არამედ, პირიქით, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი დემოკრატია, მშრომე-

ლი ხალხის უფლებების დაცვა და განხორციელება. ეს იქნებაო, მიუთითებდა ლენინი დემოკრატიის მსოფლიო ისტორიული გაფართოება, დემოკრატიის მოსპობა მდიდრებისათვის, დემოკრატიის დამყარება მშრომელებისათვის.

სოციალისტური დემოკრატიის შესახებ ლენინური მოძღვრების საფუძველზე ნაშრომის მეორე განყოფილებაში „სოციალისტური დემოკრატია მოქმედებაში", განხილულია ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის თეორიული დებულებების საბჭოთა სინამდვილეში პრაქტიკულად განხორციელების საილუსტრაციოდ. სახელდობრ, სოციალისტური დემოკრატიის გავრცელება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთ სფეროში, როგორიცაა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობა, საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება.

ნაშრომის ბოლო პარაგრაფი დათმობილი აქვს სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარების პერსპექტივებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში. ეხება რა ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას და ამ ამოცანის გადაჭრის კონკრეტულ გზებს, ავტორი ეყრდნობა სკკპ სახელმძღვანელო მითითებებს, განსაკუთრებით კი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს და უკანასკნელი პერიოდის სხვა დოკუმენტებს.

ვფიქრობთ აღნიშნულ ნაშრომს ინტერესით გაეცნობიან ჩვენი ჟურნალის მკითხველებიც.

ო. კაციტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ვ. ი. მაისურაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

მოხსენებით საქართველოს სს რესპუბლიკაში 1969 წელს ნასამართლობის მდგომარეობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე სასამართლო ორგანოების ამოცანებიც შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა, აღნიშნა მომხსენებელმა, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად განახორციელეს ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. გაძლიერდა ბრძოლა ისეთ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობებთან, როგორიცაა სოციალისტური ქონების გატაცება, მყიდველთა მოტყუება, მექრთამეობა და სხვ. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოები იყენებენ დამატებით სასჯელებს — ქონების კონფისკაციას, გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და სხვა.

დიდი ყურადღება ექცევა დანაშაულის წარმომშობ და ხელის შემწყობ მიზეზების დადგენას. დანაშაულობათა აღსაკვეთად სასამართლოებს ხშირად გამოაქვთ კერძო განჩინებები. მაგალითად, განხილულ საქმეთა 11 პროცენტზე გამოტანილია კერძო განჩინება. გამსვლელ სესიებზე განხილულია საქმეთა 19,5 პროცენტი.

საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა მონაწილეობით გარჩეულია საქმეთა 17,9 პროცენტი.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ უმაღლესი სასამართლოს ღონისძიებანი მიმართულია განსახილველ საქმეთა დროულად და მაღალკვალიფიციურად გადაწყვეტისათვის. რეაგირების გარეშე არ რჩება საქმეზე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას დაშვებული დარღვევები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, მიღებული იყო თუ არა პროფილაქტიკური ღონისძიებანი დანაშაულის აღკვეთისათვის.

მომხსენებელმა ილაპარაკა, იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს სასამართლო ორგანოების საქმიანობაში. არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა ისეთ დანაშაულობათა წინააღმდეგ, როგორიცაა უყაირათობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაცვისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, უხარისხო პროდუქციის გამოშვება. ზოგჯერ სასამართლოები ბიუროკრატიულად იხილავენ სამოქალაქო საქმეებს, მოქალაქეთა საჩივრებს.

სასამართლო ორგანოები, — აღნიშნავს ვ. ი. მაისურაძე, — ვალდებული არიან სწორად შეაფასონ თვითეული განსახილველი საქმის კონკრეტული ვითარება, დემოკრატიული პრინციპების დაცვითა და საპროცესო ნორმების მთელი შესაბამისობით ჩაატარონ სამსჯავრო გამოძიება, სოციალისტური მართლშეგნებით განსაჯონ სამართალში მიცემულის მოქმედება, სასჯელი მიუზღონ მათ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, არამც და არამც არ დასაჯონ უდანაშაულო პირი.

მეორე საკითხზე მოხსენებით — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 9 დადგენილების — „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში“, — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ი. ქაჯაია.**

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სასამართლო ორგანოების როლზე ისეთ საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა მექრთამეობა. მექრთამეობა ერთ-ერთი სამარცხვინო და საზიზღარი გადმონაშთია, რომელიც შემორჩა ჩვენს საზოგადოებას მემკვიდრეობით კაპიტალიზმისაგან, მისი აღმოფხვრა შესაძლებელია სასამართლო ორგანოებისა და საზოგადოების მხრივ მიღებული გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებით.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს თანამიმდევრულ და გადამწყვეტ ბრძოლას მექრთამეთა მიმართ მოუთმენლობისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფეროს შექმნას.

სასამართლო ორგანოებმა უნდა გამოავლინონ ამ დანაშაულში დამნაშავე ყველა პირი, დაადგინონ სამართალში მიცემული თვითეული პირის როლი და ხარისხი, კანონით გათვალისწინებული დამაკვალიფიცირებელი ნიშნები, რათა ქრთამის ამღებმა, შუამავალმა და ქრთამის მიმცემმა თავი ვერ დააღწიონ მკაცრ სასჯელს.

ს. ქაჯაიამ პლენუმის მონაწილეებს გააცნო რესპუბლიკაში მექრთამეობაზე ნასამართლობის მდგომარეობა. სასამართლო ორგანოებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პლენუმზე 1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 31 ივლისის დადგენილების შემდეგ ერთგვარად გააუმჯობესეს ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. შეინიშნება ნაკლოვანებანი მექრთამეობის საქმეთა გარჩევაში. ზოგჯერ მექრთამეთა მიმართ გამოაქვთ ლიბერალური სასჯელები, მექრთამეობას არასწორად აკვალიფიცირებენ, სამსჯავრო გამოძიების დროს არ ვლინდება ამ დანაშაულის ხელისშემწყობი პირობები, არ ირკვევა მექრთამეობა ხომ არ არის დაკავშირებული გაფლანგვა-მტაცებლობასთან. ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით იხილება მექრთამეობის საქმეები გამსვლელ სესიებზე.

ს. ი. ქაჯაიამ პლენუმს გააცნო ის ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია ამ კატეგორიის საქმეთა განხილვაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებმა **გ. იოსავამ, გ. ცქიტიშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა: **ი. გოგაშვილმა, ა. ხონიაკინამ,** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ღვინჯილიამ,** აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. მაკარაძემ;** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. კაჩმაზოვამ,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა **დ. ბაღათურიამ, ნ. ერქომაიშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ **გ. გაბუნიამ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ტაკიძე.**

პლენუმს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე **მ. გვასალია.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მ/ა, და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

ზ. მესენგისერი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

დამნაშავეობასთან ბრძოლა—პროკურატურის ყურადღების ცენტრში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 18 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა. კოლეგიამ განიხილა პროკურატურის ორგანოების საქმიანობის გასული წლის, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები და ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებიდან.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ა. კარანაძე**, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მაისურაძე**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. შადური**, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორები.

კოლეგიაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ტაკიძე**. მან აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. მაგრამ რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე შემცირდა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვი, შარშან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში იგრძნობოდა საერთოდ დამნაშავეობის ზრდის ტენდენცია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია დმანისის, სამტრედიის, წითელწყაროს, ჩოხატაურის, ყვარლის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

სახარბიელო მდგომარეობა არ არის დანაშაულის გახსნის საქმეშიც. საქმეთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა გახსნის დაბალ დონეს ძირითადად განაპირობებს პირველადი საგამომძიებლო მოქმედებების არადროული და უხარისხო ჩატარება, გამოძიების არასწორი ორგანიზაცია. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხშირად ზერელედ, არაკვალიფიციურად, დიდი დაგვიანებით ხდება, ზოგჯერ კი სულაც არ ტარდება. ზოგი ქალაქისა და რაიონის პროკურორი არ ასრულებს რესპუბლიკის პროკურორის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მკვლელობის ყველა შემთხვევაში თვითონ გავიდეს შემთხვევის ადგილზე და ორგანიზაცია გაუკეთოს პირველადი საგამომძიებლო მოქმედებების დროულ და ხარისხიანად ჩატარებას.

მთელი სისრულით არ სარგებლობენ გამომძიებლები დანაშაულის გასახსნელად კრიმინალისტიკური ტექნიკის შესაძლებლობებით. ფოტოგრაფირებამ, ხმის ჩაწერამ და პოლიმერებმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს ფართო გამოყენება საგამომძიებლო პრაქტიკაში. სუსტად ხორციელდება კონტროლი კრიმინალისტური საშუალებების მზადყოფნასა და შენახვაზე, ხშირია შემთხვევა, როცა საგამომძიებლო ჩანთის ცალკეული საგნები ხელშეუხებელია.

დანაშაულთა გაუხსნელობა და გამოძიების დაბალი ხარისხი განპირობებულია გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოებს შორის მჭიდრო კონტაქტის მოუგვარებლობით. საჭიროა მომავალში ყველა მეტნაკლებად სერიოზული საქმის გამოძიების დროს პროკურატურის მუშაკებმა ფართოდ გამოიყენონ სამძებრო ოპერატიული შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლია სისხლის სამართლის საქმეთა გაჭიანურებულად გამოძიება. განსაკუთრებით სცოდავენ ამ მხრივ გორის, ბოლნისის, ჩოხატაურის რაიონების, ქალაქ ქუთაისის პროკურატურის მუშაკები, შინაგან საქმეთა სამინისტროს დმანისის, ადიგენის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, ქარელისა და სხვა რაიონების საგამომძიებლო ქვედანაყოფები.

ჯერ კიდევ გვხვდება მოქალაქეთა უკანონოდ დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები და პირიქით: არის მაგალითები, როცა დაუსაბუთებლად წყვეტენ სისხლის სამართლის საქმეებს, არ აპატიმრებენ პირებს, რომლებმაც საშიში დანაშაული ჩაიდინეს. მოქალაქეთა დაპატიმრების საქმეში განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ ახალქალაქის რაიონის პროკურორს ა. აბრამიანს, ბოლნისის რაიონის პროკურორს ს. სულაბერიძეს, დმანისის რაიონის პროკურორს კ. ხაჟიევს და სხვ.

ბევრს განცხადებასა და ცნობას დანაშაულის ჩადენის თაობაზე ვადების დარღვევით იხილავენ. ზოგჯერ დაუსაბუთებლად უარს ამბობენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, ფარავენ დანაშაულს. ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სუსტია საპროკურორო ზედამხედველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ა. ტაკიძე აღნიშნავს, რომ გაუარესდა სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების საქმეთა გახსნა და გამოძიების ხარისხი. ამ სახეობის დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების ღონისძიებანი ყოველთვის როდი ექვემდებარება მთავარ ამოცანას — გაფლანგვათა და გატაცებათა თავიდან აცილებას. ამ კატეგორიის საქმეებზე განაჩენის გამოტანისას სასამართლოები არ იყენებენ ისეთ დამატებით ღონისძიებებს, როგორიცაა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობათა დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

მექრთამეობაში დამნაშავეთა წარმატებით მხილების ერთ-ერთი პირობაა, — ამბობს მომხსენებელი, — საქმის სწრაფად გამოძიება, მაგრამ პროკურატურის ორგანოები ზოგჯერ აჭიანურებენ საქმეთა გამოძიებას. ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიება ხშირად დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს, ზოგჯერ კი ამ საქმეთა გამოძიება ევალება მუშაკებს, რომლებსაც არა აქვთ საკმაო მომზადება, ცუდად იციან ასეთ საქმეთა გამოძიების მეთოდიკა და ტაქტიკა. პროკურატურას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოსთან ერთად არ დაუგეგმავთ ღონისძიებანი ასეთი მძიმე ბოროტების წინააღმდეგ, თუმცა ეს განსაკუთრებით საჭირო იყო.

ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოებს გამოაქვთ დაუსაბუთებელად ლიბერალური განაჩენი მექრთამეობის საქმეთა გამო, კერძოდ, ეს ეხებათ ქ. თბილისის კიროვისა და ლენინის რაიონების, გუდაუთისა და ცხაკაიას რაიონების სახალხო სასამართლოებს, პროკურორებს კი არ შეაქვთ პროტესტები ამ გადაწყვეტილებათა გასაუქმებლად.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დანაშაულის განშირებული შემთხვევები. 1969 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა მოზარდთა რიცხვი, რომლებიც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში არიან მიცემული წვრილმანი ხულიგნობისათვის, გაცილებით მეტი ბავშვია მოყვანილი სბავშვო ოთახებში. არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად პროკურატურის ორგანოებმა მკვეთრად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა.

მომხსენებელმა ილაპარაკა ხულიგნობის, მომხმარებელთა ზომა-ზონაში მოტყუების საქმეებზე, სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებაზე, საერთო ზედამხედველობაზე, მოსახლეობაში სამართლებრივ პროპაგანდის გაძლიერების შესახებ, აგრეთვე საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გადაწყვეტასა და მოქალაქეთა მიღების საკითხებზე.

—ჩვენი მუშაობის მტკივნეული საკითხია კადრების შერჩევა და აღზრდა. ეს მარტო კადრების განყოფილების კი არა, რესპუბლიკის პროკურორის აპარატის მთელი ოპერატიული შემადგენლობის საქმეა. კადრები უნდა შეირჩეს პარტიული პრინციპის მიხედვით. უღირს, შელანძღულ პირებს ჩვენს რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ!

მოხსენების დასასრულს ამხ. ა. ტაკიძემ აღნიშნა, რომ პროკურატურის მუშაკთა მოვალეობაა უმოკლეს დროში მიაღწიონ არსებულ შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრას როგორც ცენტრალური აპარატის, ისე ადგილებზე პროკურატურის ორგანოების მუშაობაში.

საქმიანი, კრიტიკული თანამოხსენებით წარსდგა კოლეგიის წინაშე აფხაზეთის ასსრ პროკურორი **ა. არგუნი.**

აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოების მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ ჩატარებული მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორი **ჯ. ბაჯელიძე.**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა **ხ. გაგლოევმა** ილაპარაკა ოლქის პროკურატურის ორგანოების მუშაობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისი პროკურორის მოადგილემ **ს. ნანიტაშვილმა.** მან ილაპარაკა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შედეგებზე. დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნებულ საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, ამბობს ამხ. ს. ნანიტაშვილი, — რომ ცალკეულ შემთხვევებში პროკურორები არ ეცნობიან სასამართლოში წარსამართავ საქმეებს და საბრალდებო დასკვნებს ამტკიცებენ გამომძიებელთა მოხსენებით. ეს კი იწვევს საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას. ოქტომბრის რაიონის პროკურატურის და საგამომძიებლო ქვეგანყოფილების მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მთელი წლის განმავლობაში არც ერთი საქმე არ დაბრუნებიათ.

კანონით საგამომძიებლო ვადის გაგრძელება გათვალისწინებულია გამონაკლის შემთხვევაში, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი ჩვენი გამომძიებელი კანონის ამ მოთხოვნას ანგარიშს არ უწევს, უგეგმოდ მუშაობს, რაციონალურად არ იყენებს სამუშაო დროს, უმეტეს მოქმედებას საგამომძიებლო ვადის მიწურულში ატარებს. ვადის დარღვევა, ერთი მხრივ, იმის შედეგიცაა, რომ ზედამხედველი პროკურორები ნაცვლად იმისა, რომ შეამოწმონ ვადის გაგრძელების მოთხოვნის საფუძვლიანობა ზერელედ აგრძელებენ საგამომძიებლო თუ სასატიმრო ვადებს.

გამოძიების ვადების დაცვაზე უარყოფითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებს ამ ბოლო პერიოდში მეტად გავრცელებული ერთი რაიონიდან მეორეში საქმეთა აცილების წესით გადაცემა. თუ განვიხილავთ ამ საქმეთა აცილების საფუძველს, ვნახავთ, რომ არც ერთი მათგანი არ პასუხობს საპროცესო კოდექსის 53—57 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამასთან ყველა ეს საქმე საგამომძიებლო ვადის დარღვევით არის დამთავრებული.

საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანების საქმეთა განყოფილების უფროსმა თ. ფოცხვერიამ ილაპარაკა არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ. ამ ხაზით პროკურატურის ორგანოების საქმიანობა არ შეიძლება სახარბიელოდ მივიჩნიოთ. ქალაქებისა და რაიონების პროკურორები ნაკლებ ზედამხედველობას უწევენ რვაწლიანი სავალდებულო სწავლების კანონის შესრულებას. ისინი არ აანალიზებენ განათლების სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებს, არ ღებულობენ ზომებს 8-წლიანი სავალდებულო სწავლების კანონის დარღვევათა ასაცილებლად. გასულ წელს პროკურორებისაგან მხოლოდ ხუთი წარდგინებაა შეტანილი ამ კანონის დარღვევაზე. იგივე ითქმის მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებაც. პროკურორები სანქციის გაცემამდე არ აწარმოებენ არასრულწლოვანთა დაკითხვას და არ სწავლობენ მოზარდთა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და მის ხელშემწყობ პირობებს. გვაქვს საქმეთა გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურების შემთხვევები. ამ დარღვევებს პროკურორები კიდევ უფრო აღრმავებენ როდესაც სტატისტიკაში არასწორად ასახავენ მონაცემებს დარღვეულ საქმეებზე. ჩვენ ამ კვარტალში ვსწავლობთ გამოძიების ვადის გაჭიანურების მიზეზებს და თუ გამოვლინდება სერიოზული ხასიათის დამრღვევნი დავაყენებთ საკითხს მათი კოლეგიაზე განხილვის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქალაქ ქუთაისის პროკურორმა ა. ჟღენტმა, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა მ. ქურდაძემ, ქალაქ რუსთავის პროკურორმა ს. იმედაშვილმა, ქალაქ ტყიბულის პროკურორმა გ. ამდუშელიშვილმა, წალენჯიხის რაიონის პროკურორმა ს. ფირცხალავამ.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება.

ლ. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო სესია—მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი

* * *

22-24 აპრილს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

„ვ. ი. ლენინი — სოციალისტური კანონიერების ფუძემდებელი", — ასეთი მოხსენებით გამოვიდა პროფ. ბ. ფურცხვანიძე. მან გააშუქა პროლეტარიატის დიდი ბელადის როლი საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური კანონიერების შექმნაში. ვ. ი. ლენინს განსაკუთრებით აღაშფოთებდა ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, სახალხო ქონების გატაცების, მექრთამეობის შემთხვევათა გამოვლინებანი და თვლიდა, რომ ასეთ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მარტო პროპაგანდით და აგიტაციით, არამედ ძალდატანებითაც.

სესიაზე მოხსენებით თემაზე: ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხი, გამოვიდა პროფ. ვ. აბაშმაძე.

მოხსენებაში „ვ. ი. ლენინი და ამიერკავკასიის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება", პროფ. ვ. ფარქოსაძემ დაახასიათა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის (1922-1936 წ.წ.) უდიდესი მნიშვნელობა.

დოც. ვ. ლორიას მოხსენების თემა იყო „ვ. ი. ლენინი პირველი საბჭოთა ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესახებ".

მოხსენებით „სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია ლენინური მოძღვრების მიხედვით" გამოვიდა დოც. ნ. სუმბაძე. მან აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ ჩაუყარა საფუძველი წარმოების საშუალებათა განზოგადებას მიწის, მსხვილ საწარმოთა და ბანკების ნაციონალიზაციის გზით, პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას და სხვ.

„ლენინური იდეები საბჭოთა საოჯახო სამართალში" ასეთი იყო პროფ. შ. ჩიკვაშვილის მოხსენების თემა. მოხსენებაში სრულყოფილად აისახა ლენინური დებულებების კეთილმყოფელი გავლენა საბჭოთა ოჯახის შექმნასა და განვითარებაში, საზოგადოებაში ქალთა სამართლებრივ მდგომარეობასა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

პროფ. გ. ერემოვი მოხსენებაში „ვ. ი. ლენინი და საბჭოთა სახელმწიფო დეკრეტები" შეეხო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში გამოცემულ ლენინურ დეკრეტებს, რომლებიც საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენდა და საფუძვლად დაედო ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, კადრების სწორად შერჩევასა და მშრომელთა შეგნებულობის ამაღლებას.

სესიაზე მოხსენებით „ვ. ი. ლენინი მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ" გამოვიდა დოც. შ. ფაფიაშვილი.

პროფ. ი. სურგულაძემ თავის მოხსენებაში „საქართველოს ფეოდალიზმის პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხისთვის" წამოაყენა ახალი შეხედულებანი ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მაგალითად: საქართველოში ფეოდალიზმის დასაწყისად IV საუკუნე უნდა იქნას მიჩნეული, რადგან ქრისტიანობა ფეოდალთა კლასის რელიგია იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სახელმწიფო რელიგიად ვერ გახდებოდა; მცდარია საქართველოს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება, თითქოს ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ხანა (XI-XIII) „განვითარებული ფეოდალიზმი" იყოს, იგი არ უნდა ავურიოთ „განვითარებულ ქართულ კულტურასთან". ასევე უმართებულოა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში XI-XII საუკუნეების ხელისუფლებას ეუწოდოთ „თვითმპყრობელური" ანუ „აბსოლუტური".

მოხსენებაში „მიწის ნაციონალიზაციის გატარების ლენინური იდეა საქართველოში" პროფ. ნ. ლომსაძე შეეხო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველივე დღეებიდანვე აგრარული საკითხის წარმატებით გადაჭრას. რუსეთის მაგალითზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ქართველი გლეხებისათვისაც ძალაში შევიდა ვ. ი. ლენინის ხელისმოწერით მიღებული დეკრეტი მიწის შესახებ, რამაც უზრუნველყო დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის კოოპერირება და სოფლად კოლექტივიზაციის გამარჯვება.

მოხსენებით „აღქმისა და მეხსიერების საკითხები სასამართლო ფსიქოლოგიაში" გამოვიდა პროფ. ბ. ხარაზიშვილი. მან აღნიშნა, რომ აღქმისა და მეხსიერების საკითხებს პროცესუალურის გარდა, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიური დასაბუთებისათვის. აღქმისა და მეხსიერების მეცნიერული შესწავლა შეიძლება მხოლოდ ექსპერიმენტების სწორად ჩატარებითა და პრაქტიკის განზოგადებით. მომხსენებელმა დააყენა საკითხი, რომ ჭეშმარიტების დადგენის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მოხდეს საგამომძიებლო ორგანოების რეორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მოხსენებაში „ახალი მასალები საქართველოს სამეფოსა და სამთავროებში ვახტანგ VI სამართლის წიგნის მოქმედების შესახებ“ დოც. მ. კეკელიამ ახალი ისტორიული წყაროებით დაასაბუთა, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნი საქართველოს ცალკეულ სამთავროებში გამოიყენებოდა და დიდი გავლენით სარგებლობდა. მომხსენებელმა ცალკე დაახასიათა გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში ვახტანგ VI სამართლის წიგნის მოქმედება. ვახტანგ VI სამართლის წიგნი არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს იურიდიული აზროვნების პროდუქტია, ამიტომაც გახდა შესაძლებელი მისი გამოყენება ქვეყნის ყველა კუთხეში.

სესია საინტერესოდ ჩატარდა. ცალკეულ მოხსენებათა ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები ლ. ალექსიძე, ბ. ხარაზიშვილი, ბ. ფურცხვანიძე, ი. სურგულაძე, თ. წერეთელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები: გ. ჟვანია, დ. ფურცელაძე და სხვ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრამ მოაწყო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავს. მოხსენებით — „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ“ — გამოვიდა **პროფ. ივ. სურგულაძე.**

მომხსენებელმა გააშუქა შრომის საზოგადოებრივი დაყოფის საფუძველზე პირველყოფილი თემური წყობილების წარმოშობის საკითხი და ვრცლად შეჩერდა ვ. ი. ლენინის შეხედულებებზე კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ.

„ვ. ი. ლენინი სახელმწიფო ფორმების შესახებ“ — ასეთი იყო **ნ. სუმბაძის** მოხსენების თემა. თავისი გამოსვლის ნაწილი მომხსენებელმა დაუთმო ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალისტური სახელმწიფოთი შეცვლის აუცილებლობის დასაბუთებას და ვრცლად შეჩერდა სოციალისტური სახელმწიფოს ფორმებზე. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების შექმნა წარმოადგენს სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა პოლიტიკური ფორმის შესახებ ლენინური იდეების ცხოვრებაში განხორციელებას.

„ვ. ი. ლენინი სახელმწიფოს კვდომის შესახებ“ — ამ მოხსენებით სესიაზე გამოვიდა **ვ. მეტრეველი.**

სახელმწიფოს კვდომის მეცნიერული თეორია ჩამოაყალიბეს მარქსმა და ენგელსმა. ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსისა და ენგელსის მეცნიერული დებულებანი სახელმწიფოს კვდომის შესახებ. ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა შემდეგი დებულებანი: ექსპლოატატორული სახელმწიფო კი არ კვდება, არამედ ისპობა. სოციალისტური სახელმწიფო კი არ ისპობა, არამედ კვდება. სახელმწიფოს კვდომა ნიშნავს მის თანდათანობით გაუქმებას, „მიძინებას“. სახელმწიფოს კვდომა დაიწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო „მთელი საზოგადოების სახელით დაეუფლება წარმოების საშუალებებს, ე. ი. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

სახელმწიფოს სრული კვდომის ეკონომიურ საფუძველს ისეთი მაღალი განვითარება წარმოადგენს, როდესაც გაქრება თანამედროვე საზოგადოებრივი უთანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და თანაც ისეთი წყარო, რომლის ერთბაშად მოსპობა მარტოოდენ კაპიტალისტთა ექსპლოატაციით არაგზით არ შეიძლება.

სესიამ მოისმინა აგრეთვე დოც. **მ. კეკელიას** მოხსენება თემაზე ტერმინ „ნასაღის“ გაგებისათვის. გაბატონებული შეხედულების მიხედვით გვიანფეოდალურ საქართველოში ტერმინი „ნასაღი“ სასჯელის ისეთი სახეა, რომელიც სხეულის მოკვეთაში მდგომარეობს. დამასახიჩრებელი სასჯელის აღსანიშნავად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ხმარობს ტერმინებს: „მოკვეთას“, „გახეიბრებას“. ქურდობაში ეჭვმიტანილი იასე ბარათაშვილი წერს: ტუსაღი ვარ, ავადა ვარ და დღეყოველ სანაღსა და ავად მოპყრობას მოველი“, ეს მაშინ, როცა მსგავს შემთხვევაში კანონი „ასოთა მიღებას“ არ ითვალისწინებდა. მომხსენებლის აზრით „ნასა ღი“ არ გამორიცხავს დამასახიჩრებელი ხასიათის სასჯელებს. მაგრამ იგი უფრო ფართო შინაარსის მატარებელი ტერმინია და მოიცავს, როგორც დამასახიჩრებელ, ისე ქონებრივი ხასიათის სასჯელებს, როგორიცაა დამნაშავის სახლ-კარის აოხრება, დარბევა და სხვაგვარი შევიწროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარი სახალხო მოსამართლეებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სახალხო მოსამართლეებისათვის მოაწყო ზონალური თათბირ-სემინარები.

თათბირ-სემინარის პირველ დღეს მოხსენებით — „რესპუბლიკაში 1969 წელში ნასამართლობის მდგომარეობისა და სასამართლოების მუშაობის მომავალი ამოცანების შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. ი. მაისურაძე.**

სახალხო მოსამართლეებისათვის წაკითხულ იქნა მოხსენებები: „სასამართლო ორგანოების მიერ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისა და სასჯელის განსაზღვრის შესახებ“, „1969 წელს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო წესით განხილვის მდგომარეობის შესახებ“, „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დამატებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მდგომარეობის შესახებ“, „განაჩენის შედგენის კულტურის შესახებ“, „სამოქალაქო საქმეთა სამსჯავრო — გამოძიებისათვის მომზადებისა და სამსჯავრო სხდომის ოქმის და გადაწყვეტილებების შედგენის კულტურის შესახებ“, „სისხლის სამართლის საქმეების სამსჯავრო გამოძიებისათვის მომზადებისა და ოქმის შედგენის კულტურის შესახებ“, „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის მდგომარეობის შესახებ“. მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ქაჯაია,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეების მოადგილეები **გ. იოსავა, გ. ცქიტიშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე **გ. გაბუნია,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები **მ. ბლიაძე, გ. დევდარიანი, ა. ხონიაკინა.**

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თბილისის ფილიალი, სადაც მოისმინეს ისტორიის მეცნერებათა კანდიდატის **ა. ციციაშვილის** ლექცია „ვ. ი. ლენინი და საქართველო“.

ხალხი და სასამართლო

ქ. თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონში, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. ამას წინათ აქ ძალიან საინტერესო ღონისძიება მოეწყო — იურიდიული კითხვა-პასუხის საღამო.

კითხვა-პასუხის საღამომ, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტბიუროს ინიციატივით გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია.

„შემოიტანეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საკითხებზე“, იუწყებოდა ქარხნის ვრცელ საამქროებში ორი კვირით ადრე გაკრული განცხადებები.

ქარხნის პარტიულ კომიტეტში შემოვიდა 60-ზე მეტი შეკითხვა, რომლებიც ადრე გადაეცათ გასაცნობად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაკებს.

დანიშნულ დღეს ქარხნის კლუბი ხალხით გაივსო — მოვიდნენ წარმოების მოწინავე ადამიანები, ზეინკლები, მჭედლები, მეაპარატეები, გამმართველები, ინჟინრები, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები. საღამოს ესწრებოდა ქარხნის დირექტორი ა. ბუაძე.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. გურული შეკრებილთ აცნობს, რომ იურიდიული კითხვა-პასუხის საღამოში მონაწილეობისათვის მათ სტუმრად ეწვიენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ქაჯაია, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები გ. იოსავა, გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პარტბიუროს მდივანი ნ. ბადაგაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი, პროფკავშირის თავმჯდომარე ზ. გაბუნია, ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ო. ღლონტი, სახალხო მოსამართლეები ა. გოგიბერაშვილი, ო. აგლაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ქაჯაია შეკრებილთ ესაუბრა საკითხზე — „ლენინი და სოციალისტური კანონიერების საკითხები“.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი იწყებს საბჭოთა კანონიერების შექმნას. იგი პირადად ხელმძღვანელობდა საბჭოთა სასამართლოს სისტემის შექმნას, აქტიურად მონაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდა მართლმსაჯულების შესახებ პირველი, დამფუძნებელი აქტების შემუშავებაში, თვალყურს ადევნებდა იუსტიციის ორგანოების საქმიანობას და დაუყოვნებლივ ახდენდა რეაგირებას მათ მუშაობაში დაშვებულ შეცდომებზე.

ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნებულმა პირველმა დეკრეტმა სასამართლოს შესახებ 1917 წლის 24 ნოემბერს ოფიციალურად გააუქმა მეფის რუსეთის ყველა არსებული უწყება და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სასამართლოს. ამავე დროს ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ახალი საბჭოთა სასამართლოს ამოცანები, მათი როლი და ადგილი სოციალისტურ საზოგადოებაში, ჩამოაყალიბა საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები.

სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპი ეს არის ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველი, სოციალისტური მართლწესრიგის და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განმტკიცების მთავარი პირობა.

შემდეგ ს. ქაჯაია ვრცლად შეჩერდა საკითხზე, თუ როგორ ეგებებიან დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს იუსტიციის ორგანოების მუშაკები, აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს დანაშაულობათა აღმოფხვრის საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობას.

ამხ. ს. ქაჯაიამ უპასუხა ქარხნის № 2 საამქროს ოსტატს, ოპერატორს ტ. ზარიძეს, მთავარი ტექნოლოგის განყოფილების მუშაკს ს. ჯღამაძეს, მოწინავე მუშებს ჯ. ტაბატაძეს, ჯ. კანდელაკს და სხვათა შეკითხვებს.

სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის საკითხებზე ქარხნის მოწინავე მუშაკებს ინჟინერ ა. წითლაძეს, კადრების განყოფილების უფროსის მოადგილეს, კოჭებისა და გრაგნილების საამქროს წუნმდებელ ვ. კეკერაშვილს, სამანქანო მექანიკური საამქროს უფროს ოსტატს კ. ჯოხიევს, მეაპარატე ა. ძებისაშვილს, ზეინკალ ა. კოტრიკაძეს, ოსტატ ვ. ვაშაკიძეს, ზეინკალ ი. არჯევანიძეს, წუნმდებელ ა. მესხს, მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილეს ი. კოზაიევსა და სხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებმა გ. იოსავამ და გ. ცქიტიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ნ. ბადაგაძემ.

წერილობით შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომ დამთავრდა დარბაზიდან კვლავ მრავალი შეკითხვა შემოვიდა, რომელთაც ამომწურავი პასუხი გაეცათ.

ს. ქაჯაიამ და გ .იოსავამ მიიღეს მთხოვნელები. გაეცნენ საჩივრებს, სათანადო მსველელობა მისცეს მათ განცხადებებს.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილი აქვს ანალოგიური კითხვა-პასუხის საღამოები მოაწყოს რესპუბლიკისა და დედაქალაქის სხვა საწარმოებშიც.

ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაისაბჭოს მეთორმეტე მოწვევის სესიამ განიხილა რაიონის პროკურორის, დეპუტატ **ა. ვაიტაძის** მოხსენება, „რაიონში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაუმჯობესების შესახებ“.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: რაისაბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ **გ. კიკილაშვილმა,** შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა **ა. ტატიშვილმა,** საქართველოს ალკკ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ჯ. ხაჩიძემ,** ლელიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **გ. ჭუმბურიძემ,** ვარდისუბნის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ბ. ლომიძემ,** აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ვეტექიმმა **გ. ჩალაძემ,** რაიონის სახალხო მოსამართლემ **გ. ყაველაშვილმა,** რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. კაკალაშვილმა** და სხვ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ რაიონში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი იმ მიზნით, რათა აღიკვეთოს მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები, ბოლო მოეღოს დამნაშავეობას, მის გამომწვევ მიზეზებს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. უნგიაძემ.**

ამის შემდეგ სოფლებში ჩატარდა ყრილობები, სესიები სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებისათვის, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის, მოეწყო თათბირ-სემინარი. საქალაქო და ყველა სასოფლო საბჭოებში შექმნილია სოფლისა და ქუჩის კომიტეტები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები.

* * *

მიმდინარე წლის 10 თებერვალს გაიმართა მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის მეთორმეტე მოწვევის მეექვსე სესია, რომელმაც მოისმინა რაიონის პროკურორის **გ. გაფრინდაშვილის** მოხსენება — „რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“. სესიის დადგენილების შესაბამისად რაიონის ბევრ სოფელში მოეწყო სოფლის მოსახლეობის ყრილობები, რომლებსაც ესწრებოდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივის, აგრეთვე, ადმინისტრაციულ იორგანოების წარმომადგენლები. მაგალითად, 14 მარტს ჩატარდა საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხის მოსახლეობის ყრილობა, სადაც სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიონის პროკურორი **გ. გაფრინდაშვილი.**

სოფელ ჩიხის მოსახლეობის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა **პ. ნოზაძემ.**

კოშმარი

ეპიზოდი ამერიკული მართლმსაჯულების უახლესი ისტორიიდან

ნ. ნიკოლაევი

მისტერ ბრენერი, ნიუ-იორკის შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, ძალიან ვანცვიფრდა, როცა მის ოთახში უცერემონიოდ შეიჭრა ორი თეთრხალათიანი ზორბა მამაკაცი.

— რაშია საქმე? ვინ ხართ თქვენ? — ჰკითხა სახლის პატრონმა უცნაურ სტუმრებს.

— ეს თქვენ ხართ ბრენერი? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ერთმა მათგანმა.

— დიახ, მე ვარ ბრენერი, რა გნებავთ?

თეთრხალათიანებმა შემდგომი კამათი ზედმეტად ჩათვალეს. მათ უსიტყვოდ წაავლეს ხელი იღლიაში მოსამართლეს და გასასვლელისაკენ გაათრიეს. ამაოდ გამოთქვამდა პროტესტს ბრენერი მისი პიროვნების მიმართ ასეთი მოპყრობისათვის, ამაოდ იშველიებდა იგი სამოქალაქო კოდექსის დებულებას და შეერთებული შტატების კონსტიტუციას. კინწისკვრის შემდეგ, რომელიც მან მიიღო გზაში თავისი ჭირვეული ხასიათისათვის, იგი მშვიდობით მიიყვანეს საგიჟეთში.

— სრულიად ჯანმრთელი ვარ! — განუცხადა გაოცებულმა ბრენერმა ექიმ-ფსიქიატრს. — წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობის მთელი საშინელება — სამუდამოდ შეშლილთა საზოგადოებაში დარჩენა.

— არა უშავს-რა, მიეჩვევით, — დაამშვიდა ექიმმა მოსამართლე, — ბოლოს და ბოლოს აქ არც ისე ურიგოა: თქვენ სრულიად უფასოდ მიიღებთ ტანსაცმელს, საჭმელს, თავშესაფარს. დაუფიქრდით, კიდევ სად შეიძლება ამერიკაში ადამიანი ასე უზრუნველყოფილი იყოს სიბერის ჟამს? მხოლოდ აქ, ჩვენთან.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი თავაზიანი ახსნა-განმარტებისა, მისტერ ბრენერი მაინც აღშფოთებას გამოთქვამდა იმ ადამიანთა უსულგულობაზე, რომლებმაც იგი, ყოველივე საფუძვლის გარეშე მოათავსეს საგიჟეთში.

— და ეს ხდება ამერიკაში! — გაიძახოდა იგი. — იმ ქვეყანაში, რომლის ცხოვრების წესები გვინდა გავავრცელოთ მთელს მსოფლიოში! ამათ დამიხედეთ, მოხუცებულობაში ჩემი უზრუნველყოფა უნდათ! უმდაბლესი მადლობა ასეთი ქველმოქმედებისათვის! სჯობს ელექტრონის სკამზე დამსვათ, თუ ჩვენს მდიდარ ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფის სხვა საშუალება არ არსებობს!

კიდევ დიდხანს ბობოქრობდა ბრენერი, ქოლავდა ამერიკული ცხოვრების წესებს. გართული თავისი მამხილებელი სიტყვით, მან ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მოექცა გიჟების ჯგუფის ალყაში. ერთი მათგანი მიუახლოვდა მოსამართლეს, წაავლო ხელი ყურში და კატეგორიულად განაცხადა:

— მომყევით!

— საით? რისთვის? — წაილუღლუღა შეშინებულმა ბრენერმა.

— კომუნისტური პროპაგანდისათვის თქვენ სიკვდილს იმსახურებთ. სამწუხაროდ, ჩვენს სახლში არ არის ელექტრონული სკამი, ამიტომ იძულებული ვარ ფანჯრიდან გადაგისროლოთ.

— უფლება არა გაქვთ! რომელი ანტიამერიკული მოღვაწეობის გამოკვლევის კომისია თქვენ ხართ! — წამოიძახა მოსამართლემ, რომელსაც თვადაცვის ინსტიქტმა სიმამაცე შეპმატა.

— ჩვენ რით ვართ ნაკლები იმ კომისიაზე? იქაც ხომ შეშლილები ზიან!

ასეთი რკინისებური ლოგიკის წინააღმდეგ სადავო ვერაფერი გამონახა და, ბრენერმა უსიტყვო წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო. იგი ჭირვეულობდა, იკაწრებოდა, იკბინებოდა, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო. შეშლილებმა თავიანთი მსხვერპლი მიათრიეს თექვსმეტსართულიანი სახლის დონეზე მყოფ ფანჯარასთან, გააქან-გამოაქანეს და გარეთ გადაისროლეს.

— ა-ა-ა!.. — გულშემზარავად წამოიძახა ბრენერმა და... გამოეღვიძა.

ცოტახანს იგი გაოგნებული იცქირებოდა გარშემო და, როცა დარწმუნდა, რომ საკუთარ ბინაში, თავის საყვარელ სავარძელში იმყოფება, თავისუფლად ამოისუნთქა. ტელეფონის წკრიალმა კი საბოლოოდ დააბრუნა იგი რეალურ სამყაროში.

— ალო! ბრენერი გისმენთ. ეს შენ ხარ, ჯონი? მე ახლა ისეთი საზარელი რამ დამესიზმრა, რომ მისი მოგონება ტანში ჟრუანტელს მგვრის. საქმე იმაშია, რომ ამას წინათ ოთხი, სრულიად ნორმალური ადამიანი მე შეევასახლე შეშლილთა საავადმყოფოში, რათა უზრუნველმეყო საკვებითა და თავშესაფრით. ამის შესახებ, სხვათა შორის, გაზეთებიც იტყობინებოდნენ. აი, სწორედ დამესიზმრა, თითქოს მეც მომათავსეს ყვითელ სახლში, რათა უზრუნველეყოთ ჩემი სიბერე. როგორი კოშმარია, არა? ასე, იყავი კარგად, მეუღლეს სალამი გადაეცი.

ბრენერი გაიზმორა, ტკბილად დაამთქნარა და საათს დახედა. უმაღლესი სასამართლოს მორიგ სხდომაზე წასვლის დრო იყო.

რუსულიდან თარგმნა **კამო შარმაზიანმა.**

დანაშაულებრივი გულგრილობა

ვასომ საათს დახედა და ცოლს უთხრა:

— არ აბრძანებულა ვაჟბატონი? უკვე ექვსი საათია!

— დილის რვა საათზე მოვიდა, ამხანაგის დღეობაზე იყო. იძინოს, ენაცვალოს დედა! ვინ იცის ცხოვრებაში რამდენი წვალება მოელის. იმხიარულოს, მეტი რა შერჩება!

— იმხიარულოს, მეტი რა შერჩება, — გამოაჯავრა ცოლს ვასომ, — სწორედ ეს არ შერჩება, სწორედ ეს. ზღვა კოვზით დაილევაო! ამ დღეს, იმ დღეს, ამ წელს, იმ წელს „დამისხი დამალევინე“ — და ჯანმრთელობაც დაილევა ღვინის დალევასთან ერთად. „ბუნებას უჩინარი დარაჯი ჰყავს ყოველი ჩვენთაგანისათვის მიჩენილი, ის იწერს ყოველ ჩვენს ნაბიჯს და შენი შვილის წუხანდელი ღამისთევა და „დამისხი დამალევინეც“ ჩაწერილი ექნება.

— კარგი, კაცო, ნუ მოყვები შენებურად!

ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ნაქეიფარი ვაჟის ხმა:

— დედა, სოდიანი წყალი... კუჭი მეწვის. ოქროს ფხვნილიც... თავი მისკდება!

ვასო მოღუშული იჯდა, ღრმა ფიქრებში წასულიყო.

— ჩვენში არავის არ აპატიებენ საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, კოლმეურნეობაში ტყავს აძრობენ მათ, ვისი გულგრილობითაც დაზიანდა, ვთქვათ ტრაქტორი ან ჟანგი მოეკიდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, ვინც გულგრილად უვლიდა ძროხებს; დაწესებულებაში პასუხს თხოვენ მუშა-მოსამსახურეებს გულგრილი მუშაობისათვის... მხოლოდ ერთი სახის გულგრილობაა, რისთვისაც არავითარი პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული — ესაა გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი...

სასადილო ოთახში გამოვიდა თავშეხვეული „დამალევინე“ (ასე ეძახდნენ მას ამხანაგები) და ხვნეშით მიუჯდა მაგიდას, თან ხრინწიანი ხმით დაიძახა:

— დედა, მალე!

ვასო კაბინეტში შევიდა და ერთ ხანს ჩაფიქრებული იდგა.

— არა, უეჭველად დადგება ის დრო, როდესაც საკუთარი ჯანმრთელობისადმი გულგრილობისათვისაც დაისჯება ადამიანი, მას პასუხისგებაში, მისცემენ იმისათვის, რომ დაიზიანა გული, გაიფუჭა კუჭი, მოიშალა ნერვები და სრულყოფილი მოქალაქე აღარ არის! უეჭველად დადგება ასეთი დრო, უეჭველად...

ვასო ჩაფიქრდა... მთელი დღის მუშაობამ თავისი გაიტანა, მან ჩათვლიმა და...

საბრალდებო დასკვნა, რომელიც შეეხება ვასილის ძეს

სეფისკვერაძე ზაურ ვასილის ძეს, 39 წლის, მოსამსახურეს, წინათ სამართალში არყოფილს, ეწევა პაპიროსს, სვამს მაგარ სასმელებს, ცხოვრობს თბილისში, ღვინის აღმართზე № 3. საქმე აღძრულია საკუთარი ჯანმრთელობისადმი დანაშაულებრივი გულგრილობის გამო.

სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ქალაქის პოლიკლინიკის მიერ, სადაც მოქ. ზ. ვ. სეფისკვერაძე აღრიცხვაზეა აყვანილი. პოლიკლინიკის დაკვირვებით, ზ. ვ. სეფისკვერაძე ხანდახან მიმართავს პოლიკლინიკას საექიმო დახმარებისათვის, მაგრამ ექიმების რჩევა-დარიგებას არ ასრულებს, რეჟიმს არ იცავს, დანიშნული წამლობა ბოლომდე არ მიჰყავს, არ იცავს ჰიგიენის ელემენტარულ წესებსაც.

ზ. ვ. სეფისკვერაძეს ხუთი წლის წინათ აღმოაჩნდა მსუბუქი გასტრიტი, მაგრამ უმსგავსო საქციელის გამო, გასტრიტი შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მას წყლულად გადაექცეს. გული არასახარბიელო მდგომარეობაში აქვს, ნერვიული სისტემა მოშლილი. გარდა ამისა, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ბრლდებულს დააკლდა ოთხნახევარი კბილი.

ზ. ვ. სეფისკვერაძეს მედიცინის მუშაკები მიუთითებდნენ ჯანმრთელობის თვალსაზრისით დაუშვებელ საქციელზე, რჩევადარიგებას აძლევდნენ, მაგრამ ის ყოვლად უპასუხისმგებლოდ მიუგებდა: „ნერვები ჩემია და როგორც მინდა, ისე მოვექცევი მათ! ბავშვი ხომ არ ვარ ფაფები ვჭამო! ღვინო სამი პატარა ჭიქის მეტი არ დალიოო, შემწვარი ხორცი არ ჭამოო, არ გაძღეო, საღამოს რვა საათიდან მშიერი იყავიო! ბარემ კუბო შეუკვეთონ ჩემთვის ექიმებმა და საბურთალოს სასაფლაოზე გადამათრიონ!. ჩემს სიკვდილზე ზრუნავენ და არა ჯანმრთელობაზე!“

პირველი დაკითხვის დროს კი სეფისკვერაძემ კატეგორიულად უარყო წაყენებული ბრალდება და განმარტა: ყველა წამალს ვსვამდი, რაც გამოწერილი მქონდა, რეჟიმს არ ვარღვევდი, დიეტას კი, გამოგიტყდებით, ზუსტად ვერ ვიცავდი. რა რა ვქნა, „კაცნი ვართ, შვილნი სოფლისა“ -გამოწერილ ფაფას შემწვარ გოჭს ვარჩევდი, უალკოჰოლო სასმელს გემო ვერ გავუგე, „წინანდალი“ და „ტიბაანი“ მერჩია, ხანდახან „მანავის მწვანესაც“ ვშოულობდი. ეს უნდა ჩამეთვალოს დანაშაულად?! ვინც რა უნდა თქვას, მე კი მწამს, რომ ფაფას შემწვარი გოჭი სჯობია! ღვინო არ დალიოო, აბა, აჩეხონ ვენახები?

— არა, ბატონო, მეტისმეტს ნუ იზამთ. ბოლოსა და ბოლოს „კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“, — ასე დაიბარა ბარათაშვილმა, ჩვენი მშობლები სვამდნენ და ჩვენც უნდა მივსდიოთ მათ!

— მოქალაქე სეფისკვერაძე, გული რა დღეში გაქვთ, გული? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— გული? გული ვაცივითა მაქვს. ვაცი ღვინოს არ სვამს, მაშასადამე, კარგი გული ექნება. ჰოდა, მეც ვაცივითა მაქვს. ექიმმა მითხრა — ინფარქტის გეშინოდესო. რატომ უნდა მეშინოდეს, მშიშარა უნდა ვიყო? არა, მე შოთას ვეთანხმები, მან დამიბარა უშიშარი უნდა იყოო!

ამ ლაპარაკის დროს გამომძიებელმა ყურადღება მიაპყრო სეფისკვერაძის კბილებს და ჰკითხა: „ეგეც შოთამ დაგიბარათ, კბილები ჩაიმტვრიეო?“

— კაცო, კბილები მაშინ ჩამემტვრა, როცა შინ ვბრუნდებოდი ამხანაგისაგან, რომელმაც დიღომში მიიღო ბინა. ხომ მოგეხსენებათ, ახალ ბინას დალოცვა უნდა. იქიდან რომ ვბრუნდებოდი, ფეხი დამისხლტა... და სამი კბილი იმსხვერპლა. მე რა შუაში ვარ, ეს ფათერაკის ბრალია! დანარჩენი კბილნახევარი სამი წლის განმავლობაში მოცვდა და ამორტიზაციაში წავიდა. წელიწადში ნახევარი-კბილი — განა ეს ბევრია? სტომატოლოგი კი ჩხუბობს — კბილებს ყურადღებას არ აქცევსო. მე რა ყურადღება უნდა მივაქციო, კბილი თვითონ ცვდება! არა, საოცარია, რას გადამეკიდნენ ეს ექიმები?!

თითქოს ისინი უფრო უფრთხილდებოდნენ და აფასებდნენ ჩემს ჯანმრთელობას, ვიდრე მე!

სასამართლოში მოწმედ იყო გამოძახებული სეფისკვერაძის მეუღლე ნატრული. ი რა განაცხადა მან:

— გამწარებული ვარ ჩემი ქმრის ხელში, გამწარებული! ავად რომ გახდება ექიმებს ეჩვენება, წამლებს სვამს, ორიოდე დღის შემდეგ აღარ ეკარება — არ მიხდებაო. მისი კვება ნამდვილი ტანჯვაა ჩემთვის — დიეტას არ იცავს! თუ მსუქანი, თანაც პილპილიანი საჭმელი არ გავუმზადე, ერთ ამბავს ატეხს, ხინკალსა და მწვადებს მოითხოვს, თანაც ბლომად, ბლომად და ძლივსღა სუნთქავს.

გასტრიტი და პილპილიანი საჭმელი? რა ვქნა, გამაწამა და ის არის!

გამომძიებლის შეკითხვაზე — თუ როგორ ისვენებს თქვენი მეუღლე, ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა სუფთა ჰაერზეო, სეფისკვერაძის მეუღლემ უპასუხა:

— მისი დასვენება ის არის, რომ გამაძღარი კუჭით დაწვება ნასადილევს, ბორგავს, საღამოს ტელევიზორს უყურებს. სუფთა ჰაერზე გავლას ვერ უსსენებ. ვეხვეწები, რომელიმე პარკში შედი, დღეში ერთი საათიც არ გინდა ჰაერზე იყო მეთქი? მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი! პაპიროსს პაპიროსზე წევს, თუმცა ექიმებმა აუკრძალეს. ოთახში ბოლია დამდგარი, ზამთრობით კი ფანჯრებს არ გვაღებინებს — გაციების ეშინია! უღვინოდ პურის ჭამა ვერ წარმოუდგენია, ღვინოში ჭინჭყლობს. შარშანწინ „მონადირეთა კავშირში“ ჩაეწერა, ნადირობა დაიწყო — მირჩიეს ჯანმრთელობისათვის კარგიაო. სანადიროდ დაზურგული მიდის, ღვინო რვა ლიტრიანი მოწნული ბოცით მიაქვს. შექეიფიანებულები დაცლილ ბოთლებს ისვრიან მიზანში და დაჩუტული სანადირო ჩანთით ბრუნდება შინ. ესაა მაგის ნადირობა! შარშან გაგრაში წავიდა სანატორიუმში და ორი კვირის შემდეგ მომადგა კარზე. ვერ შეეგუა იქაურ წესებს, იქაურ საჭმელს. რა ვქნა დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია!

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გამოძიებას დამტკიცებულად მიაჩნია, რომ მოქ. ზ. ვ. სეფისკვერაძე აღმაშფოთებელ გულგრილობას იჩენს თვისი ჯანმრთელობის მიმართ და ამიტომ მისი საქმე განსაცილველად უნდა გადაეცეს სასამართლოს სათანადო ზომების მისაღებად.

გადაიკითხა ვასომ საბრალდებო დასკვნა და კმაყოფილი დარჩა. — დიახ, ახლო მომავალში სწორედ ასეთი იქნება სეფისკვერაძეების მიმართ საბრალდებო დასკვნა! — თქვა ვასომ... არ გჯერათ? გარწმუნებთ, დადგება დრო, როდესაც საკუთარი ჯანმრთელობის გამნიავებლებს კი არა, სხვებსაც პასუხს აგებინებენ. მაგალითად, მხატვარს ხალტურული სურათებისთვის პასუხს მოსთხოვენ როგორც საზოგადოების გემოვნების შეურაცხმყოფელს (განაჩენი: კრებაზე პასუხს მოსთხოვენ სხვების დროის გაფლანგვისათვის. განაჩენი: უარი ეთქვა დამატებით რეგლამენტზე და აეკრძალოს დაწერილი სიტყვის წაკითხვა). ვინც პრეფერანსი ამჯობინა ტურისტულ გასეირნებას, მას სასტიკი საყვედური გამოეცხადება.

რა სასჯელი დაედება სეფისკვერაძეს, ამას ჩემი ფანტაზია ვერ მისწვდება, მაგრამ განა სეფისკვერაძემ უნდა იცადოს, სანამ პასუხისგებაში მისცემენ შეუწყნარებელი გულგრილობისათვის. შეიძლება საკუთარი ჯანმრთელობის გამნიავებელს სასჯელი ანაზდეულად დაატყდეს თავზე ინფარქტის ან სხვა ავადმყოფობის სახით.

უმჯობესია სეფისკვერაძეები გონს მოვიღნენ, გამოსწორდნენ, სანამ გვიან არ არის, თვალის ჩინივით მოუარონ თავის ჯანმრთელობას, იზრუნონ მათი დაცვისათვის, ამას კი დღესვე შეუდგნენ ჯანმრთელობის გამნიავებლები.!

ვასოს ცოტა ხნის შემდეგ გამოეღვიძა, მაგრამ ფიქრები დანაშაულებრივ გულგრილობაზე არა სცილდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურისტთა თეორიული ჟურნალი

„პრავოვედენიე“ საბჭოთა იურისტების მეცნიერულ-თეორიული ჟურნალია. იგი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ორგანოა და გამოდის სერიით «Известия высших учебных заведений».

ჟურნალი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა (იგი დაარსდა 1957 წელს). მიუხედავად ამისა ისწრაფვის იყოს მის წინაშე დასმულ ამოცანათა სიმაღლეზე, ბეჭდოს თემატიკის მხრივ მრავალფეროვანი და შინაარსით აქტუალური მასალა.

სამეცნიერო ჟურნალების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დებულების შესაბამისად ჟურნალი „პრავოვედენიე“ აჯამებს სამართლის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს, აქვეყნებს მასალებს თანამედროვე საბჭოთა იურიდიული მეცნიერების ძირითად პრობლემებზე. ჟურნალში ფართოდ შუქდება იურიდიული მეცნიერების ყველა დარგის აქტუალური საკითხები, იბეჭდება სსრ კავშირში და საზღვარგარეთ გამოსული ლიტერატურის და კანონმდებლობის მიმოხილვა, რეცენზიები საბჭოთა და საზღვარგარეთ გამოსულ ლიტერატურაზე.

ჟურნალი სისტემატურად აწვდის მკითხველს ინფორმაციას იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო კვლევითი-დაწესებულებების მეცნიერული ცხოვრების შესახებ. მის ფურცლებზე რეგულარულად თავსდება სოციალისტური ქვეყნების პერიოდულ გამოცემათა დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია, სამართლებრივი ლიტერატურის ანოტაციები და კონსულტაციები პრაქტიკული მუშაკებისათვის.

ჟურნალი გათვალისწინებულია პროფესორ-მასწავლებელთა, ასპირანტთა, იურიდიული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა, აგრეთვე სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატურის და სახელმწიფო მმართველობის მუშაკებისათვის.

ჟურნალის მუშაობის ძირითადი მიმართულება განსაზღვრულია სსრ კავშირის ცკ-ის დადგენილებით: „იურიდიულ მეცნიერების შემდგომი განვითარების და იურიდიული განათლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (1964), „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ (1967), სსრ კავშირის ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით: „სამეცნიერო და მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ“ (1967) და სამეცნიერო ორგანიზაციების ეფექტურობის ამაღლების და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სახალხო მეურნეობაში გამოყენების დაჩქარების შესახებ“.

ჟურნალში იბეჭდება დიდძალი მასალა მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. მასალა ძირითადად ეძღვნება ვ. ი. ლენინის მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა სამართლებრივი მეცნიერების განვითარებასთან. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით დაბეჭდილი სტატიები ჟურადღებას იპყრობენ თავისი შინაარსით და აქტუალობით. მათგან აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს: ვ. ე. გულეკი, „სახელმწიფოს, რევოლუციისა და კანონიერების საკითხები ვ. ი. ლენინის შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ (1967 № 2); ბ. ვ. ზდრავომისლოვი „ვ. ი. ლენინი დანაშაულობის აღმოფხვრის შესახებ“ (1967 № 4); ნ. ს. პროზოროვა „ვ. ი. ლენინის მიერ მარქსისტული სწავლების განვითარება სოციალისტურ სახელმწიფოზე“ (1968 № 1); გ. ი. ბროვინი და ვ. მ. პერფილევი „საბჭოთა პროკურატურის საქმიანობის და ორგანიზაციის ლენინური პრინციპები“ (1969, № 2); ა. მ. კალანდაძე „ვ. ი. ლენინი საკოლმეურნეო მშენებლობის პრინციპების შესახებ (1969, № 2); გ. ა. დოროხოვა „ვ. ი. ლენინი მეცნიერების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ფორმების შესახებ“ (1969 № 3) და სხვ.

კ. მარქსის დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალში ქვეყნდებოდა მასალები, მიძღვნილი კ. მარქსის სამართლებრივ შეხედულებათა ანალიზისადმი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ შემდეგი სტატიები: ს. დ. დრობიაზკო „კ. მარქსი საზოგადოების ეკონომიურ განვითარებაზე კანონმდებლობის ზემოქმედების შესახებ“ (1968, № 3); ფ. მ. რეშეტნიკოვი და ე. ა. შეინი „კ. მარქსის მიერ ბურჟუაზიული იუსტიციის კრიტიკა“ (1968, № 2); ვ. ს. ნერსესიანცი „კ. მარქსის შეხედულებანი სახელმწიფოზე ნაშრომში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა“ (1968, № 2) და სხვ.

ჟურნალი ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავს სამართლის სფეროში ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი დოქტრინთა მხილებას, ანტიკომუნიზმის კრიტიკას, კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტების კლასობრივი ხასიათის ჩვენებას. ამ პლანში აღსანიშნავია შემდეგი სტატიები: ნ. მ. კაიზეროვი, „პოლიტიკური ძალაუფლების აღმოცენების თანამედროვე ბურჟუაზიული კონცეპციები" (1957, № 2); ა. ა. ჟდანოვი, „თავისუფალი მიხედულობის" საკითხისათვის ბურჟუაზიულ ადმინისტრაციულ სამართალში" (1968, № 5); ა. ტ. ბონერა, „ბურჟუაზიულ ადმინისტრაციული იუსტიცია" (1969, № 1), ნ. ვ. ლიასი, „სისხლისსამართლის „ორმაგი" ფუნქციის ფინალური კონცეპციის კრიტიკა" (1969, № 5) და სხვ.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა სამართალმცოდნეობის ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებს. საკმარისია მივუთითოთ სტატიებზე: ნ. ს. სამოშჩენკო და ლ. ს. იავიჩი, „სოციალისტური სამართლის ცნების განსაზღვრის საკითხისათვის" (1966, № 2); ლ. ს. იავიჩი, „სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთკავშირის ერთი ასპექტის შესახებ" (1969, № 5); პ. ე. ნედბაილო, „მარქსისტულ-ლენინური სახელმწიფოს და სამართლის თეორიის საგანი" (1968, № 3) და სხვ.

ჟურნალი ცდილობს გამოეხმაუროს სამართალმცოდნეობის ყველა დარგის აქტუალურ პრობლემას. კერძოდ იგი დიდ ადგილს უთმობს ისეთი სტატიების პუბლიკაციას, რომელიც ეხება შრომა-გასწორებითი სამართლის, სასამართლო ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიის, საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს.

უკანასკნელ ხანებში სერიოზული ყურადღება ექცევა მმართველობის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და სამეურნეო ურთიერთობათა მეცნიერული რეგულირების საკითხებს.

ჟურნალში ქვეყნდება ბევრი მასალა, რომელიც ეხება საბჭოთა მოქალაქეთა კანონით გარანტირებულ უფლებების და ინტერესების დაცვას, კანონმდებლობის და საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფას.

ჟურნალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უახლესი საბჭოთა კანონმდებლობის ანალიზი და პროპაგანდა.

ისახავს რა მიზნად სამართლის თეორიისა და პრაქტიკის დაახლოვებას ჟურნალი აქვეყნებს კონსულტაციებს სამართლის, პროკურატურისა და საბჭოთა ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკებისათვის.

ჟურნალის ფურცლებზე ხდება დიდძალი სამართლებრივი ლიტერატურის რეცენზირება. ჟურნალი სისტემატიურად აცნობს საბჭოთა მკითხველებს ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში გამოსულ ლიტერატურას. ჟურნალი არის ახალი კანონმდებლობის და უმაღლესი სასამართლოების მეცნიერული ცხოვრების ინფორმაციის წყარო.

ჟურნალის ტირაჟი 4500 ეგზემპლარია. 300 ეგზემპლარზე მეტი საზღვარგარეთის მკითხველებისათვის არის განკუთვნილი. ჟურნალმა დიდი პოპულარობა მოიპოვა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ქვეყნდება სტატიების რეზიუმე ინგლისურ ენაზე, ხოლო დასათაურება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

ჟურნალში ქვეყნდება სპეციალისტ-პრაქტიკოსთა, მეცნიერთა და ასპირანტთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომები. რედაქციამ გარს შემოიკრიბა ავტორთა ფართო წრე სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

ჟურნალის რედკოლეგიის შემადგენლობაში შეყვანილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების და სახელმწიფო ორგანოებში შომუშავე ცნობილი მეცნიერი იურისტები. მათ რიცხვშია: გ. ნ. ალექსანდროვი, ნ. გ. ალექსანდროვი (მოსკოვი), ნ. ს. ალექსეევი (ლენინგრადი, მთ. რედაქტორი), ს. ს. ალექსეევი (სვერდლოვსკი), ლ. ი. ანტონოვა (ლენინგრადი, პასუხისმგებელი მდივანი), პ. ი. გრიშაევი, ო. ა. ჟელკოვი, გ. ვ. ივანოვი (მოსკოვი, ო. ს. იოფე (ლენინგრადი), გ. ს. კალინინი, დ. ა. კერიმოვი (მოსკოვი), ა. ა. ლიტე (რიგა), ს. ა. მაგინინი (ლენინგრადი), პ. ე. ნედბაილო (კიევი), პ. ე. ორლოვსკი (მოსკოვი), ვ. ს. ოსნოვინი (ვორონეჟი), გ. ი. პეტროვი (ლენინგრადი), ს. ა. რადჟაბოვი (დუშანბე), კ. გ. სმირნოვი (ომსკი), ნ. ა. ჩეჩინა (ლენინგრადი), ვ. ე. ჩირკინი (სვერდლოვსკი).

ფართოდ წარმოდგენილი და მაღალკვალიფიცირებული რედკოლეგიის შემადგენლობა უზრუნველყოფს რედაქციაში შემოსული მასალის ობიექტურ შეფასებას.

ჟურნალის რედკოლეგიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია 1970-1975 წლების პრობლემურ-თემატიური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა სამართლებრივ მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების ძირითად საკითხებს.

ამ გეგმაში შესული თემები მოიცავს შემდეგ დარგებს: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საბჭოთა მიწის და საკოლმეურნეო სამართალი, შრომის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია, სისხლის სამართლის პროცესი, საზღვარგარეთის სოციალისტური

ქვეყნების და კოლონიური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საერთაშორისო სამართალი.

რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს იმ მასალის გამოქვეყნებას, რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა პრობლემურ-თემატიურ გეგმაში და უზრუნველყოფს მის დაჩქარებულ პუბლიკაციას.

ჟურნალ „პრავოვედენიე"-ს რედაქციას იმედი აქვს, რომ საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა მკითხველთა და ავტორთა სახით ფართოდ ჩაებმება ჩვენი ჟურნალის ცხოვრებაში.

ჩვენი ჟურნალი ვრცელდება მხოლოდ ხელის მოწერით და ბუნებრივია იგი საცალო ვაჭრობით არ იყიდება. ამიტომ არ დაგავიწყდეთ დროზე გამოიწეროთ ჟურნალი „პრავოვედენიე". თუ თქვენ ვერ მოასწარით გამოწერის გაფორმება, მიიღეთ მხედველობაში, რომ ამის გაკეთება ეხლაც შეიძლება. 1970 წელს ხელმოწერა მიიღება ნებისმიერ ნომერზე.

ხელმოწერა მიიღება შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში, კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და საზოგადოებრივ რწმუნებულებთან, აგრეთვე ლენინგრადის უნივერსიტეტის გამომცემლობაში (ლენინგრადი, — 164, უნივერსიტეტის სანაპირო 719).

ლ. ანტონო

ჟურნალ „პროვოვედენიეს" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.

ИНДЕКС 76185

б 25/104

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР